საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 48-49 (593) ხუთშაბათი, 11 მარტი, 1993 წელი ფასი 10 მანეთი.

წუხელ შევიტყვეთ

ცნობები აფხაზეთიდან

9 მარტს დილის 7 საათისათვის, მოწინააღმდეგემ დაიწყო საბრძოლო მოქმედება შრომა-კამანის მიმართულებით, სოფელ ამზარის მიდამოებში. მან საბრძოლო პოზიციებში გამოიყვანა რამდენიმე ერთეული მძიმე ტექნიკა და ცეცხლი დაუშინა ჩვენს პოზიციებს. საპასუხო ცეცხლმა იგი აიძულა სროლა შეეწყვიტა და წინა ხაზიდან გაეყვანა მძიმე ტექნიკა.

დღის განმავლობაში მოწინააღმდეგე აქტიურობდა სხვა მიმართულებითაც. ამ დროს ზემო ეშერის მიდამოებში ამჩნევდნენ მძიმე ტექნიკის გადაადგილებას.

9 მარტს შედგა სატელეფონო საუბარი გუდაუთის დაჯგუფების წარმომადგენლებთან, რომლებმაც განაცხადეს, რომ სეინერ „გაგრიდან" აყვანილ მძევალთაგან განთავისუფლებულია კიდევ ერთი — მურთაზ იოსელიანი, ხოლო ექიმი იური ქვალიაშვილი გადაყვანილია შინაპატიმრობის რეჟიმში. გარდა ამისა, აფხაზურმა მხარემ განაცხადა, რომ მათ ქვემო ეშერიდან, გუდაუთიდან და გაგრიდან სოჭა-ადლერის მხარეს გადაიყვანეს 200-ზე მეტი ქართველი მოქალაქე, ისინი, ვისაც ამის სურვილი ჰქონდა. იმ დღესვე ადლერიდან სოხუმში გამოფრინდა ქვემო ეშერის მცხოვრებთა 12-კაციანი ჯგუფი, მათი სიტყვით, დანარჩენი ლტოლვილები იმყოფებიან ადლერში ყოველგვარი სახსრების გარეშე.

9 მარტს დილით მოწინააღმდეგემ დიდი ძალებით და მძიმე ტექნიკის გამოყენებით შემოუტია სოფელ ლაბრასთან არსებულ ჩვენს პოზიციებს. მტრის შემოტევისას აქ მყოფმა სამხედრო ნაწილებმა თავდაპირველად უკან დაიხიეს, მაგრამ დამატებითი ძალების მოსვლის შემდეგ განახორციელეს კონტრიერიში და მოწინააღმდეგე განდევნეს დაკავებული პოზიციებიდან. ბრძოლაში მოწინააღმდეგემ მოკლულთა და დაჭრილთა სახით დაკარგა რამდენიმე ათეული მებრძოლი. ამასთან განადგურებული იქნა მტრის ერთი ტანკი და 1 ქვეითთა საბრძოლო მანქანა, ხოლო 1 ტანკი და საბრძოლო მანქანა უვნებლად იქნა ხელთ ჩაგდებული.

●

იოსებ გობეჩია.

სააგენტო „იბერიას" ცნობით, გუდაუთის რადიომ 10 მარტს, 7-საათიან გადაცემაში გაავრცელა ცნობა, რომლის თანახმად საქართველოს რესპუბლიკის შეიარაღებულმა ძალებმა გააძლიერეს დაზვერვითი სამუშაოები გაგრის ზონაში დესანტის გადმოსხმის მომზადების მიზნით და რომ ამასთან დაკავშირებით, გუდაუთის სამხედრო დაჯგუფებაში მიმდინარეობს სანაპირო დაცვის ნაწილების რეორგანიზაცია.

●

უკანასკნელ საათს

10 მარტს საღამოს 8 საათსა და 30 წუთზე თავისი სახლის ეზოში დაუდგენელმა ახალგაზრდა პირმა ცეცხლსასროლი იარაღით მოკლა ქალაქ თბილისის პროკურორი მიხეილ ქურდაძე. მკვლელობის მოტივი უცნობია. მიმდინარეობს გამოძიება.

ამ დღეებში

გვატყობინებენ „საქართველოს რესპუბლიკის" და საქინფორმის კორესპონდენტები

ფაქტი მოვლენა კომენტარი

ედუარდ შევარდნაძე:

ახალი მსოფლიო წესრიგის მშენებლობაში საქართველოსაც ჰქონდეს თავისი ადგილი...

9 მარტს გამართული პოლიტიკური დებატების შემდეგ, რომლებიც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს მიეძღვნა, სიტყვა წარმოთქვა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ.

დღეს მინდა — თქვა მან, — ჩემი დამოკიდებულება გამოვხატო ჩვენი ქვეყნისათვის ამ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით. მაგრამ, ვიდრე გადავიდოდე საკითხის არსზე, კიდევ ერთხელ მინდა გარკვეული კმაყოფილება გამოვთქვა იმის გამო, რომ განხილვას, ძირითადად, სერიოზული ხასიათი ჰქონდა.

როცა საქართველოს ბედზეა მსჯელობა, ყველა ჩვენგანი უნდა გრძნობდეს უდიდეს პასუხისმგებლობას, ისედაც დიდია საზოგადოებრიობის ტკივილები და მათ დამძიმება არ სჭირდება. სავსებით ნორმალურია კრიტიკული დამოკიდებულება და თუ ვლაპარაკობთ პოლიტიკურ პლურალიზმზე, იმასაც უნდა შევეჩვიოთ, რომ ეს ყველა რანგის ხელმძღვანელს ეხება. მაგრამ ის სტილი, რომელიც ახლა მკვიდრდება ჩვენთან, პრესაშიც, ნაწილობრივ ტელევიზიაშიც, მიუღებელია, ეს არ არის სამართლებრივი სახელმწიფოსაკენ მიმავალი გზა. რამდენად სწორია, მაგალითად, მოთხოვნა, რომ ამ ეტაპზე რუსეთთან საერთოდ გავწყვიტოთ დიპლომატიური ურთიერთობა? ანდა საქართველოს ხელისუფლებაზე ასეთი ლაპარაკი: „უბადრუკი, საცოდავი, მთხოვნელი, მუხლებზე დაჩოქილი ეხვეწება დავდოთ ხელშეკრულება — ეს სამარცხვინოა". „ეს ხელისუფლება განიცდის ეროვნული თავმოყვარეობის დეფიციტს" და ა. შ. ასეთი გამოთქმები არც გაზეთს, არც ჩვენს საზოგადოებას არ ამშვენებს, თუ მსჯელობაა — იყოს სერიოზული მსჯელობა და სერიოზული კამათი. ასეთი დისკუსიის პირობებში, შესაძლებელია, ჩვენ შევამოკლოთ გზა ჭეშმარიტებისაკენ. და თუ ლანძღვა-გინებაზე გადავალთ — ეს ჩვენი სისუსტე იქნება. „თუ ასე გაგრძელდა, ჩვენ იძულებული ვიქნებით, მოვუწოდოთ დემონსტრაციებისკენ და მიტინგებისკენო". ხელისუფლებასაც აქვს უფლება, მოუწოდოს დემონსტრაციებისაკენ. მერე ისევ უნდა შევეჯახოთ ერთმანეთს, ისევ დაიღვრება სისხლი, ნაცვლად იმისა, რომ ვიფიქროთ სერიოზულ საქმეებზე.

როდესაც რუსეთთან ურთიერთობაზე ვლაპარაკობთ, კვლავ გაისმის კითხვა — არსებობს თუ არა შემუშავებული კურსი? ვიმეორებ, რომ კურსი არის. ვიცი, რა უნდა ვაკეთოთ და ნათლად მაქვს წარმოდგენილი, როგორი ურთიერთობა უნდა გვქონდეს ჩვენს მეზობლებთან, უფრო შორეულ მეგობრებთან. როცა მოვლენის ერთ მხარეზე ლაპარაკობ, თქვა ედუარდ შევარდნაძემ, მისი მეორე მხარეც უნდა გქონდეს გათვალისწინებული. კერძოდ, მან აღნიშნა, რამდენ არადამაკმაყოფილებელიც უნდა იყოს 1992 წლის 3 სექტემბრის ხელშეკრულება, დაგომისის შეხვედრები და სხვა, ადვილი შესაძლებელია, მათ გარეშე თავიდან ვერ აგვეცილებინა ორ ქვეყანას შორის გლობალური კონფრონტაცია. დღესაც ხომ მოვიშველიეთ დაგომისის ხელშეკრულება, როდესაც, ჩრდილოეთ ოსეთის ხელმძღვანელობამ მიიღო სრულიად უგუნური და არასერიოზული განცხადება, იმიტომ, რომ რუსეთმა ამ ხელშეკრულებით მაშინ აღიარა საქართველოს საზღვრები, მისი ერთიანობა, მთლიანობა. ამ დოკუმენტზე ჩემი და ელცინის ხელმოწერის გარდა, არის იმავე გალაზოვის ხელმოწერა, რომელიც აღიარებს საქართველოს ერთიანობას, ტერიტორიულ მთლიანობას, დამოუკიდებლობას და ასე შემდეგ.

როცა თვით ხელშეკრულებას შეეხო, ედუარდ შევარდნაძემ თქვა: მე მგონი, დღეს კამათი იმაზე, არის თუ არა საჭირო ეს ხელშეკრულება, აღარ არის. დღეს ამაზე თითქმის აღარავინ კამათობს იმაზე, რომ რუსეთთან უნდა დამყარდეს ნორმალური, კეთილმეზობლური ურთიერთობა, ლაპარაკი აღარ არის. საუბარი იყო მხოლოდ ცალკეულ ფორმულირებებზე... ვთვლი, რომ ხელშეკრულებათა პროექტები უნდა გამოქვეყნდეს პრესაში, და, მთელმა ხალხმა განსაჯოს ისინი.

ჩვენ უნდა ვეცადოთ მაქსიმალურად მივიღოთ ის ვარიანტი, — განაგრძო სახელმწიფოს მეთაურმა, — რომელიც ჩვენ გვაინტერესებს და ხელს გვაძლევს. მაგრამ არის მეორე მხარის ინტერესებიც. ყველაფერი ახლა შეიძლება ვერ გადაწყდეს, მაგრამ ზოგიერთი რამ შეიძლება მომავლისთვისაც გადავდოთ. მიმაჩნია, რომ ამ დიდ ხელშეკრულებაში, ჩადებულია ის, რაც დღეს გვჭირდება, რაც საქართველოს სჭირდება, და რაც, ამავე დროს, არ ეწინააღმდეგება რუსეთის ინტერესებსაც.

ედუარდ შევარდნაძემ დაახასიათა მეგობრობის დეკლარაციები, რომლებიც საქართველოს აქვს ირანთან, თურქეთთან, აზერბაიჯანთან. ასეთივე დოკუმენტები მზადდება სომხეთთან, უკრაინასთან, მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან. — ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ, — განაგრძო მან, — რაც შეიძლება ნაკლები მოწინააღმდეგე გვყავდეს და, რაც შეიძლება მეტი მეგობარი, მეტი თანამდგომი უნდა მოვიპოვოთ. აი, აქ არის საჭირო უზარმაზარი ხელოვნება. პატარა ქვეყანას ასეთი ნგრევის პირობებში გაუჭირდება ააშენოს თავისუფალი და დამოუკიდებელი სახელმწიფო.

ურთიერთობათა ამ კომპლექსში რა თქმა უნდა, ყველაზე რთული გადასაწყვეტი სწორედ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხია. თუნდაც იმიტომ, რომ დღეს რუსეთის, ყოფილი საბჭოთა კავშირის პრობლემა მთელი მსოფლიოსათვის ნომერ პირველი პრობლემაა. ჩვენ ძალიან გვინდა, რომ ახალი მსოფლიო წესრიგის მშენებლობაში საქრათველოს ჰქონდეს თავისი, პატარა იქნება თუ დიდი, ადგილი. ახალი მსოფლიო წესრიგის მშენებლობა, რა თქმა უნდა, გულისხმობს რუსეთთან ურთიერთობებსაც. ჩვენ ამ ახალი მსოფლიო წესრიგის მშენებლობაში შევიტანოთ წვლილს, თუ შევძლებთ, რუსეთთან დავამყაროთ ისეთი ურთიერთობა, რომელიც არ დაარღვევს საერთო ჰარმონიას. რაც ჩვენზეა დამოკიდებული, ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, თუ რამ გამოვა, კარგია, თუ არა, მსოფლიო დაინახავს ვინ არის მართალი და ვინ არა.

ყველაფრის ხელშეკრულებაში ჩაწერა შეუძლებელია. ბევრი რამ უნდა ვიგულისხმოთ, ბევრი რამ უნდა გავითვალოთ. ხანდახან შევცდებით, მაგრამ შევცდებით არა მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ შევცდით, არამედ იმიტომ, რომ მეორე მხარე, რომელთანაც საქმე გვაქვს, არასტაბილურია და ჩვენზე მეტ შეცდომას უშვებს. ბევრი რამ, რაც ჩვენ ძვირად გვიღირს, სწორედ იმ შეცდომების შედეგია. განა იმაზე მეტი შეცდომა შეიძლება დაეშვა ამ დიდი ქვეყნის ხელმძღვანელობას, ვიდრე გრაჩოვის გამოგზავნა იყო საქართველოში? შეეძლო თუ არა საქართველოს ხელმძღვანელობას ეს აეცილებინა თავიდან? პროტესტი გამოვთქვით, მაგრამ ვიზიტი მაინც შედგა. ვინ წააგო და ვინ მოიგო?

პარლამენტის სხდომის დღიური

მსოფლიოს საზოგადოებრიობის თვალში წააგო რუსეთმა და მოიგო საქართველომ, გუშინ იტალიელ ჟურნალისტებს მივეცი ინტერვიუ: ელცინს ალტერნატივა არ გააჩნია. მას და დემოკრატიულ რუსეთს ევროპამ მხარი უნდა დაუჭიროს, სხვა შემთხვევაში ამ კონტინენტზე უბედურება დატრიალდება. მიმაჩნია, რომ ელცინმა უხეში შეცდომა დაუშვა, როდესაც მოითხოვა რაღაც განსაკუთრებული უფლებები, განსაკუთრებული მისია ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების მიმართ. ეს მისი შეცდომაა, ამ ფაქტზე მსოფლიოში ძალზე ცუდი რეაგირება იყო.

ერთხელ ვთქვი და ახლაც გავიმეორებ, რუსეთი ადრე თუ გვიან გაიგებს საქართველოს მნიშვნელობას. აი, ამერიკის შეერთებულ შტატებში გაიგეს საქართველოს მნიშვნელობა, საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობის მნიშვნელობა, არა მარტო რეგიონისათვის, უფრო ფართო მასშტაბითაც. სხვათა შორის, რამდენჯერმე წავაწყდი ასეთ ფრაზას — თუ გვინდა, რომ რუსეთში დემოკრატიამ მოიკიდოს ფეხი და გაიმარჯვოს, უნდა ვიფიქროთ დემოკრატიულ სარტყელზე რუსეთის ირგვლივ, ერთ-ერთი ასეთი ქვეყანა — საქართველოა. ჩვენ როგორმე უნდა გავუძლოთ კრიზისს, რომ კიდევ უფრო მეტად დავეჭირდეთ დასავლეთსა თუ აღმოსავლეთს, იმისათვის, რომ ამ სარტყლის ერთ-ერთი შემადგენელი და სამაგალითო ნაწილი იყოს საქართველო, რომ ამ პატარა ქვეყანაში შეიძლება აშენდეს დემოკრატიული საზოგადოება, რომელშიც ხალხი იცხოვრებს ნორმალურად და ადამიანურად, ითანამშრომლებს ერთმანეთთან.

რაღა თქმა უნდა, ყველაზე უფრო მწვავე საკითხი არის საქართველოში რუსეთის ჯარის ყოფნის საკითხი. ლაპარაკი რაზეა, დავა რაზეა? ეს ჯარები უნდა გავიყვანოთ, მაგრამ ნორმალურ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობის დონეზე, ისე, როგორც ეს მოხდა უნგრეთში, ჩეხოსლოვაკეთში, გერმანიაში, პოლონეთში, დაიწყეს ბალტიისპირეთში. ხელშეკრულებაში ყველაფერია ჩაწერილი იმის შესახებ, რომ 1995 წლისათვის რუსეთის ჯარი საქართველოდან გავიდეს. ხელშეკრულება არმიის სტატუსის შესახებ — ფაქტობრივად არის ხელშეკრულება ჯარის გაყვანის შესახებ. ყველაფერი იმასთან არის დაკავშირებული, რომ ეს პროცესი შედარებით უმტკივნეულოდ უნდა განხორციელდეს, ისე, რომ არ მივიდეთ რუსეთ-საქართველოს შორის კონფრონტაციამდე. ერთი ფრაზა იყო აქ ნათქვამი, იმასაც ვუპასუხებ, აფხაზეთიდან ისმის ხმები, რომ რუსეთის თვითმფრინავმა დაგვბომბაო. და არა მარტო ეს ხმები ისმის. ოთხი დღე ვიყავით იქ და მე სხვა ხმებიც მესმოდა, გაწამებული ადამიანების, დედების, ბავშვების — მოელაპარაკეთ რუსეთს, ნუთუ არ შეგიძლიათო? და ეს ისმის მთელ საქრათველოში.

ახლა ორიოდე სიტყვა ეკონომიკასთან დაკავშირებით. ყველა ვხედავთ, რომ ჩვენში ნამდვილი ეკონომიკური, ფინანსური კრიზისი და შიმშილია,, თუ ეკონომიკური ურთიერთობა საქართველოსა და რუსეთს შორის არ მოგვარდა, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ჩვენ გველოდება ნამდვილი კატასტროფა. ვერავითარი ჰუმანური დახმარება ვერ გვიშველის. დაახლოებით სამასი-ოთხასი ათასი კაცი დარჩება უმუშევარი. ეს ახლა, მომავალში კი უფრო უარესი ვითარება იქნება, ყველა ქარხანა გაჩერდება. ასეთი პოლიტიკა თვით საბჭოთა კავშირის არსში იყო ჩადებული. ამ სახელმწიფოზე იყო მიჯაჭვული საქართველო, და არა მარტო საქართველო. ერთი დეტალი სვერდლოვსკში მზადდებოდა, მეორე — კიევში, მესამე — საქართველოში. ახლა, სანამ ახალი კავშირი არ იქნება, ჩვენ უნდა შევეცადოთ, აღვადგინოთ და შევინარჩუნოთ ძველი, რომ როგორმე შიმშილს გადავურჩეთ.

აქ ბევრი ითქვა საქართველოს გეოპოლიტიკურ მდებარეობაზე. იგი მართლაც უნიკალურია. გავა წლები და ჩვენ დიდი შემოსავლები გვექნება სწორედ იმიტომ, რომ სატრანზიტო არხად გადაიქცევა ჩვენი რეგიონი. მაგრამ თუ რუსეთი არ იქნება ჩართული მთელ ამ კომპლექსში, ისე მივიღებთ იმის 30 პროცენტს, რისი მიღებაც შეგვეძლო, შეიძლება ნაკლებსაც. მე მგონია, დღეს ჩვენი ხალხი მომწიფდა იმისათვის, რომ მარტო გრძნობებით აღარ ვიხელმძღვანელოთ. ყველაფერი ეს, პოლიტიკური ურთიერთობის, სახელმწიფოთაშორის ურთიერთობის საკითხები, მათ შორის სამხედრო პრობლემები, ეკონომიკის საკითხები უნდა განვიხილოთ ერთ კომპლექსში. და ერთხელ და სამუდამოდ დავადგეთ ამ ქვეყანასთან თანასწორუფლებიან, კეთილმეზობლურ და ურთიერთსასარგებლო გზას. ვიმეორებ, დღევანდელი მსოფლიო, ახალი წესრიგი ამის საშუალებას იძლევა. ამის თქმისა არც ერთი აუდიტორიის წინაშე არ მეშინია, რაგინდ რადიკალურად განწყობილიც უნდა იყოს, რამეთუ მჯერა, რომ ხვალ და ზეგ ყველა დარწმუნდება, რომ ეს არის ერთადერთი სწორი გზა, ისევე, როგორც თურქეთთან, აზერბაიჯანთან, სომხეთთან მეგობრობა, მეგობრობა და ურთიერთდახმარება ამერიკის შეერთებულ შტატებთან, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან და ა. შ. ამ გზით უნდა ვიაროთ, მაგრამ ამისათვის დღევანდელი დღე უნდა გადავარჩინოთ.

სახელმწიფოს მეთაურმა ილაპარაკა იმ ეკონომიკურ და ფინანსურ სიძნელეებზე, რომლებიც დღეს რეალურად, მთელი სიგრძე-სიგანით დგას ქვეყნის წინაშე. ამ პირობებში, თქვა მან, უნდა ვიფიქროთ, იმაზე, რომ სამანეთო ზონიდან გამოსვლის მომენტისათვის შევქმნათ ჩვენი საკუთარი რესურსები და რეზერვები. მთელი ეს კომპლექსი, განსაკუთრებით ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხები არ ბადებს ეჭვს, რომ ჩვენ მართლაც უნდა ავაშენოთ თვისობრივად ახალი ურთიერთობა ამ დიდ ქვეყანასთან. ამაში ჩვენც ვართ დაინტერესებული, მაგრამ რუსეთიც დაინტერესებულია. დღეს ეს თუ არ ესმით, ხვალ გაიგებენ!

ჟურნალისტებთან ერთ-ერთ შეხვედრაზე ვთქვი და ჩემს კოლეგებსაც მივწერე დასავლეთში, რომ უნდა გაიგოს რუსეთმა, — ღმერთმა ნუ ქნას, — მაგრამ საქართველო რომ დაიშალოს, ამით დაიწყება რუსეთის დაშლაც. ეს კი იქნება უბედურება მთელი მსოფლიოსათვის. ადრე თუ გვიან, ამის არგუმენტები ად ფაქტები გვაქვს რუსეთშიც გაიგებენ ამას.

10 მარტს პარლამენტმა განაგრძო პოლიტიკური დებატები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ.

ნომერში

⊙ საქართველოს რესპუბლიკაში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების საშუალოვადიანი პროგრამა. 2-7

⊙ მძიმე და სახიფათო ოპერაციას ხელმძღვანელობდნენ. 8

შეხვედრა ფრანგ ბიზნესმენებთან

10 მარტს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო საფრანგეთის დელეგაცია „საფრანგეთი-რონ-ალპები-საქართველოს" ასოციაციის პრეზიდენტის ჟერარ ბურდ-ალექსის მეთაურობით. ედუარდ შევარდნაძესთან საუბარში მათ განაცხადეს:

— თქვენი საერთაშორისო ავტორიტეტი და დაინტერესება ფართო გზას გაგვიხსნის ჩვენი ურთიერთსასარგებლო გეგმებისა და მიზნების განხორციელებაში, — განაცხადა ჟერარ ბურდ-ალექსიმ, ასოციაცია „საფრანგეთი-რონ-ალპები-საქართველოს" პრეზიდენტმა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან — სახელმწიფოს მეთაურთან ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრაზე.

ბატონი ჟერარ ბურდ-ალექსი ფრანგ ბიზნესმენებთან ერთად იმყოფება საქართველოში, რათა დაამყაროს მჭიდრო კონტაქტები ქართველ კოლეგებთან. მან გააცნო ბატონ ედუარდ შევარდნაძეს პროექტი, რომელიც ითვალისწინებს საფრანგეთისა და საქართველოს ქალაქების მერიების მეგობრობასა და თანამშრომლობას, მნიშვნელოვანი ურთიერთხელსაყრელი პროექტების განხორციელების მიზნით.

საუბრისას ფრანგმა სტუმარმა აღნიშნა, რომ ყოველკვირეულად 15 წუთს საფრანგეთის რადიო დაუთმობს ეთერს გადაცემებს საქართველოზე. ფრანგი მსმენელები გაეცნობიან ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს, ინფორმაციას მისი უძველესი და უმდიდრესი ისტორიისა და კულტურის შესახებ.

ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ გულთბილი მადლობა გადაუხადა ფრანგ სტუმრებს კეთილი და საქმიანი ურთიერთობის დამყარების სურვილისათვის და აღუთქვა მათ, რომ აღმოუჩენს ყოველმხრივ მხარდაჭერასა და დახმარებას, საქართველო, — თქვა მან, — მოხარულია დაამყაროს მჭიდრო კონტაქტები საფრანგეთთან, რომელთანაც ჩვენ ტრადიციულად კეთილი ურთიერთობა გვაქვს. მომავალი თანამშრომლობა კი ახალ ფურცელს გადაშლის ამ ურთიერთობაში.

• • •

ამავე დღეს დელეგაცია მიიღო საქართველოს პრემიერ-მინისტრმა თენგიზ სიგუამ.

შეხვედრაზე განიხილეს მნიშვნელოვანი საკითხები, მათ შორის საკადასტრო სისტემის შექმნა საქართველოში, მათი ხელშეწყობით განხორციელდება გამოკვლევები და ვიდეოგადაღებები.

დიდი ინტერესი გამოიწვია თბილისის აეროპორტის რეკონსტრუქციისა და გაფართოების საკითხმა. აპირებენ გახსნან ახალი საერთაშორისო ხაზები: თბილისი-პარიზი, თბილისი-ლიონი.

ბატონმა თენგიზ სიგუამ მადლობა გადაუხადა სტუმრებს საქართველოსათვის ესოდენ რთულ და დაძაბულ ჟამს ქმედითი მონაწილეობისა და პარტნიორობისათვის.

დელეგაციის მეთაურმა ბატონმა ჟერარ ბურდ-ალექსმა თქვა:
— ეს ჩემი მეოთხე ვიზიტია საქართველოში. ამჯერად, ჩამოვიტანეთ მედიკამენტები აფხაზეთში მებრძოლი ქართველი პატრიოტებისათვის. ჩვენი ასოციაციის წარმომადგენლები ყოველი ჩამოსვლისას ჩამოიტანენ მედიკამენტებს.

რონ-ალპების რეგიონი, საიდანაც მე გახლავართ, თავისი ტერიტორიითა და მცირერიცხოვანი მოსახლეობით ძალიან ჰგავს საქართველოს, მაგრამ ჩვენს რეგიონს დიდი მიღწევები აქვს ეკონომიკაში, და ვიმედოვნებ, რომ თქვენ სულ მალე გამოიყვანთ ეკონომიკას კრიზისიდან.

მიღებამ გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

საქართველოს პარლამენტის მიმართვა

რუსეთის ფედერაციის უმაღლეს საბჭოს, რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ბატონ ბორის ელცინს

როგორც ცნობილი გახდა, 1993 წლის 6 მარტს ჩრდილოეთ ოსეთის სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ოსი სეპარატისტების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ გამოცხადებული ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის ცნობის შესახებ.

მართალია, აღნიშნულ გადაწყვეტილებას საერთაშორისო სამართლის თანახმად იურიდიული ძალა არ გააჩნია, მაგრამ მას შეუძლია დააბრკოლოს საქართველოს ტერიტორიაზე მიმდინარე პროცესების პოლიტიკური გზით რეგულირება, რასაც საფუძველი ჩაეყარა რუსეთ-საქართველოს 1992 წლის 24 ივნისის დაგომისის შეთანხმებით და ბატონების ედუარდ შევარდნაძის და ბორის ელცინის განცხადებით იმის თაობაზე, რომ მხარეები ცნობენ ერთმანეთის სახელმწიფო სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობასა და საზღვრების ურღვეობას.

ამ ფონზე რუსეთის შემადგენლობაში მყოფი ფედერაციის სუბიექტის მცდელობა ხელყოს მეზობელი დამოუკიდებელი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა და რუსეთის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების დუმილი ამ ფაქტთან დაკავშირებით აღიქმნება როგორც საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტის შელახვა და კავკასიაში არასტაბილურობისათვის ხელის შეწყობა.

ყოველივე ეს არა მარტო უხეშად არღვევს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებს, არამედ ეწინააღმდეგება თვით რუსეთის ფედერალურ კანონმდებლობას და მის მიერ ნაკისრ საერთაშორისო ვალდებულებებს.

საქართველოს პარლამენტი იმედოვნებს, რომ რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი და უმაღლესი საბჭო განახორციელებენ ეფექტიან ღონისძიებებს ამგვარ სამართალსაწინააღმდეგო ქმედებათა აღსაკვეთად, რაც ხელს შეუწყობს ორ ქვეყანას შორის კეთილმეზობლური, თანასწორუფლებიანი ურთიერთობის დამკვიდრებას. წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი პასუხისმგებლობა შესაძლო უარყოფით შედეგებზე რუსეთის მხარეს დაეკისრება.

თბილისი. 1993 წლის 10 მარტი.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის თ. გ. შავგულიძის დაკრძალვის მოწყობის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა **დაადგინა:**

1. შეიქმნას გამოჩენილი საზოგადო მოღვაწისა და მეცნიერის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის თამაზ გრიგოლის ძე შავგულიძის დაკრძალვის მოსაწყობად კომისია შემდეგი შემადგენლობით: გ. სანაძე (თავმჯდომარე), თ. ნინიძე, კ. კემულარია, მ. უგრეხელიძე, ნ. რუხაძე, ი. ხელაშვილი, დ. მელიქიშვილი, გ. ტყეშელიაძე.

2. დაიკრძალოს თამაზ შავგულიძე საბურთალოს საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

3. დაკრძალვის ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო.

როგორ მიმდინარეობს სასამართლო რეფორმა?

სამართლებრივ სახელმწიფოში, რომლის შექმნასაც ამჟამად ვესწრაფვით, სასამართლო ხელისუფლებას განსაკუთრებული როლი და ადგილი რომ ეთმობა, აქსიომური ჭეშმარიტებაა. მაგრამ ამ მხრივ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

რამდენად სწორია ის, რაც გაკეთდა და როგორ, რა არის მოსაგვარებელი უახლოეს პერიოდში? ამ საკითხებზე გაიმართა საქმიანი, დაინტერესებული სჯა-ბაასი რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში.

სხდომა გახსნა საქართველოს იუსტიციის მინისტრმა კოტე კემულარიამ.

სასამართლო რეფორმის მიმდინარეობის შესახებ მოხსენება გააკეთა სასამართლო რეფორმის სამთავრობო კომისიის თავმჯდომარემ, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორმა პროფესორმა თენგიზ ლილუაშვილმა.

კამათში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ ჯ. მიქელაძემ, რესპუბლიკის პარლამენტის იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ შ. ნათელაშვილმა, პროფესორებმა გ. ინწკირველმა, გ. ტყეშელიაძემ, ა. ფალიაშვილმა და სხვებმა.

— დღევანდელი შეხვედრა, — გვითხრა იუსტიციის მინისტრმა კოტე კემულარიამ, — იმითაც არის საყურადღებო, რომ მასში მონაწილეობდნენ როგორც მეცნიერი, ისე პრაქტიკოსი იურისტები. სასამართლო რეფორმის და კანონშემოქმედებითი საქმიანობის განხორციელებისათვის. მათი ერთობლივ საქმიანობას კი უმნიშვნელოვანესი როლი ენიჭება. მეცნიერებმაც და პრაქტიკოსებმაც ერთობლივი ძალისხმევით უთუოდ უნდა შევძლოთ სასამართლო რეფორმის განხორციელება და ნამდვილი სასამართლო ხელისუფლების ჩამოყალიბება. განა საგანგაშო არ არის ის, რომ რესპუბლიკაში რეგისტრირებულ დანაშაულთა 80 პროცენტზე მეტი მართლმსაჯულების ყურადღების მიღმა რჩება? იქნებ ამ საკითხის დაყენება დღეს ერთგვარად ნაადრევი და ბევრისთვის მოულოდნელიც იყო, მაგრამ საქმისათვის უმჯობესია სასჯელთა აღსრულების დაწესებულებების ჩვენი სამინისტროს სისტემაში გადმოცემა და, შესაბამისად, სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების დეპარტამენტის შექმნა. რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, შეუნელებელი ყურადღება უნდა დავუთმოთ კადრებს, მოსამართლეთა კვალიფიკაციისა და ავტორიტეტის ამაღლებას.

გადავწყვიტეთ თვეში ერთხელ მოვაწყოთ ასეთი შეხვედრები.

გია იოსელიანი.

უცხოეთის პრესიდან



Вся власть учредительному собранию!
Собачье сердце
—Стоп, стоп, стоп... Борис Николаевич, не Учредительное собрание разогнать, а съезд депутатов... Съезд... Не торопитесь. Репетируем еще раз.
Г. Бурбулис Пьесы
А.П.

წარწერა ზემოთ:
მთელი ძალაუფლება დამფუძნებელ კრებას!
წარწერა ქვემოთ:
— მოიცათ, მოიცათ... ბორის ნიკოლოზის ძევ, დამფუძნებელი კრება კი არ უნდა გავრეკოთ... ყრილობა... ნუ იჩქარებთ, კიდევ ერთხელ გავიმეოროთ.

გაზეთი „სოვეტსკაია როსია", 4 მარტი, 93 წ.

საქართველოს რესპუბლიკაში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების საშუალოვადიანი პროგრამა

საქართველოს რესპუბლიკაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკური პროცესები ცალსახად ადასტურებს, რომ ქვეყანა შეუქცევად დაადგა ეკონომიკაში საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრების გზას, ამასთან, სამეურნეო საქმიანობის ძირითადი შედეგები მეტყველებენ, რომ დირექტიულ-გეგმური წყობიდან საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა ურთულეს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სიტუაციაში მეტად მტკივნეულად მიმდინარეობს. ეცემა წარმოება და იზრდება ინფლაცია. მდგომარეობას უკიდურესად ართულებს რესპუბლიკაში საკუთარი ვალუტის უქონლობა და მისი სამანეთო ზონაში ყოფნა, რაც ფაქტობრივად რუსეთის მხრიდან საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკაზე პოლიტიკურ და სამხედრო ზემოქმედებასთან ერთად დესტაბილიზაციისა და დესტრუქციული პროცესების გამომწვევი ერთ-ერთი ინსტრუმენტია.

აღნიშნული და სხვა სიძნელეების მიუხედავად განვლილია პირველი, ყველაზე რთული ეტაპი, რომლის ძირითადი შედეგია სოციალისტური სისტემის დემონტაჟი და მისი რესტავრაციის ყოველგვარი ეკონომიკური საფუძვლის მოსპობა.

ამასთან, გასავლელია ძალზე კრიტიკული და საპასუხისმგებლო ეტაპი, რომელიც საბაზრო ურთიერთობების აღმოცენება-განვითარებისათვის შესაფერის ეკონომიკური გარემოს შექმნის მთელ პერიოდს მოიცავს.

პირველ რიგში აუცილებელია ხალხის ფსიქოლოგიის ახალ ვითარებასთან შეგუება. ამის პოლიტიკურ საფუძველს ქმნის რესპუბლიკაში ახალი ლეგიტიმური პარლამენტის არჩევა, საქართველოს გაწევრიანება გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის თათბირში, საერთაშორისო სავალუტო ფონდსა და მსოფლიო ბანკში, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში. რესპუბლიკის საერთაშორისო აღიარება ხელს შეუწყობს და გააადვილებს რესპუბლიკაში საბაზრო ურთიერთობათა საბოლოოდ ჩამოყალიბების პროცესს დასავლეთის მხრიდან პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერის საფუძველზე. ამასთან, ამ პროცესის დაჩქარებისა და შედარებით უმტკივნეულოდ განხორციელების მიზნით მოსაგვარებელია მრავალი მნიშვნელოვანი ეკონომიკური და სოციალური პრობლემა. კერძოდ, უნდა დაიხვეწოს საფინანსო-საბიუჯეტო რეგულირების წესები და მეთოდები, ჩამოყალიბდეს ახალ ურთიერთობათა განვითარებისათვის აუცილებელი ფულად-საკრედიტო პოლიტიკა და გატარდეს ფულადი სისტემის რეფორმა, ხელი შეეწყოს საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობებს, ვაჭრობისა და ფასების შემდგომ ლიბერალიზაციას, გარდამავალი პერიოდის მოთხოვნილებებს შეეფარდოს საინვესტიციო პოლიტიკა, კონკურენტუნარიანი კერძო სექტორის ჩამოყალიბების მიზნით დაჩქარდეს სახელმწიფო ქონების პრივატიზაციისა და აგრარული რეფორმის პროცესები და ა. შ. ამ ღონისძიებათა შედეგების გათვალისწინებით უნდა ჩამოყალიბდეს მოსახლეობის სოციალური დაცვის ქმედითი ინსტრუმენტი.

აღნიშნული პრობლემები უნდა გადაწყდეს რესპუბლიკაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმის შემდგომი ეტაპის განხორციელების საშუალოვადიან პროგრამაში, რომელშიც გათვალისწინებული იქნება საერთაშორისო ეკონომიკურ გაერთიანებათა ექსპერტების მოსაზრებებიც.

პროგრამის მოქმედების სავარაუდო ვადად მიჩნეულია 18 თვე. ამ პროგრამის ძირითადი ასპექტები მოცემულია ქვემოთ.

და ბოლოს, აქვე უნდა აღინიშნოს ის დიდი დახმარება და თანადგომა, რომელსაც იჩენს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესების შესწავლისა და ანალიზისადმი საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი. მათ მიერ მომზადებული მოხსენებები, რეკომენდაციები და გაწეული კონსულტაციები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სწორი ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებისა და მათი რეალურად ხორცშესხმის საქმეში. ისინი ნაწილობრივ ამ პროგრამაშიც აისახა.

1. ეკონომიკური მდგომარეობის შეფასება და რეფორმის მიმდინარეობა

1. 1. თანამედროვე ეკონომიკური ვითარება

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის თანამედროვე მდგომარეობას განსაზღვრავს ეკონომიკური და არაეკონომიკური, შინაგანი და გარე ნეგატიური და დესტრუქციული ფაქტორების ერთობლიობა.

რადიკალურ რეფორმატორულ ღონისძიებათა განხორციელებისა და საზღვარგარეთის ქვეყნებიდან გარკვეული დახმარების მიღების მიუხედავად ვერ მოხერხდა ეკონომიკის სფეროში წინა წლებში წარმოქმნილი უკიდურესად ნეგატიური ტენდენციების შეჩერება. ღრმა კრიზისმა მოიცვა ეკონომიკისა და სოციალური სფეროს ყველა დარგი.

რესპუბლიკაში ეკონომიკური აქტივობის დაცემა და ინფლაციის ზრდა უფრო მეტად არსებული ეკონომიკური სისტემის პროცესირებადი მსხვრევის შედეგია, ვიდრე სისტემატური რეფორმებისა.

ძველი ეკონომიკური სისტემის მსხვრევა და ახალ, საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა თავისთავად წარმოქმნის წინა პერიოდებისათვის სავსებით უცხო, ურთულეს სოციალურ-ეკონომიკურ და ორგანიზაციულ კოლიზიებს, რაც აძნელებს ახალი პირობებისადმი მოსახლეობის ფართო ფენებისა და მეწარმეთა ადაპტაციას.

აღნიშნული სიძნელეები ნაწილობრივ ორგანიზაციული ფაქტორებითაც არის განპირობებული და ლეგიტიმური პარლამენტის არჩევისა და ახალი სამთავრობო სტრუქტურების ჩამოყალიბების შემდეგ მათი დაძლევის რეალური პირობები შეიქმნა.

გაცილებით რთული და მტკივნეულია ის ფაქტორები, რომლებიც დაკავშირებულია ყოფილი სსრ კავშირის ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსში ხანგრძლივი ყოფნის შედეგად საქართველოს ეკონომიკის ავტონომიური ფუნქციონირების მეტისმეტად დაბალ შესაძლებლობებთან. რესპუბლიკის ეკონომიკა სათბობ-ენერგეტიკული და მატერიალურ-სანედლეულო რესურსების შემოზიდვის თვალსაზრისით, თითქმის მთლიანად დამოკიდებული აღმოჩნდა რუსეთსა და დსთ-ს სხვა ქვეყნებზე.

ამავე ქვეყნებით არის შემოფარგლული რესპუბლიკის საექსპორტო შესაძლებლობათა რეალიზაციის არეალი. ამასთან, საქართველოს რესპუბლიკა იძულებულია დროებით იმყოფებოდეს მანეთის ზონაში. უკიდურესად გაძნელებულია ანგარიშსწორება აღნიშნულ ქვეყნებთან, რაც აფერხებს საქონელგაცვლას, აგრეთვე უარყოფით დაღს ასვამს რესპუბლიკის ფულად-საკრედიტო და საბანკო სისტემებს.

ზემოაღნიშნულით განპირობებულია საქართველოს ეკონომიკის დაქვემდებარებული ურთიერთობა რუსეთთან და დსთ-ს ქვეყნებთან, აგრეთვე მისი დაუცველობა გარეეკონომიკური და პოლიტიკური ზეგავლენისაგან. მეტწილად ამითაც აიხსნება 1992 წელს რესპუბლიკაში ეკონომიკური დაქვეითების ტენდენციების გაძლიერება შიდა დესტრუქციული და გარეაგრესიული ძალების გააქტიურების პირობებში, რაც საომარ მოქმედებათა, საბოტაჟისა და დივერსიების ესკალაციაში, სატრანსპორტო და ენერგეტიკული ბლოკადის მასობრივი შემთხვევებით გამოიხატება. რესპუბლიკის სამეურნეო ბრუნვიდან გამოითიშა და თვეების განმავლობაში უმოქმედოდაა ეკონომიკური პოტენციალის მნიშვნელოვანი ნაწილი. ამით გამოწვეული პირდაპირი ზარალისა და არაპირდაპირი დანაკარგების მოცულობა რამოდენიმე ათეული მილიარდი მანეთის ტოლია. ასეთმა ვითარებამ კიდევ უფრო გაამწვავა მანეთის ზონაში ფასების შეუზღუდავი ზრდის, ინფლაციური პროცესების გაძლიერებისა და ეკონომიკური კავშირების მოშლის მადესტაბილიზებელი გავლენა რესპუბლიკის ეკონომიკაზე.

უპირველესად ეს რესპუბლიკის სამრეწველო წარმოებას ეხება, რომლის დონის დაცემის მასშტაბი სულ უფრო საშიშ ხასიათს იღებს. იმ 78 უმნიშვნელოვანესი სახეობის პროდუქციიდან, რომელსაც ნატურალურ გამოსახულებაში სისტემატურად აღრიცხავენ, 1992 წელს 1991 წელთან შედარებით კვლავ მნიშვნელოვნად შემცირდა პროდუქციის 72 სახეობის წარმოების მოცულობა.

1992 წლის შედეგებით წარმოების დონე დაეცა: ელექტროენერგიისა — 36 პროცენტით 1985 წელთან შედარებით და 27,2 პროცენტით 1990 წელთან შედარებით, მზა ნაგლინისა — 3,7-ჯერ და 3.3-ჯერ შესაბამისად, ფოლადის მიღებისა — 2,3-ჯერ და 2,2-ჯერ, ლითონსაჭრელი ჩარხებისა — 2,2-ჯერ და თითქმის 1,2-ჯერ, სინთეზური სარეცხი საშუალებებისა — 1,8-ჯერ და 2,6-ჯერ, მინერალური სასუქებისა — 22,9 პროცენტით და 40 პროცენტით, ქსოვილებისა 4-ჯერ და მეტად და 3,8-ჯერ, ტრიკოტაჟის ნაწარმისა — 9-ჯერ და 10-ჯერ, ტყავის ფეხსაცმლისა — 2-ჯერ და 1,7-ჯერ და ა. შ.

საბოლოო ანგარიშით მრეწველობის მთლიანმა პროდუქციამ შეადგინა 1992 წელს 1991 წლის დონის — 54,3 პროცენტი, 1985 წლის — 44,3 პროცენტი და 1990 წლის — 43,1 პროცენტი.

მძიმე მდგომარეობაშია აგროსამრეწველო კომპლექსის დარგები და საწარმოები. 1992 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქტების მწარმოებელ მთავარ სექტორში საზოგადოებრივ მეურნეობებში აწარმოეს 40.4 პროცენტით ნაკლები ხორცი, 56,1 პროცენტით ნაკლები რძე, 60,9 პროცენტით ნაკლები კვერცხი, თითქმის 17 პროცენტით ნაკლები მატყლი 1991 წლის შესაბამის მაჩვენებლებთან შედარებით. შემაშფოთებელია რესპუბლიკის მთავარი სავალუტო-საექსპორტო პროდუქციის — ჩაის წარმოების არნახული დაბალი დონე, რაც დასავლეთ საქართველოში არასტაბილური მდგომარეობის, კონფლიქტებისა და საომარი მოქმედებების შედეგია. კერძოდ, 1992 წელს მოიკრიფა და გადამამუშავებელ ფაბრიკებს ჩაბარდა 205 ათასი ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც 1985 წლის მაჩვენებლის მხოლოდ 35 პროცენტია, 1990 წლის დონის 39,5 პროცენტი და 1991 წლის დონის ნახევარზე ოდნავ მეტი.

წარმოების მოცულობის ასეთი შემცირება გამოწვეულია უწინარესად რესურსული შიმშილით. 1991-1992 წლების შემოდგომა-ზამთრის სეზონისათვის თხევადი სათბობის არასაკმარისი ოდენობითა და დაგვიანებით შემოზიდვის გამო 1992 წელს დაირღვა რესპუბლიკაში ელექტრო და თბოენერგიის წარმოებისა და განაწილების თავისთავად დაძაბული ბალანსები და უკიდურესად გამწვავდა ენერგეტიკული კრიზისი, რის გამოც ბევრი სამრეწველო საწარმო 1992 წლის დასაწყისიდან 2,5-3 თვე სრულიად უმოქმედოდ იდგა. ამასთან, რუსეთის ფედერაციამ პოლიტიკური მოსაზრებებით რამდენჯერმე შეწყვიტა ბუნებრივი გაზის მოწოდება, გახშირდა დივერსიები გაზსადენზე, შეფერხებები სხვა სახეობის ენერგორესურსების მოწოდებაში, რამაც კიდევ უფრო გაზარდა საწარმოთა უმოქმედოდ გამოწვეული ზარალი.

აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საქართველოში ყოფილი საბჭოთა ეკონომიკისაგან მემკვიდრეობით მიღებული და უკანასკნელ, ე. ი. დესტაბილიზაციის პერიოდში მზარდი ე. წ. ჩრდილოვანი (არალეგალური, აღურიცხავი) ეკონომიკის დიდი მასშტაბების გათვალისწინებით წარმოების დაქვეითების მაჩვენებლები შესაძლებელია 10-15 პუნქტით ნაკლები იყოს.

1992 წელს რესპუბლიკაში აწარმოეს 320 ათასი ტონა ბოსტნეული, ანუ შესაბამისად 1985 და 1990 წლების მაჩვენებლების 53,0 და 72,2 პროცენტი, კარტოფილი — 283 ათასი ტონა, ანუ შესაბამისად 71,8 და 96,2 პროცენტი, ყურძენი — 390 ათასი ტონა, ანუ შესაბამისად 42,6 და 56,4 პროცენტი, ხილი — 200 ათასი ტონა, ანუ შესაბამისად 27,6 და 33,8 პროცენტი, ციტრუსი — 270 ათასი ტონა, ანუ შესაბამისად — 2-ჯერ მეტი და 95,4 პროცენტი, ხორცი — 139 ათასი ტონა, ანუ 83,7 და 85,3 პროცენტი, რძე — 347 ათასი ტონა ანუ 50,7 და 49,4 პროცენტი და ა. შ.

უკანასკნელ პერიოდში აგრარულ სექტორში შექმნილმა სერიოზულმა სიძნელეებმა და ნეგატიური ხასიათის ტენდენციებმა მნიშვნელოვნად შეასუსტეს სასოფლო-სამეურნეო წარმოების საწარმოო ბაზა. კერძოდ, საგრძნობლად იკლო დამუშავებული მიწის ფართობებმა, მკვეთრად შემცირდა მარცვლეულის, ხეხილის, ვენახის ფართობები. 1990-1991 წლებში რესპუბლიკის საზოგადოებრივ მეურნეობებში სულ გააშენეს 340 ჰექტარი ხეხილის ბაღები და 1600 ჰექტარი ვენახი. ამასთან ამოძირკვეს 4800 ჰექტარი ხეხილი და 3000 ჰექტარი ვენახი. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა მრავალწლიანი ნარგავების მხრივაც..

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა მეცხოველეობა. საზოგადოებრივ მეურნეობებში არასწორად წარმართულმა რეორგანიზაციამ და მიწის პრივატიზებამ მთლიანად მოშალა შრომისა და სახელმწიფო დისციპლინა, ქონების განაწილებაზე მთავარი ყურადღების გადატანამ მისი განიავება-დატაცება გამოიწვია. საკუთარი საკვები ბაზის მოშლისა და სახელმწიფო რესურსებიდან კომბინირებული საკვების მიღების მკვეთრად შემცირების შედეგად მნიშვნელოვნად შემცირდა პირუტყვისა და ფრინველის სულადობა, როგორც საზოგადოებრივ, ისე კერძო სექტორში, საგრძნობლად გაუარესდა მათი პროდუქტიულობის მაჩვენებლები. გაიზარდა ყველა სახეობის მეცხოველეობის პროდუქციის თვითღირებულება.

სოფლის მეურნეობაში შექმნილი უკიდურესად არახელსაყრელი მდგომარეობა უარყოფით გავლენას ახდენს რესპუბლიკის კვების და გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარებაზე.

სანედლეულო ბაზის მკვეთრად შეზღუდვის გამო 1992 წელს 1991 წლის დონესთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირდა ყურძნის ღვინოების (36,4 პროცენტი), შამპანურის (27,5 პროცენტი), კონიაკის (45,2 პროცენტი), დაფასოებული ჩაის (63,0 პროცენტი). შაქრის (81,3 პროცენტი), ხორცის (74,3 პროცენტი), ყველისა (78,3 პროცენტი) და ა. შ. წარმოების მოცულობანი. ასეთი ვითარება უკიდურესად აღარიბებს რესპუბლიკის სამომხმარებლო ბაზარს, აქვეითებს მოსახლეობის ცხოვრების დონეს.

რთული მდგომარეობა შეიქმნა ინვესტიციურ სფეროში. 1992 წელს არ ამოქმედებულა არც ერთი მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი საწარმოო დანიშნულების ობიექტი, ძალზე მცირეა საბინაო და სოციალური სფეროს სხვა ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის მაჩვენებლებიც. განსაკუთრებით რთული ვითარებაა მიწისძვრისა და საომარი მოქმედებების შედეგად დაზარალებულ რაიონებში, სადაც ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა სახსრების კონცენტრაციის მიუხედავად მშენებლობის ფასების სწრაფი ზრდის პირობებში ძალზე დაბალია რეალურად შესრულებულ სამუშაოთა დონე. 1992 წელს ბიუჯეტის მწვავე დეფიციტის პირობებში დაწყებული ობიექტების მშენებლობისა და სტიქიისაგან დაზარალებულ ზონაში სამუშაოების გასაგრძელებლად გამოიყო ამისათვის საჭირო თანხის დაახლოებით მეოთხედი. ამასთან, ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა თითქმის ნახევარი მოხმარდა სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაციასა და სამოქალაქო კონფლიქტის შედეგად რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონში დაზიანებული ობიექტებისა და თბილისის ცენტრალური უბნის აღდგენას.

დაფინანსების უქონლობის გამო საერთოდ გაჩერებულია უმნიშვნელოვანესი სამეურნეო დანიშნულებისა და მომსახურების სფეროს მრავალი ობიექტის მშენებლობა, რომელთა დიდი ნაწილი დაკონსერვების გარეშეა მიტოვებული და განადგურების საფრთხე ემუქრება.

სერიოზული სიძნელეების წინაშე აღმოჩნდა ტრანსპორტის ყველა დარგი, რომელსაც მწვავე რესურსული და საწვავის დეფიციტის გარდა რკინიგზებისა და საავტომობილო მაგისტრალების განუწყვეტელი ბლოკადის პირობებში უხდებოდა მუშაობა. ამის შედეგად რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად შემცირდა ტვირთების გადაზიდვისა (2-ჯერ 1991 წელთან შედარებით) და მგზავრთა გადაყვანის (31,5 პროცენტით) მაჩვენებლები. მნიშვნელოვნად არის შემცირებული საჰაერო ტრანსპორტის მუშაობის მოცულობაც (ტვირთბრუნვა შემცირდა 33,8 პროცენტი, მგზავრთა გადაყვანის მოცულობა — თითქმის 2-ჯერ), სანახევროდ იყო დატვირთული საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოთა სიმძლავრეები.

მატერიალური სფეროს დარგებში წარმოების მოცულობის მნიშვნელოვანმა დაქვეითებამ უარყოფითი გავლენა მოახდინა წარმოების ეფექტიანობასა და მაკროეკონომიკურ მაჩვენებლებზე. 1985 წელს წარმოების სფეროში დასაქმებული ყოველი მუშაკი 2,3-ჯერ მეტ წმინდა პროდუქტს ქმნიდა ვიდრე 1992 წელს. ამავე პერიოდში უკუგება ძირითადი წარმოებრივი ფონდებიდან სამჯერ და მეტად შემცირდა, ხოლო წარმოებული პროდუქციის მასალატევადობა — 19 პროცენტით გაიზარდა.

წინასწარი შეფასებით 1992 წელს მიღებულია მთლიანი ეროვნული პროდუქტის, წმინდა პროდუქტის, სამრეწველო პროდუქციის წარმოების წლის დასაწყისისათვის არსებულ პოტენციურ (სავარაუდო) შესაძლებლობათა ნახევარი ან უფრო ნაკლები. ამის გამო 1992 წელს ერთ სულ მოსახლეზე წმინდა პროდუქციის წარმოების მოცულობამ 1985-1990 წლებში მიღწეული საშუალო დონის დაახლოებით მესამედს მიაღწია.

რთული მდგომარეობაა სოციალურ სფეროში. უკვე მინიმალურადაც ვერ კმაყოფილდება მოსახლეობის სასიცოცხლო მოთხოვნილება სურსათზე, სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებაზე. ეს გამოწვეულია ერთის მხრივ, საკუთარი წარმოების მასშტაბების მნიშვნელოვანი შემცირებითა და გარედან შემოზიდვების უკიდურესად შეზღუდულობით, მეორეს მხრივ, სამომხმარებლო საქონელსა და მომსახურებაზე ფასების განუზრელი ზრდით. კერძოდ, მარტო 1992 წელს აღნიშნული ფასები 25-ჯერ გაიზარდა.

აუცილებლობა მოითხოვს ისეთი ღონისძიებების განხორციელებას, რომელიც უზრუნველყოფს: მოსახლეობის მინიმალურად აუცილებელ სოციალურ დაცვას და მისი გაძლიერების წინაპირობების შექმნას და ეკონომიკის პარალიზების თავიდან აცილებას, სტაბილიზაციის მიღწევასა და შემდგომ პერიოდში კრიზისული სტადიიდან გამოსვლისათვის აუცილებელი სისტემური და სტრუქტურული საფუძვლების ჩამოყალიბებას. ამ ამოცანის გადაწყვეტის ხელსაყრელ პოლიტიკურ გარემოს ქმნის საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლების ლეგიტიმურობა; მისი აქტიური მონაწილეობა საერთაშორისო პოლიტიკურ და ეკონომიკურ ორგანიზაციებში. ამავე დროს უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს შიგაპოლიტიკური პრობლემების მოწესრიგებასა და მეზობელ ქვეყნებთან ყოვლისმომცველი ეკონომიკური ხელშეკრულების გაფორმებას.

რესპუბლიკის უკიდურესად დაძაბული ბიუჯეტის მიუხედავად მთავრობა იძულებულია ფასების ზრდის პარალელურად სისტემატურად გაზარდოს ხელფასები (1992 წლის დასაწყისიდან მინიმალური ხელფასი გაიზარდა 13-ჯერ, ხოლო საშუალო ხელფასი — 9-10-ჯერ), მაგრამ მოსახლეობის შემოსავლების გადიდება ჩამორჩება ფასების ზრდას და ცხოვრების დონე სულ უფრო მეტად ქვეითდება. მაგალითად, მინიმალური ხელფასის რამდენიმეჯერ გაზრდის მიუხედავად 1992 წელს წინასწარი მონაცემებით მინიმალური ხელფასით უზრუნველყოფილი იყო რაციონალური კალათის მხოლოდ 15,1 პროცენტი და მინიმალური კალათის — 20,2 პროცენტი.

სამომხმარებლო ბაზრის ასეთი სიღატაკის პირობებში, ცხადია, მკვეთრად მცირდება საცალო საქონელბრუნვის მოცულობა. კერძოდ, 1991 წელს ეს მაჩვენებელი 28 პროცენტით შემცირდა და საშუალოდ ერთ სულ მოსახლეზე 951 მანეთი შეადგინა, რაც 1990 წლის მაჩვენებლის 72 პროცენტს შეადგენს. თუმცა აღრიცხვა-ანგარიშგების მოუწესრიგებლობის გამო აქ გათვალისწინებული არ არის კერძო ვაჭრობის მოცულობის მაჩვენებელი, რაც სისტემატურად იზრდება და ექსპერტთა შეფასებით სახელმწიფო და კოოპერაციული საქონელბრუნვის მთლიანი მოცულობის მესამედის ტოლია. აღნიშნულის გათვალისწინებით 1992 წლის საქონელბრუნვის მოცულობა 1991 წლის ანალოგიური მაჩვენებლის ერთ მესამედზე მეტი არ არის (18,3 მლრდ მანეთი).

ვერ ხერხდება განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურისა და სოციალური სფეროს სხვა ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შენახვა-შენარჩუნება. ეს შესაძლებელია მხოლოდ წარმოების დაქვეითების ტემპების შეჩერებისა და მისი შემდგომი ზრდის პირობებში.

წარმოების დაქვეითებამ და ინვესტიციათა შეზღუდულობამ წარმოშვა საქართველოსათვის აქამდე პრაქტიკულად უცნობი სოციალური პრობლემა, — უმუშევრობა. ამჟამად რეგისტრირებულია 113,2 ათასამდე უმუშევარი, მაგრამ ეს რიცხვი სრული არ არის, რადგან მომუშავეთა დიდი ნაწილი ქრონიკულად მოცდენილია და მათი განაცდურის ანაზღაურება, რაც განპირობებულია კვალიფიციური მუშახელის შენარჩუნების ინტერესებით, დიდ ტვირთად აწვება საწარმოთა ისედაც მძიმე ფინანსურ მდგომარეობას.

რესპუბლიკის ეკონომიკასა და მის მოსახლეობას ბევრ პრობლემას უქმნის საკუთარი ვალუტის უქონლობა და მანეთის ზონაში არსებობა. ვერ ხერხდება ნაღდი ფულის მიმოქცევის რეგულირება. ფულის ნიშნების უქონლობის გამო უფრო და უფრო შეუძლებელი ხდება მოსახლეობისათვის პენსიების, ხელფასებისა და სხვა კუთვნილი თანხის დროულად გაცემა.

ეკონომიკის დაქვეითება, საბოლოო ანგარიშით, სრულად აისახა ფინანსური კრიზისის გაღრმავებაში. რესპუბლიკის მთავრობა იძულებული გახდა მიეღო დადგენილება 1992 წლის ბიუჯეტის დაზუსტების შესახებ. შემოსავლები 25 მლრდ მანეთიდან შემცირდა 18,7 მლრდ მანეთამდე, ხოლო ხარჯები 26,4 მლრდ მანეთიდან 47,0 მლრდ მანეთამდე გაიზარდა. დაზუსტებული ბიუჯეტი შესრულდა. გასავალის შემოსავალზე გადამეტებამ 28,3 მლრდ მანეთი შეადგინა, რაც დაბალანსდა ბანკის გრძელვადიანი კრედიტით.

მძიმე ფინანსური სიტუაცია აქვთ რესპუბლიკის საწარმოებსაც, მათი გარკვეული ნაწილი შეღავათიანი კრედიტების წყალობით არსებობს. 1992 წლის 1 დეკემბრისათვის რესპუბლიკის საწარმოებსა და ორგანიზაციებს 20,6 მლრდ მანეთი ვადაგადაცილებული დავალიანება ჰქონდათ.

იზრდება რესპუბლიკის სახელმწიფო ვალიც, დღეისათვის რესპუბლიკის შიდა ვალების ანგარიშზე ირიცხება 1991-1992 წლებში ჩამოწერილი 2,3 მლრდ მანეთი ბანკის სესხები. სახელმწიფო ვალად ირიცხება აგრეთვე სახელმწიფო-კომერციულ ბანკებში ინდექსირებული მოქალაქეების ანაბრების ნაშთი 18 მლრდ მანეთის ოდენობით.

ამ პირობებში რესპუბლიკისათვის მთავარი და გადაუდებელი ეკონომიკური ამოცანაა ეკონომიკის სრული პარალიზების თავიდან აცილება და მოსახლეობის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება, რომლის გარანტიას იძლევა პოლიტიკური სტაბილიზაციის წარმოქმნილი პერსპექტივები, ეკონომიკური რეფორმის შემდგომი გაღრმავება, საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციებისა და დასავლეთის სახელმწიფოთა მიერ უკვე გამოყოფილი და მოსალოდნელი ფინანსური და ტექნოლოგიური დახმარებები.

1. 2. ეკონომიკური რეფორმის მიმდინარეობა და მისი განხორციელების სიძნელეები

საქართველოში ეკონომიკური პროცესების მართვის დამახასიათებელი ნიშანია საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრების შეუქცევადი პროცესების სახელმწიფოებრივი წარმართვა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია რეფორმის განხორციელების პროგრამული, სამართლებრივი და ორგანიზაციული ბაზის ჩამოყალიბების ღონისძიებანი.

რეფორმის გატარებას უფრო თანმიმდევრული და სისტემური ხასიათი მისცა ეკონომიკური რეფორმების შტაბის შექმნამ, რამაც უზრუნველყო ეკონომიკური პროფილის სამინისტროთა და უწყებათა საქმიანობის, ეკონომიკურ საკითხებზე სამთავრობო დადგენილებებისა და გადაწყვეტილებების მომზადების გარკვეული კოორდინაცია, რეფორმის ცალკეულ მიმართულებათა მიხედვით სამთავრობო პოლიტიკის გატარების მიზნით ჩამოყალიბდა რამდენიმე ახალი სახელმწიფო ინსტიტუტი, კერძოდ, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრო და საგარეო ეკონომიკურ-ურთიერთობათა კომიტეტი, მოხდა საგადასახადო და მაკონტროლებელი სამსახურების რეორგანიზაცია. საბაზრო ეკონომიკური გარემოს ჩამოყალიბებაში სულ უფრო მზარდ როლს ასრულებს „საქართველოს რესპუბლიკაში ეკონომიკური რეფორმის ძირითად მიმართულებათა შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 4 მაისის დადგენილებით გათვალისწინებულ და საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციებისაგან მოწონებულ ღონისძიებათა რეალიზაცია. 1992 წლის განმავლობაში მთავრობის მიერ მიღებული 50-მდე დებულებისა და სხვა ნორმატიული აქტების ამოქმედებამ მნიშვნელოვნად განამტკიცა რადიკალური ეკონომიკური რეფორმის სამართლებრივი ბაზა და ხელსაყრელი ვითარება შექმნა გეგმურ-დირექტიული ეკონომიკის საბოლოო დემონტაჟისა და საბაზრო სტრუქტურების განვითარებისათვის.

თავისუფალი მეწარმეობის განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად დიდი მნიშვნელობა აქვს საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროების ტიპობრივი დებულების, სახელმწიფო საწარმოსა და მუნიციპალური საწარმოს შესახებ დებულებათა დამტკიცებას, რითაც საწარმოებმა, როგორც მეურნე სუბიექტებმა მიიღეს უფლებები, საკუთარი საქმიანობის წარმართვისა და საბაზრო ურთიერთობებში თანასწორუფლებიანად ჩართვისათვის. სამინისტროებს, რომლებიც სამეურნეო ორგანიზაციებიდან, ფუნქციონერულ უწყებებად გადაიქცნენ, ცალსახად ეკრძალებათ საწარმოთა ოპერატიულ-სამეურნეო საქმიანობაში ჩარევა, ისინი მხოლოდ საბაზრო ურთიერთობებისათვის მისაღები ბერკეტების გამოყენების სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელ სამთავრობო სტრუქტურებად რჩებიან.

სათანადო სამართლებრივი აქტებით გამარტივდა საწარმოთა რეგისტრაციის წესები, რაც სამეურნეო აქტიურობის გაძლიერების, განსაკუთრებით მცირე ბიზნესის განვითარების მნიშვნელოვან პირობებს ქმნის.

საბაზრო ურთიერთობათა დასამკვიდრებლად მნიშვნელოვანი სამართლებრივი დოკუმენტია დეკრეტი „საქართველოს რესპუბლიკაში მონოპოლისტური საქმიანობის შეზღუდვისა და კონკურენციის განვითარების შესახებ“, რომელიც განსაზღვრავს მონოპოლისტური საქმიანობის შეზღუდვისა და არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღკვეთის სამართლებრივ და ორგანიზაციულ ღონისძიებებს. ამ დეკრეტის შესაბამისად, რომელიც მოქმედებს 1992 წლის ოქტომბრიდან, შეიტანენ სათანადო ცვლილებებს სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებში.

ასევე მნიშვნელოვანია მთავრობის დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში სამეურნეო საქმიანობის დემონოპოლიზაციის ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“, რომელმაც ბიძგი მისცა ადმინისტრაციული წესით შექმნილი მონოპოლიური სტრუქტურების ინიციატიურ დაშლას და ნებაყოფლობის საფუძველზე ახალ კორპორაციათა ჩამოყალიბებას, რომელთა ნაწილი სათანადო ექსპერტიზის შემდეგ შეტანილ იქნება სახელმწიფო რეესტრში ანტიმონოპოლიური რეგულირების თვალსაზრისით სახელმწიფო კონტროლის დაწესების მიზნით. დემონოპოლიზაციის ღონისძიებანი განხორციელდა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობისა და ვაჭრობის მმართველობით სტრუქტურებში.

რეფორმის განხორციელების მნიშვნელოვანი მიმართულებაა საკუთრების ტრანსფორმაციის ღონისძიებანი. კერძოდ, კანონმა სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზაციის შესახებ და კანონმდებარე აქტებმა (დებულებები სახელმწიფო საწარმოთა ღია სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნის შესახებ, სახელმწიფო ქონების აუქციონით გაყიდვის შესახებ, სახელმწიფო ქონების კონკურსით გაყიდვის შესახებ) შექმნეს უცილობელი სამართლებრივი საფუძველი პრივატიზების პროცესის დასაწყებად, ხოლო სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების სახელმწიფო პროგრამის მიღებამ, რომელმაც გამოკვეთა პრივატიზების პროცესის წარმართვის არჩეული კურსი, წარმოქმნა პრივატიზების უშუალოდ დაწყებისათვის აუცილებელი სამუშაოების განხორციელების ბაზა. უკვე გამოქვეყნდა პირველ ეტაპზე საპრივატიზებო ობიექტების ნაწილის ნუსხა, ეწყობა პირველი აუქციონები. მზადდება სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქტივების გადაფასების მეთოდიკა, რაც განამტკიცებს ფართომასშტაბიანი პრივატიზების დაწყებისათვის აუცილებელ სამართლებრივ და ორგანიზაციულ წინაპირობებს.

ამასთან, ზოგიერთი მიმართულებით უკვე განხორციელებულია სახელმწიფო ქონების ტოტალური პრივატიზაციის პრაქტიკული ღონისძიებანი. კერძოდ, მოქალაქეებს კერძო სარგებლობაში უსასყიდლოდ გადაეცათ სახელმწიფო საცხოვრებელი ფონდი, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც მოსახლეობის ფართო ფენებში მესაკუთრის ფსიქოლოგიის ჩამოყალიბებისათვის, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის არამწარმოებლური ხარჯების ნაწილისაგან განთავისუფლებისათვის.

მესაკუთრეთა ფენის ჩამოყალიბების არსებითი ღონისძიებაა აგრარული რეფორმის დაწყება, კერძო საკუთრებაში მიწების მასობრივი გადაცემა. 1992 წელს მოსახლეობის საკუთრებაში მოქცეული იყო საქართველოს მთელი სახნავი ფართობის 61 პროცენტი და მრავალწლიანი ნარგავების ფართობების 56 პროცენტი. მიწების პრივატიზაციის პარალელურად მიმდინარეობს სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებრივი მეურნეობების რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია. მათ ადგილს იკავებენ ახალი სტრუქტურები, გლეხური (ფერმერული) მეურნეობები, მცირე საწარმოები, ამხანაგობები და სხვა არასახელმწიფოებრივი ფორმები.

მნიშვნელოვანი ცვლილებები იქნა შეტანილი საგადასახადო კანონმდებლობაში საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების გათვალისწინებით. შემოღებულია დამატებითი ღირებულების გადასახადი, შემცირების მიმართულებით გადაისინჯა მისი განაკვეთი, დაწესდა სააქციზო გადასახადები, მავნე ნივთიერებებით გარემოს გაჭუჭყიანების გადასახადი, საცალო ვაჭრობაში მცირე ბიზნესის წახალისების მიზნით გამარტივდა გადასახადების ამოღების მექანიზმი და პრინციპები და ა. შ.

საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების ფუძემდებლურ ღონისძიებად უნდა იქნეს მიჩნეული ფასების ლიბერალიზაციის სფეროში განხორციელებული ღონისძიებანი. სამთავრობო გადაწყვეტილებათა შესაბამისად ამჟამად სამომხმარებლო საქონლის და საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციის ფასების აბსოლუტური უმრავლესობა (95 პროცენტზე მეტი) გათავისუფლებულია სახელმწიფოს მხრიდან რაიმე ადმინისტრაციული რეგლამენტისაგან. ფასებისა და ტარიფების პირდაპირი რეგულირება ხორციელდება ეკონომიკის ქმედუნარიანობის შენარჩუნებისა და მოსახლეობის საარსებო მნიშვნელობის მხოლოდ რამდენიმე დასახელების პროდუქტსა და მომსახურების სახეობაზე.

ამავე დროს საქართველოს ეკონომიკური რეფორმის განხორციელება არაერთგვაროვანი პროცესებით ხასიათდება და მნიშვნელოვან სიძნელეებს აწყდება. ეს სიძნელეები შეიძლება შემდეგნაირად დაჯგუფდეს:

ა) დირექტიულ-გეგმური მეურნეობიდან მემკვიდრეობით მიღებული სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები;

ბ) რუსეთსა და დსთ სხვა სახელმწიფოებთან ერთიან სავალუტო და ეკონომიკურ სივრცეში ყოფნასთან დაკავშირებული კრიზისული მოვლენები;

გ) ეკონომიკური რეფორმის ღონისძიებათა დაუსრულებლობა.

ეკონომიურ სიძნელეებს ემატება ისეთი ფაქტორები, როგორიც არის საომარი მოქმედებები, პოლიტიკური უწესრიგობა და შინააშლილობა.

მემკვიდრეობით მიღებულ ფაქტორთაგან უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია საწარმოთა და სხვა სამეურნეო სუბიექტთა მეტად დაბალი ტექნიკურ-ეკონომიკური დონე, პროდუქციის არაკონკურენტუნარიანობა, დაბალრენტაბელობა და ზარალიანობა, რაც თავისუფალი ფასწარმოქმნის, ცენტრალიზებული რესურსული და ინვესტიციური უზრუნველყოფის გაუქმების პირობებში უკიდურესად ზღუდავს წარმოების მასშტაბებს, აფერხებს რეალიზაციას, აუარესებს საფინანსო მდგომარეობას, ართულებს ეკოლოგიურ ვითარებას.

ამ გარემოებებთან დაკავშირებულია ასევე მემკვიდრეობით მიღებული სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები: ბიუჯეტის ხარჯზე ყოფნისადმი მიდრეკილება, შეღავათიანი კრედიტებით სარგებლობა, მასობრივი მოთხოვნები ინდივიდუალური საგადასახადო შეღავათებსა და დოტაციებზე და სხვა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამგვარი მიდრეკილებით ხასიათდება არა მარტო სახელმწიფო სექტორი, არამედ ახლად წარმოქმნილი კერძო სტრუქტურების ნაწილიც, რაც იმით აიხსნება, რომ საბაზრო სტრუქტურებში დიდია იმ ელემენტების წილი, ვინც გეგმურ-დირექტიული სისტემის პირობებში არალეგალურ ბიზნესში იყო ჩართული და კვლავ შენარჩუნებული აქვთ კავშირი კორუმპირებულ ბიუროკრატიასა და კრიმინოგენულ ელემენტებთან. ეს კი განაპირობებს ცალკეულ რეფორმატორულ ღონისძიებათა დეფორმაციას (ფარული პრივატიზაცია, შეღავათიანი დაკრედიტება, შემოსავლების დამალვა, აღურიცხავი საქონლის დიდი მასა და ა. შ.).

მეორე ჯგუფის ფაქტორებიდან საქართველოს ეკონომიკაზე განსაკუთრებით დიდ სოციალურ-ეკონომიკურ გავლენას ახდენს მანეთის ზონაში ყოფნა, რაც არსებითად ზღუდავს საქართველოსათვის ფულადი მეურნეობის რეგულირებისა და ანტიინფლაციური ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობებს. ამას ემატება ენერგეტიკული რესურსების მოწოდების თვალსაზრისით რუსეთისა და დსთ სახელმწიფოების მონოპოლიური მდგომარეობა საქართველოს მიმართ: აღნიშნულის, აგრეთვე რუსეთში ფასების ზრდის, მიმოქცევაში ფულის დიდი მასის გამოშვებისა და საკრედიტო ემისიის გადიდების გამო საქართველოს ეკონომიკაში რამდენჯერმე მოხდა ფასების ნახტომისებური მატება როგორც საწარმოო-ტექნიკური დანიშნულების პროდუქციაზე, ისე სამომხმარებლო საქონელზე. ყოველივე ამან განაპირობა რიგ საწარმოთა საფინანსო მდგომარეობის გაუარესება, ბიუჯეტის შემოსავლების შემცირება და მოსახლეობის სოციალური დაცვის დიდი მასშტაბის ღონისძიებათა განხორციელების გარდუვალობა. კერძოდ, საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა შეენარჩუნებინა მართალია მნიშვნელოვნად გადიდებული, მაგრამ მაინც რეგლამენტირებული ფასები პურზე, ელექტროენერგიასა და გაზზე, კომუნალურ მომსახურებასა და ტრანსპორტზე და რამდენჯერმე გაედიდებინა ხელფასი საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის, აგრეთვე სახელმწიფო პენსიები და სოციალური დახმარებანი ბიუჯეტის ხარჯზე. გარდა ამისა, მოსახლეობის სოციალური დაცვისა და ფულად-საკრედიტო პროცესების დარეგულირების, საგადასახადო კრიზისის დაძლევის მიზნით განხორციელდა აგრეთვე მოსახლეობის ანაბრების ინდექსაცია და სადეპოზიტო განაკვეთების გადიდება.

ზემოაღნიშნულთან მჭიდროდ არის დაკავშირებული სიძნელეთა მესამე ჯგუფი, რაც განპირობებულია რეფორმატორულ ღონისძიებათა ნაკლები სისრულით და ბოლომდე მიუყვანებლობით.

უწინარეს ყოვლისა, მთლიანად არ არის გადაწყვეტილი საქართველოში მანეთის მსყიდველობითი უნარის სამანეთო სივრცის საერთო დონესთან გათანაბრების პროგრამით დასახული ამოცანა. ამის ძირითად მიზეზად კვლავ რჩება შესაბამისი ხელშეკრულების უქონლობა რუსეთთან, ნაღდი ფულის რეალური კრიზისი.

აღსანიშნავია ისიც, რომ ვერ დადგინდა საპროცენტო განაკვეთის რეალური დონე (ინფლაციის ტემპების გათვალისწინებით), რაც ძალზე აღრმავებს საგადამხდელო კრიზისს. თუმცა განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებანი ამ კრიზისის შერბილების და საწარმოთა ურთიერთდავალიანების ლიკვიდაციის მიზნით.

საგრძნობლად ჩამორჩა რეფორმების განხორციელების ტემპი და მასშტაბები საბანკო სფეროში, რასაც კიდევ უფრო ართულებს უკონტროლო საკრედიტო ემისია. კერძო სექტორი ამ სფეროში ჯერ კიდევ სუსტია, გამოიკვეთა აგრეთვე კაპიტალის გაუმართლებელი გაფანტვის ტენდენცია.

ჯერჯერობით ვერ მოხერხდა საგადასახადო შეღავათების სისტემის მოწესრიგება და საგადასახადო ბაზის გაფართოება. გაუმართლებლად გაჭიანურდა საგადასახადო სისტემის ჩამოყალიბება, რის გამოც ვერ გატარდა სისტემური ცვლილებები საგადასახადო ადმინისტრაციის ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

შექმნილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებაში ძალზე გაძნელდა საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების (სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი) რეკომენდაციების სრულად გათვალისწინება. ეკონომიკური რღვევის და ფაქტობრივად საომარი ვითარების გამო გართულდა მკაცრი საბიუჯეტო პოლიტიკის განხორციელება: მართალია გატარდა ზომები საბიუჯეტო ხარჯების შესამცირებლად, მათი სტრუქტურის შესაცვლელად, მაგრამ გაუთვალისწინებელ გარემოებათა გამო მატულობს ბიუჯეტის დეფიციტი, რაც გამოწვეულია ზოგიერთი სახის ხარჯების ზრდით და მნიშვნელოვანწილად კი შემოსავლების მასშტაბური კლებით.

ეკონომიკური რეფორმის განხორციელებაში მნიშვნელოვან სიძნელეებს ქმნის ზოგიერთი ორგანიზაციული ხასიათის ნაკლოვანებანი. მათგან აღსანიშნავია ის, რომ განვლილ პერიოდში ცალკეული სამთავრობო სტრუქტურები ნაკლებად შეესაბამებოდა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მოთხოვნებს, რეფორმის შტაბის კომპეტენციაში არ შედიოდა რეფორმისათვის მნიშვნელოვანი ზოგიერთი საკითხი და გაუმიჯნავია კომპეტენციები.

ეკონომიკური პროცესების შესწავლასა და რეგულირებას დიდად აფერხებს ის გარემოება, რომ სტატისტიკის ორგანიზაციული და მეთოდოლოგიური გარდაქმნა მნიშვნელოვნად ჩამორჩა საბაზრო სტრუქტურების ჩამოყალიბებას. ოფიციალური სტატისტიკური აღრიცხვა-ანგარიშგების სისტემის მიღმა არის დარჩენილი საცალო ს ქონელბრუნვის ის ნაწილი, რომელსაც საბითუმო შუამავლ მერციული მაღაზიები და გამოტანითი ვაჭრობით დაკავებუ ბი ახორციელებენ, მათი წილი კი განუზრელად იზრდება ს ბრუნვის საერთო მოცულობაში. არ არის მოგვარებული ჩრდილოვანი ეკონომიკის, რომლის წილიც სამეურნეო ბრ 10-15 პროცენტი მაინც იქნება, სტატისტიკური შეფასება და პერტიზა. საერთოდ აღრიცხვის სისტემის დიდი ნაკლი ის რომ მოქმედი პირველადი საბუღალტრო აღრიცხვა არსებითად სხვავდება დასავლეთში მიღებულ უნიფიცირებულ საბუღალ აღრიცხვისაგან, რაც ჯერჯერობით ართულებს ეროვნული ანგა შების სისტემის დამკვიდრებას, ეს კი არ იძლევა ეკონომიკაში მ დინარე პროცესების, საქონლის, მომსახურებისა და ფინანსურ შუალებათა მოძრაობის სრულყოფილი აღრიცხვისა და შეფასებ საშუალებას.

(გაგრძელება მე-8 გვ.).

საქართველოს რესპუბლიკაში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების საშუალოვადიანი პროგრამა

(გაგრძელება).

ეკონომიკური გარდაქმნების ერთ-ერთი მთავარი მუხრუჭი გახდა სამხედრო კონფლიქტი აფხაზეთში, რომლის დამთავრებაზე ბევრადაა დამოკიდებული რეფორმების ბედი.

ეკონომიკური ვითარების და რეფორმის განხორციელების შემაფერხებელი უარყოფითი ტენდენციების აღკვეთის, ტრანსფორმაციების პროცესების შემდგომი გაღრმავების გზებისა და მიმართულების დაზუსტების მიზნით შემუშავდა მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების ქვემოთ მოტანილი პროგრამა.

მაკროეკონომიკური სტაბილურობა წარმოადგენს ეკონომიკის აღორძინებისა და განვითარების ხანგრძლივი პროცესის აუცილებელ პირობას. სწორი ეკონომიკური პოლიტიკა და სტაბილიზაციის პროგრამის გატარება, რომელიც შეიცავს მომჭირნეობით ფინანსურ და საკრედიტო პოლიტიკას, შემოსავლების რეგულირებას, სისტემური რეფორმის გატარებას და სხვა ღონისძიებებს, საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციათა მიერ ადეკვატური ფინანსური და ტექნოლოგიური დახმარების შედეგად შეიძლება გახდეს კრიზისიდან გამოსვლის საშუალება.

პროგრამაში გათვალისწინებულია საშუალოვადიან პერიოდში (უახლოესი 18 თვის განმავლობაში) მაკროეკონომიკური სტაბილიზაციის ღონისძიებათა განხორციელებასთან ერთად ძირეული სტრუქტურული ცვლილებების ხელშეწყობის პირობების შექმნა, რათა რაც შეიძლება მოკლე ვადაში იქნეს გავლილი კრიზისული მდგომარეობის პერიოდი და საფუძველი ჩაეყაროს ეკონომიკის დაცემის შეჩერების და აღმავლობის დაწყების პროცესებს. პროგრამაში საქართველოში შექმნილი რეალობის გათვალისწინებით ასახულია საერთაშორისო ეკონომიკური ორგანიზაციების რჩევები და რეკომენდაციები.

ყოველივე ზემოთქმულიდან შეიძლება დავასკვნათ:

მიმდინარე ეკონომიკური რეფორმის საშუალოვადიანი პროგრამის მთავარი მიზანია ხელსაყრელი პირობების შექმნა მუდმივი ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებლად, ქვეყანაში საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრების გზით. ამ პროცესში ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებასა და განვითარებას, ეკონომიკის მართვაში სახელმწიფოს როლის თანდათანობით შემცირებას და შესაბამისად კერძო სექტორის როლის გაზრდას.

საშუალოვადიან პერიოდში (1993-1994 წწ) ეკონომიკური რეფორმა გაგრძელდება და წარიმართება შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

— ეკონომიკის დერეგულირება, ეკონომიკაზე სახელმწიფო ორგანოების ზეგავლენის სფეროების შემცირება და ბაზრის როლის გაზრდა;

— ფინანსებისა და ფულადი სისტემის თანდათანობით, შესაძლებლობის ფარგლებში სტაბილიზაცია, რამაც უნდა შექმნას საქმიანი აქტივობის სტიმულირების ძირითადი წანამძღვრები, ამ სისტემის ეტაპობრივი ტრანსფორმაცია და დამოუკიდებელი ფულად-საკრედიტო მექანიზმის ამოქმედება საკუთარი ეროვნული ვალუტის შემოღების გზით;

— ადმინისტრაციული შეზღუდვების მოხსნა ფასებზე, სამეურნეო კავშირებზე, საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებზე. თავისუფალი ვაჭრობის განვითარება არსებული მომარაგებითი და განმანაწილებელი სისტემის სანაცვლოდ;

— მეწარმეობის განვითარება, პრივატიზაციის დაჩქარება, ახალი კერძო საწარმოების შექმნის ყოველმხრივი მხარდაჭერა, ეკონომიკური ზრდისა და ეფექტიანი საბაზრო მეურნეობის შესატყვისი ახალი ინსტიტუციონალური წანამძღვრების შექმნა;

— ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნა, ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებების განსაზღვრა და სტიმულირება, ეკონომიკის მსოფლიო მეურნეობაში ინტეგრაცია, მსოფლიო ბაზარზე სამამულო წარმოების პროდუქციის დამკვიდრება და მათი კონკურენტუნარიანობის ამაღლება;

— მეურნეობის დემონოპოლიზაცია და დეცენტრალიზაცია, კონკურენტული საბაზრო გარემოს შექმნა;

— მოსახლეობისათვის შეუჩვეველ შექმნილ პირობებში აქტიური სოციალური პოლიტიკის გატარება.

აღნიშნული მიმართულებების გატარებაში ახალი 1992 წლის 11 ოქტომბრის დემოკრატიული მრავალპარტიული არჩევნების შემდეგ მოსული მთავრობის სტრატეგია იქნება გაცილებით მტკიცე, ვიდრე წინა პერიოდში. ამასთან, მმართველ წრეებს, რომლებმაც უნდა მიიღონ გადაწყვეტილებები, გაცნობიერებული უნდა ჰქონდეთ, თუ რა დიდ დანაკარგებთან იქნება დაკავშირებული პოპულისტური სოციალური და სანახევრო ეკონომიკური კურსის გატარება.

რეალური სიტუაციის გათვალისწინებით მაქსიმალურად იქნება დაცული ეკონომიკის რეფორმის აპრობირებული მოთხოვნები და საერთაშორისო საფინანსო და სავალუტო ორგანიზაციების რეკომენდაციები.

თავი II. მაკროეკონომიკური პოლიტიკა

2.1. ფასების ლიბერალიზაცია

საქართველოს რესპუბლიკაში მიმდინარე ეკონომიკური რეფორმისა და სტაბილიზაციის პროგრამის ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულება და სტრუქტურული გარდაქმნების უმნიშვნელოვანესი ბერკეტია ფასების ლიბერალიზაცია. 1992 წლის დამდეგს საქართველოში შექმნილი მძიმე ეკონომიკური სიტუაციისა და მთლიანად მანეთის ზონაში მიმდინარე პროცესების პირობებში ფასების ადმინისტრაციული რეგლამენტაციისაგან განთავისუფლება ობიექტური აუცილებლობით იყო გაპირობებული. ეს რადიკალური ღონისძიება მიზნად ისახავდა მიმდინარე პერიოდში ეკონომიკის ფუნქციონირების უნარიანობის შენარჩუნებას, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში — საბაზრო ფასწარმოქმნის სისტემის დამკვიდრებას და ამ სისტემის საშუალებით ეკონომიკის თვითრეგულირების მაკროეკონომიკური პირობების შექმნას.

დღეისათვის საქართველოში განხორციელებულია ფასების ლიბერალიზაციის ორი ეტაპი.

პირველ ეტაპზე, ანუ 1992 წლის 1 თებერვლიდან „ფასების ლიბერალიზაციის პირველი რიგის ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის იმავე წლის 29 იანვრის დადგენილების საფუძველზე რესპუბლიკაში წარმოებული და რეალიზებული პროდუქციის (მომსახურების) სახეობათა უმრავლესობაზე დაშვებულ იქნა თავისუფალი საბაზრო ფასების (ტარიფების) გამოყენება; ფასების სახელმწიფო რეგლამენტაციის მასშტაბები შემოიფარგლა მხოლოდ ეკონომიკის ფუნქციონირებისა და მოსახლეობის ცხოვრებისათვის საარსებო მნიშვნელობის მქონე პროდუქციითა და საქონლით (მომსახურებით). ამ ღონისძიებას, როგორც მოსალოდნელი იყო ფასებისა და ტარიფების მკვეთრი ზრდა მოჰყვა, განსაკუთრებით მარტში, როცა სამომხმარებლო ფასები 1991 წლის მარტთან შედარებით 9-ჯერ გაიზარდა, თებერვალ-აპრილში რეგულირებადი ფასები და ტარიფები გაიზარდა საშუალოდ 8-ჯერ.

მეორე ეტაპზე, ანუ 1992 წლის 1 აპრილიდან „საქართველოს რესპუბლიკაში ფასების ლიბერალიზაციის დამატებით ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 24 აპრილის დადგენილებით ლიბერალიზებულ იქნა ნავთობისა და ნავთობპროდუქტების, სატვირთო გადაზიდვების, სასოფლო-სამეურნეო ნედლეულისა და პროდუქტების, ხორცისა და ხორცის პროდუქტების, კარტოფილის და სხვა სასურსათო საქონლის ერთი ჯგუფის ფასები და ტარიფები. ფასწარმოქმნის ყოველგვარი არასაბაზრო ნორმატიული შეზღუდვებისაგან განთავისუფლდა კომერციული სტრუქტურები.

ამ ეტაპზე ძირითადად ენერგომატარებლების ფასების შემდგომი ზრდის შედეგად კვლავ შესამჩნევად ამაღლდა როგორც თავისუფალი, ისევე რეგულირებადი ფასები და ტარიფები. 1992 წელს სამომხმარებლო ფასების საერთო დონე 1991 წელთან შედარებით ექსპერტული შეფასებებით გაიზარდა დაახლოებით 25-ჯერ.

1992 წლის განმავლობაში სამომხმარებლო ფასების ზრდა ყოველთვის აშკარად წინ უსწრებდა ხელფასებისა და საერთოდ მოსახლეობის ფულადი შემოსავლების ზრდას, რის შედეგადაც თანდათანობით მცირდებოდა მოსახლეობის მსყიდველობითუნარიანი მოთხოვნა და გარკვეულწილად ფერხდებოდა ინფლაციური პროცესები, ფასების უკონტროლო ზრდა. 1992 წლის ნოემბერ-დეკემბრიდან საპირისპირო თანაფარდობა ჩამოყალიბდა პურის, ელექტროენერგიისა და ზოგიერთი სხვა პირველადი მოხმარების საქონელზე (მომსახურებაზე) ფასების ზრდის საკომპენსაციოდ ხელფასების, პენსიების, სტიპენდიებისა და სხვა ფულადი დახმარებების გაორმაგებასთან დაკავშირებით.

ამასთან, ჯერჯერობით მოსახლეობის სოციალური დაცვის მიზნით შენარჩუნებულია ცალკეული საარსებო მნიშვნელობის საქონლისა და მომსახურების (პური, ელექტროენერგია, ბუნებრივი გაზი, რძე, კომუნალური მომსახურება) რეალურ ღირებულებასთან შედარებით მნიშვნელოვნად დაბალი ფასები და ტარიფები სახელმწიფოს ფინანსური სახსრების ხარჯზე.

ლიბერალიზაციის დღევანდელ ეტაპზე, ობიექტურ გარემოებათა გამო ფასწარმოქმნის პროცესში კვლავ მძლავრია ხარჯვითი ფაქტორი, ე. ი. ფასების დინამიკა წარმოების უმთავრეს დარგებში, უწინარეს ყოვლისა მრეწველობაში ძირითადად „მისდევს" ან ჩამორჩება სათბობ-ენერგეტიკული და სანედლეულო-მატერიალური (განსაკუთრებით რესპუბლიკის ფარგლებს გარედან შემოზიდული) რესურსების ფასებს. ამ არასასურველი ტენდენციის შედეგად, რომელიც საბოლოოდ დაიძლევა ფასწარმოქმნის საბაზრო მექანიზმის სრულყოფილად ამოქმედების შემდეგ, 1992 წელს ეკონომიკის მასალატევადობა დაახლოებით 20 პროცენტით ამაღლდა, რაც თავის მხრივ ასუსტებს კვლავწარმოებით (საინვესტიციო) პოტენციალს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ფასების შემდგომი ლიბერალიზაციის უმთავრესი ამოცანაა მოთხოვნა-მიწოდების საბაზრო მექანიზმის რეალური ამოქმედება და შესაბამისი მეთოდებით მაკროეკონომიკურ დონეზე ფასწარმოქმნის მართვადობის ხარისხის ამაღლება სათანადო ეკონომიკური და სტრუქტურული პირობების შექმნის კვალობაზე.

დღევანდელ ეტაპზე ფასწარმოქმნის სახელმწიფო პოლიტიკაში გამოიყოფა შემდეგი ძირითადი მიმართულებანი:

უწინარეს ყოვლისა მოიხსნება ფასების (ტარიფების) პირდაპირი სახელმწიფო რეგულირება ყველა სახის პროდუქციასა და მომსახურებაზე გარდა იმ სახეობებისა (ელექტროენერგია, ბუნებრივი გაზი, საბინაო-კომუნალური მომსახურება, სამგზავრო ტრანსპორტის მომსახურება), რომელთა წარმოება და რეალიზაცია ბუნებრივად არის მონოპოლიზებული, ამ დარგებში ფასების სრული ან ნაწილობრივი (ეტაპობრივი) ლიბერალიზაცია განხორციელდება მათში კონკურენტული გარემოს შექმნის (კომერციალიზაციისა და პრივატიზაციის) კვალობაზე;

ფასების ეკონომიკურად გაუმართლებელი და უკონტროლო ზრდის, მონოპოლიურად მაღალი (დაბალი) ფასების თავიდან აცილების მიზნით სახელმწიფო მოახდენს ფასწარმოქმნის მაკროეკონომიკური პირობების რეგულირებას ეკონომიკური მეთოდებით — შესაბამისი საგადასახადო საფინანსო-საკრედიტო, სავალუტო და საბაჟო პოლიტიკის გამოყენებით;

ამ პირობების შექმნის კვალობაზე მონოპოლისტი საწარმოების პროდუქციის ფასების სახელმწიფო რეგულირების ისეთი მეთოდები, როგორიც არის ზღვრული ფასების, რენტაბელობის ზღვრული დონეების დაწესება, შემოსავლების (მოგების) პროგრესირებადი დაბეგვრა და სხვა შეიცვლება ამ საწარმოების პროდუქციის ფასების შემდგომი კონტროლით;

მიმდინარე ეტაპზე სახელმწიფო შექმნის იმის პირობებს, რომ დაძლეულ იქნეს ეკონომიკის ცალკეული სფეროებისა და დარგების პროდუქციის ფასების დონეებს შორის წარმოების დაქვეითების (დეფიციტის) პირობებში ჩამოყალიბებული ხშირი შეუსაბამობანი. სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტაბილიზაციის მიზნით დაინერგება დარგის პროდუქციაზე პარიტეტული ფასების ჩამოყალიბების სპეციალური ეკონომიკური მექანიზმი;

აღმოიფხვრება ხელოვნურად დაბალი ფასების გამოყენების პრაქტიკა, რეალური ხარჯების ნაწილის მწარმოებლებისათვის პირდაპირი სუბსიდირების გზით. აუცილებლობის შემთხვევაში, როგორც გამონაკლისი, სახელმწიფო სახსრები წარიმართება უშუალო მომხმარებელთა ხარჯების საკომპენსაციოდ.

მანეთის ზონის ფარგლებში საექსპორტო პროდუქციაზე ფასწარმოქმნის ზოგად ორიენტირად მიღებული იქნება მსოფლიო ფასები და კონვერტირებული ვალუტის მიმდინარე კურსი. კონკრეტული ფასები ამ ფასწარმოქმნის კონკრეტული პირობები შეიძლება ჩამოყალიბდეს აგრეთვე საქონელგაცვლის შესახებ სამთავრობათაშორისო ხელშეკრულებებში მხარეთა ურთიერთსარგებლიანობის პრინციპებიდან გამომდინარე;

ფასწარმოქმნის სახელმწიფო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ელემენტი გახდება ანტიდემპინგური ღონისძიებანი;

თავისუფალი (საბაზრო) ფასწარმოქმნის დამკვიდრებისათვის რესპუბლიკაში დამთავრდება სათანადო სამართლებრივი ბაზის შექმნა;

ფასების პროგნოზირებისა და ანალიზის მიზნით იქმნება ფასებისა და ტარიფების აღრიცხვისა და რეგისტრაციის სამსახური.

2.2. საფინანსო-საბიუჯეტო რეგულირება

საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალი პერიოდის პირველ ეტაპზე სახელმწიფოს ფინანსური პოლიტიკა მიზნად ისახავს ეკონომიკაში მიმდინარე ძირეული ცვლილებებისადმი საფინანსო ურთიერთობების შესაბამისობაში მოყვანასა და ამ საფუძველზე წარმოებისა და მიმოქცევის სფეროს განვითარების სტიმულირების საქმეში ფინანსური ბერკეტების როლის გაძლიერების ამოცანების გადაწყვეტას. 1993 წლის მეორე ნახევრიდან გაგრძელდება მთავრობის მიერ დაწყებული ფინანსური, პირველ რიგში კი საგადასახადო ბერკეტებით ეკონომიკის რეგულირების, აგრეთვე სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირების ღონისძიებათა რეალიზაცია.

უახლოეს პერიოდში ფინანსური პოლიტიკის მთავარი მიმართულება იქნება ეკონომიკის საგადასახადო რეგულირების გაუმჯობესება და ბიუჯეტური დეფიციტის რეალური საზღვრების დადგენა, ამ მიზნით განხორციელდება გადაუდებელი ღონისძიებანი გადასახადების განაკვეთებისა და საგადასახადო სისტემის სრულყოფის, სხვადასხვა დონის ბიუჯეტებს შორის შემოსავლების განაწილების, პრიორიტეტების შეცვლისა და ბიუჯეტიდან ხარჯების შემცირებისათვის. შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფოს საგადასახადო პოლიტიკა მიმართულია საგადასახადო სისტემის სრულყოფისაკენ, რამაც უნდა უზრუნველყოს ერთის მხრივ წარმოების ზრდის სტიმულირებისათვის პირობების შექმნა, ხოლო მეორეს მხრივ ყველა შემოსავლის რაც შეიძლება სრულად მობილიზაცია და ამის საფუძველზე სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების გაზრდა. ამრიგად, საგადასახადო პოლიტიკა თავისი ხასიათით ზომიერად მკაცრია. შექმნილი მძიმე ფინანსური მდგომარეობის გამო სახელმწიფოს ჯერჯერობით შესაძლებლობა არა აქვს შეამციროს საწარმოებისა და ორგანიზაციების ბიუჯეტში გადასახადების სიმძიმე. მიუხედავად ამისა, გადასახადების მოქმედი სისტემა ისეთნაირად არის აგებული, რომ მათ საშუალება ეძლევათ თავიანთ სარგებლობაში დაიტოვონ მოგების აუცილებელი მინიმუმი, რათა განახორციელონ ინვესტიციები. სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების დაბალანსების გაუმჯობესების შესაბამისად სახელმწიფო შეამსუბუქებს საგადასახადო ტვირთს (პირველ რიგში კერძო სექტორში), რაც მეწარმეობის განხორციელების და შემდგომი განვითარების მნიშვნელოვანი სტიმულია. საგადასახადო პოლიტიკა მიმართული იქნება სამეწარმეო საქმიანობის აქტივიზაციისა და სახელმწიფო ბიუჯეტში შემოსავლების იმ ოდენობით შემოსვლის უზრუნველყოფაზე, რაც აუცილებელია გადაუდებელი ხარჯების დასაფინანსებლად.

შეიზღუდება საწარმოებისათვის საგადასახადო შეღავათების მიცემის პრაქტიკა, თუმცა აუცილებელი გამონაკლისები მაინც დარჩება.

ინვესტიციების გაფართოებისა და სტიმულირების მიზნით რეფორმის პირველ ეტაპზე შემცირდება მოგების იმ ნაწილის დაბეგვრის განაკვეთები, რომლებიც გამოიყენება ზემოაღნიშნული მიზნით (სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა, წარმოების ტექნოლოგიური განახლების დაფინანსება). კიდევ უფრო სრულქმნილი და მოქნილი გახდება დამატებული ღირებულების, მოგების და სხვა გადასახადების განაკვეთები და მათი ბიუჯეტში ამოღების მექანიზმი. საგარეო ეკონომიკური კავშირების განვითარების ხელშეწყობის მიზნით ექსპორტ-იმპორტიდან მიღებული შემოსავლები დაიბეგრება შეღავათიანი განაკვეთებით.

სრულყოფილი გახდება ფიზიკურ პირთა საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრაც. საერთო ეკონომიკური, მათ შორის ინფლაციური და სოციალური მდგომარეობის ცვლილებათა გათვალისწინებით, გადაისინჯება მათი შემოსავლების დაბეგვრის სისტემა. განხორციელდება საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრა წლიური შემოსავლის ყველა წყაროს მიხედვით მოქალაქეთა მიერ წარმოდგენილი დეკლარაციის საფუძველზე.

მიწის ფონდის უფრო ეფექტიანი და რაციონალური გამოყენების მიზნით გაიზრდება ყველა კატეგორიის მოსარგებლისა და მფლობელის გადასახადების განაკვეთები.

ამასთან დაკავშირებით მთავრობას განზრახული აქვს 1993 წელს შემოიღოს მიწის გადასახადი, ეკოლოგიური გადასახადი და ბუნებრივ რესურსებზე გადასახადი, ხოლო შენობა-ნაგებობების მფლობელთა გადასახადის ნაცვლად შემოღებულ იქნეს ქონების გადასახადი.

გადაისინჯება აქციზების განაკვეთები ცალკეული დასახელების საქონელზე და გაფართოვდება იმ საქონლის ნუსხა, რომელიც დაიბეგრება აქციზით.

მოგებიდან გადასახადის განაკვეთი შენარჩუნდება 35 პროცენტის ფარგლებში, ამასთან ყველა გადამხდელისათვის დაწესდება ერთიანი განაკვეთი და გადაისინჯება შეღავათები. შემოღებული იქნება ზარალის კომპენსაციისა და საწარმოთა მიერ ინვესტიციებზე მიმართული სახსრების გადასახადისაგან განთავისუფლების ერთიანი წესი.

ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების მიზნით საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად სხვა საწარმოთა საქმიანობაში წილობრივი მონაწილეობით მიღებული შემოსავლების, დივიდენდებისა და პროცენტებისათვის დაწესდება მოგების დაბეგვრის საერთო რეჟიმი.

გათვალისწინებულია ჩატარდეს საამორტიზაციო ანარიცხების ინდექსაცია, ხოლო პრიორიტეტულ და პერსპექტიულ დარგებში გამოიყენება დაჩქარებული ამორტიზაციის მეთოდები.

1992 წლის განვლილ პერიოდში გარკვეული მუშაობა ჩატარდა საერთაშორისო სავალუტო ფონდის და მსოფლიო ბანკის რეკომენდაციების შესასრულებლად.

დამატებული ღირებულების გადასახადი, რომელიც საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციების შესაბამისად განსაზღვრული იყო როგორც საკმაოდ მაღალი, რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე 28 პროცენტიდან შემცირდა 14 პროცენტამდე. ბიუჯეტის შემოსავლების სრულად მობილიზაციისათვის მიმდინარეობს მუშაობა საექციზო გადასახადით დაბეგრილ პროდუქციაზე განაკვეთების გადასინჯვისა და აქციზებით დასაბეგრი პროდუქციის წრის გაფართოების მიმართულებით. არასახელმწიფოებრივი სავაჭრო საწარმოებისა და ორგანიზაციებისათვის განისაზღვრა გეგმითი მინიმალური გადასახადი საფირმო გადასახადის სახით, რომელიც დიფერენცირებული იქნა სავაჭრო ორგანიზაციების მიერ დაკავებული ფართობის მიხედვით. პრივატიზაციის პროცესის დაჩქარების მიზნით შემუშავდა დებულება პრივატიზაციიდან მიღებული სახსრების გადახდის, განაწილების, აღრიცხვისა და კონტროლის წესის შესახებ, აგრეთვე მომზადებულია კანონპროექტი რესპუბლიკაში მიწის გადასახადის შესახებ, რომელიც გათვალისწინებულია შემოღებულ იქნეს სამოქმედოდ 1993 წლიდან.

დაიხვეწება და განმტკიცდება სახელმწიფო საგადასახადო სამსახური. განხორციელდება მისი სტრუქტურისა და საქმიანობის შემდგომი სრულყოფა მსოფლიოს მოწინავე ქვეყნების გამოცდილების შესწავლისა და საქართველოში დანერგვის საფუძველზე. გადასახადების გადახდაზე უარის თქმის მასშტაბების გაზრდის თავიდან აცილების მიზნით უნდა განმტკიცდეს საგადასახადო დისციპლინა. ამ მიზნით:

— მნიშვნელოვნად გაიზრდება საგადასახადო სამსახურის მუშაკთა რიცხოვნობა, განმტკიცდება ამ სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და მოხდება საგადასახადო ოპერაციების კომპიუტერიზაცია;

— ამაღლდება საგადასახადო სამსახურის მუშაკთა კვალიფიკაცია, მათ შორის უცხოეთის მიერ ტექნიკური დახმარების გზით;

— დაინერგება გადასახადის გადამხდელთა პირადი ნორმები;

— შეტანილ იქნება ცვლილებანი მოქმედ კანონმდებლობაში გადამხდელთა პასუხისმგებლობის ამაღლების მიმართულებით და კანონმდებლობით განისაზღვრება სანქციების სხვადასხვა სახეობები;

— სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებში კვლავაც მნიშვნელოვანი იქნება განათლების, მეცნიერების, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები, თუმცა განხორციელდება ღონისძიებანი მათი შემცირების მიმართულებით.

— მიზანშეწონილია სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების ნაწილობრივ ფასიან სწავლებაზე გადასვლა, სტუდენტებისა და ასპირანტების მიღება საწარმოთა და უწყებათა დაკვეთის საფუძველზე, მათი სწავლების საფასურის გადახდით;

— გათვალისწინებულია სახელმწიფო და კერძო ფასიანი მომსახურების სფეროს მნიშვნელოვანი გაფართოება;

— მოხდება ეტაპობრივი გადასვლა სადაზღვევო მედიცინაზე;

— სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტურის თანდათანობით შეცვლა სულ უფრო მეტად მისცემს მას მოსახლეობის სოციალური დაცვის სახეს. მომავალში გაიზრდება ამ ხარჯების ხვედრითი წილი სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტურაში.

1993 წელს სახელმწიფოს უპირველეს ამოცანად კვლავ იქნება ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების დაბალანსება, თუმცა ამის მიღწევა საბოლოოდ ვერ მოხერხდება. დაგეგმილთან შედარებით ბიუჯეტის ხარჯების ზრდასა და შემოსავლების შესაძლო შემცირებას მოჰყვება ქვეყნის საფინანსო სამსახურის და მთავრობის მიერ მასზე ოპერატიული რეაგირება.

განხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების შემცირების ღონისძიებანი. მნიშვნელოვნად შეიკვეცება სახელმწიფო სექტორში ბიუჯეტის ხარჯზე სუბსიდიები — ინვესტიციები და დოტაციები. პირველ რიგში ეს მოხდება არარენტაბელურ საწარმოთა სუბსიდირების შეწყვეტის ხარჯზე. თუმცა, რეფორმის პირველ ეტაპზე ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო საწარმოთა ბიუჯეტის ხარჯზე სუბსიდირება, მათ შორის დოტაციის სისტემა, მაინც დარჩება. ეკონომიკურ-ფინანსური მდგომარეობის განმტკიცების, აგრეთვე მათი ნაწილის პრივატიზების შედეგად ასეთ საწარმოთა რიცხვი თანდათანობით შემცირდება.

სახელმწიფო ინვესტიციების შემცირება გაზრდის საწარმოთა დაინტერესებას საკუთარი რესურსების ინვესტიციებისათვის გამოყენებაში. სახელმწიფო ბიუჯეტის ზემოთ აღნიშნული ხარჯების შემცირებას დააჩქარებს სახელმწიფო ქონების პრივატიზება და მის ხარჯზე კერძო სექტორის სფეროს გაფართოება. პრივატიზაცია იქცევა სახელმწიფო ბიუჯეტისათვის შემოსავლების მიღების წყაროდ. შეწყდება ნაკლებეფექტიანი პროექტების განხორციელების დაფინანსება.

სახელმწიფოს ფულადი რესურსების არარაციონალური გამოყენების თავიდან აცილების მიზნით, მთავრობა ყოველწლიურად განსაზღვრავს სახსრების დაბანდების პრიორიტეტულ მიმართულებებს, მოაწესრიგებს შემოსავლების განაწილების სისტემას სხვადასხვა ბიუჯეტებს შორის.

მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა საარიცხვო-საკონტროლო მექანიზმის სრულყოფას, რათა გამოირიცხოს შემოსავლების გადასახადებისაგან დამალვის შესაძლებლობა.

ეკონომიკაში ინვესტიციების განხორციელებისას ბიუჯეტურ რესურსებთან ერთად, გათვალისწინებულია ბანკის კრედიტის, საწარმოთა და კერძო პირების საკუთარი სახსრების როლის ამაღლება, საზღვარგარეთიდან ინვესტიციების მოზიდვა — ძირითადად საშუალო და გრძელვადიანი კრედიტის სახით.

სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის შემცირების მიზნით 1993 წელს აღებულ იქნება შიგა სესხი ობლიგაციების გამოშვების სახით.

უახლოეს მომავალში უნდა გატარდეს დამატებითი ღონისძიებანი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გაზრდისათვის. საბიუჯეტო კონტროლი უნდა გაძლიერდეს სამი ძირითადი მიმართულების ხარჯზე. პირველი — უნდა განხორციელდეს მკაცრი სეკვესტირების პრინციპი, ე. ი. დანახარჯები უნდა შეიზღუდოს შემოსავლების ოდენობით, მეორე — მთავრობამ არ უნდა შექმნას ახალი არასაბიუჯეტო სახელმწიფო ფონდები, ზოგიერთი უკვე არსებული კი უნდა გაითვალისწინოს კონსოლიდირებულ ბიუჯეტში, და მესამე — მთავრობამ და ეროვნულმა ბანკმა უნდა მიიღონ ზომები, რათა რაც შეიძლება მინიმალურ დონეზე იქნეს დაყვანილი საბიუჯეტო დეფიციტის დაფინანსება საბანკო კრედიტების ხარჯზე. ბიუჯეტის დაბალანსებაზე მკაცრი კონტროლის მუდმივი განხორციელების მიზნით საქართველოს მთავრობა გადავა მის ყოველკვარტალურ ან ორეტაპიან დაგეგმვაზე და ბიუჯეტური შემოსავლების ზრდისა და შემცირების ოპერატიულ რეგულირებაზე. დაინერგება დადგენილი სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის საკანონმდებლო შეზღუდვა. მნიშვნელოვნადაა შესაცვლელი ბიუჯეტის ხარჯების სტრუქტურა. საჭიროა დაიწყოს მმართველობის ხარჯების შემცირება ვიწროდარგობრივი სახელმწიფო სტრუქტურების და მმართველობის შუალედური რგოლების ორგანოების ლიკვიდაციის ხარჯზე.

ახლო მომავალში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში სათანადო ადგილს დაიკავებს ერთობლივი საწარმოებიდან და საზღვარგარეთის ფირმებიდან შემოსავლები. საქართველოს და სხვა ქვეყნების ურთიერთსასარგებლო ეკონომიკური კავშირების შემდგომი გაღრმავება, შიდაპოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასთან ერთად უცხოელი ინვესტიტორების მოზიდვის მყარ საფუძველს შექმნის. საგარეო-სავაჭრო კავშირების განვითარების სტიმულირების მიზნით მთავრობა ადგას ლიბერალური საგადასახადო პოლიტიკის კურსს.

2.3. ფულად-საკრედიტო პოლიტიკა

ახლო მომავლის ფულად-საკრედიტო პოლიტიკა მიზნად ისახავს ინფლაციური პროცესების დამუხრუჭებას და წარმოების სფეროში ანტირეცესიული ღონისძიებების მხარდაჭერას.

მანეთის მსყიდველობითი უნარის სისტემატური შემცირება, ინფლაცია, ქრონიკული შეუსაბამობა მიმოქცევაში არსებულ ფულად მასასა და საქონელს შორის მეტად უარყოფითად მოქმედებს როგორც ქვეყნის ეკონომიკის ფუნქციონირებაზე, ისე თითოეული მოქალაქის კეთილდღეობაზე.

1993 წლის პირველი იანვრისათვის საქართველოში მიმოქცევაში იყო დაახლოებით 20,2 მლრდ. მანეთი — ეს გასული წლის ერთობლივი ეროვნული პროდუქტის 19 პროცენტია. საქართველოს მოსახლეობას 1992 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით ხელზე ჰქონდა დაახლოებით 17,5 მლრდ მანეთი ნაღდი ფული (მიმდინარე შემოსავლების გარდა), რომელიც ფორმალურად მიმოქცევაში არ გადის, მაგრამ რეალურად „მთელი დატვირთვით" ემსახურება საქონელბრუნვის პროცესს, უპირატესად იმ საქონელბრუნვისას, რომელიც ჯერაც ჩრდილოვან ეკონომიკას წარმოადგენს.

მიმოქცევაში გაშვებული ფულის დიდი ნაწილი აღარ უბრუნდება საბანკო სისტემას. 1991 წელს მიმოქცევაში გაშვებული ფულის მასის საშუალო ბრუნვამ წელიწადში მხოლოდ 1,7 შეადგინა, ე. ი. 1 ბრუნვას დასჭირდა 211,8 დღე (ეს იმ დროს, როდესაც ინკასაციის გარეშე დარჩენილი ფულადი სახსრების ბრუნვის სიჩქარე კომერციულ სტრუქტურებში დაახლოებით 3-6-ჯერ უფრო მაღალია).

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ძირითადი ამოცანაა საკრედიტო პოლიტიკის მოქნილობის ამაღლება. ფულის მასის დინამიკა ისე უნდა წარიმართოს, რომ არ იქნეს დაშვებული როგორც მაღალი ინფლაცია, ისევე წარმოების დიდი ოდენობით დაცემა. ეს უნდა განხორციელდეს მოქნილი საპროცენტო პოლიტიკის გატარების, ბანკთაშორისი დაკრედიტების განვითარების, არაეფექტიანი საბიუჯეტო პროგრამების დაფინანსების შემცირების, საკრედიტო ემისიის მასშტაბების ოპტიმალურად მართვის გზით.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ საქართველოს საბანკო სისტემა ძნელად ექვემდებარება ფულად-საკრედიტო რეგულირების ინსტრუმენტებს, რაც გამოწვეულია ერთი მხრივ, ეროვნული ბანკის ინტეგრაციით აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურაში, მეორე მხრივ, კი მსხვილი სახელმწიფო ბანკების არსებობით, რომელთა რეგულირება ტრადიციული მეთოდებით ვერ ხერხდება მათს საქმიანობაში მთავრობის აქტიური ჩარევის გამო. კომერციული ბანკები არ ასრულებენ რაიმე მნიშვნელოვან როლს ქვეყნის ეკონომიკაში, როგორც წესი, სუსტია მათი რეაქცია ეროვნული ბანკის მარეგულირებელ ქმედებებზე.

საბანკო პოლიტიკაში საპროცენტო განაკვეთი უნდა იქცეს მთავარ ინდიკატორად და იგი უნდა არეგულირებდეს ფინანსური რესურსების დაბანდებას ეკონომიკაში. საბანკო სისტემა უნდა გადავიდეს ძირითადად რეგულირების არაპირდაპირ მეთოდებზე.

ეფექტიანი ანტიინფლაციური პოლიტიკის გატარებისათვის ხორციელდება საბანკო სისტემის სტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებანი, კერძოდ:

— მსხვილი სახელმწიფო ბანკების გადაყვანა კომერციულ საწყისებზე მათი აქციონირების გზით;

— კომერციული ბანკების სექტორში კონცენტრაციის პროცესების დაჩქარება;

— ბანკთაშორისი საკრედიტო ბაზრის განვითარება;

— უდეფიციტო სახელმწიფო ფინანსების მიღების მიზნით მკაცრი ბიუჯეტური პოლიტიკის შემოღება;

— ეროვნული ბანკის მიერ საქართველოს ბიუჯეტური დეფიციტის პირდაპირი დაფინანსების კანონით აკრძალვა;

— ფულადი და საკრედიტო ემისიის მოცულობის შეზღუდვა;

— საბანკო ანაბრებისა და კრედიტებზე პროცენტების ადმინისტრაციული რეგულირებისაგან განთავისუფლება;

— კომერციული ბანკების სადეპოზიტო საშუალებათა რეზერვებისა და არასაფინანსო (სამეურნეო) საწარმოთა დავალიანების ნორმატივების შემოღება.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შედეგი დიდად არის დამოკიდებული მთავრობისათვის ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად გაცემული კრედიტების შემცირებაზე. კრედიტების მოცულობა 1993-1994 წლებში მნიშვნელოვნად უნდა შემცირდეს, ყალიბდება სახელმწიფო ვალის მომსახურების მექანიზმი. მთავრობისათვის რიცხული დავალიანების დაფარვის წყაროების გამოძებნამდე გაფორმდება სახაზინო თამასუქები. განისაზღვრება წლიური ლიმიტი, რომლის ფარგლებშიც ეროვნული ბანკი გამოუყოფს მთავრობას კრედიტს. კრედიტების ნომინალური მოცულობა უნდა გაიზარდოს ისეთი ტემპით, რაც შეესაბამება ინფლაციის ზრდისა და წმინდა სავალუტო რეზერვების მატების ტემპებს, ამან უნდა უზრუნველყოს დაკრედიტების ისეთი ზრდა, რაც საკმარისია შემოსავლების შესაძლო კლების პირობებში საწარმოთა აუცილებელი ფინანსური საშუალებებით უზრუნველყოფისათვის, ფასების ახალ სტრუქტურასთან და საბაზრო პირობებთან შეგუებისათვის. საქართველოს ეროვნული ბანკის ფულადი და საკრედიტო ემისია შეთანხმებული იქნება წარმოებისა და საქონელბრუნვის მოცულობასა და სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების უზრუნველყოფის მოცულობასთან.

უფრო ეფექტიანი გახდება მიმოქცევაში არსებული ფულადი მასის მართვა, რისთვისაც მუშავდება ბრუნვაში არსებული ფულადი რესურსების მოცულობის პროგნოზი ფასების ლიბერალიზაციის გათვალისწინებით. ეს პროგნოზი მხედველობაში იქნება მიღებული 1993 წლის მეორე ნახევრისა და 1994 წლის ბიუჯეტის ხარჯების გაანგარიშებისა და მისი დეფიციტის დაფარვის წყაროების დადგენის დროს.

მეტი ყურადღება დაეთმობა უნაღდო და ნაღდი ფულადი ბრუნვის შეთანხმებულ რეგულირებას, რისთვისაც უნდა შემცირდეს საკრედიტო ემისიის მოცულობა. საბანკო დაწესებულებებში დეპოზიტებისა და მოქალაქეთა ანაბრების ინდექსირება მოხდება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, ინფლაციის ტემპის გათვალისწინებით. განხორციელდება ქვეყანაში სათამასუქო და საჩეკო ბრუნვის ორგანიზაცია.

ჩამოთვლილი ღონისძიებები საშუალებას მოგვცემს 1993 წელს არსებითად შევამციროთ ნაღდი ფულის ემისიის მოცულობა, რომელმაც 1992 წელს ფაქტობრივად 20,6 მლრდ მანეთი შეადგინა.

1993 წელს ქვეყანაში შენარჩუნებული იქნება სარეზერვო ვალუტების მიმართ მანეთის მცურავი კურსი, რომელიც „მიებმება" რუსეთის ცენტრალური ბანკის მიერ განსაზღვრულ სავალუტო კურსს. კომერციული ბანკებისათვის მას ექნება სარეკომენდაციო ხასიათი, რაც იმას ნიშნავს, რომ საბანკო დაწესებულებები დამოუკიდებლად განსაზღვრავენ როგორც ნაღდი, ისევე უნაღდო ვალუტის ყიდვა-გაყიდვის კურსს შიდასავალუტო ბაზარზე არსებული კონიუნქტურის გათვალისწინებით. განსაზღვრულია ნაღდი ვალუტის გადამცვლელი პუნქტების ქსელის შექმნა, რომელთა გახსნის უფლება ექნებათ ბანკებს, საწარმოებს, აგრეთვე კერძო პირებს. ეს ხელს შეუწყობს სავალუტო კურსის გარკვეულ სტაბილიზაციას.

ამასთან ერთად განხორციელდება მოქნილი საპროცენტო პოლიტიკა. ქვეყანაში ამჟამად მოქმედი განაკვეთების საბაზრო დონე ნაკლებია სამანეთო ზონაში, კერძოდ რუსეთში არსებული საპროცენტო განაკვეთების დონესთან შედარებით. ეს ხელს უწყობს როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ფულადი რესურსების მიგრაციას და ინფლაციური პროცესების გაღრმავებას. ამგვარი მდგომარეობიდან გამოსვლის მიზნით, ეროვნული ბანკი გაზრდის საკრედიტო რესურსების რეფინანსირების განაკვეთს, რომლის დონე უფრო მაღალი იქნება ვიდრე საბანკო დაწესებულებებში არსებული სადეპოზიტო განაკვეთი და მიაღწევს 60 პროცენტს. საპროცენტო განაკვეთების საბაზრო დონე რუსეთთან ანგარიშსწორებაში წარმოშობილი პრობლემების გამო ახლო მომავალში 85-90 პროცენტს შეადგენს. საანგარიშსწორებო ურთიერთობათა მოგვარების შემდეგ, ეროვნული ბანკი კვლავ გაზრდის რეფინანსირების განაკვეთს, რის შედეგადაც საპროცენტო განაკვეთების საბაზრო დონე მიუახლოვდება სამანეთო ზონის ქვეყნებში არსებულს.

ეროვნული ბანკი განახორციელებს დიფერენცირებულ მიდგომას ცალკეული დარგებისა და სფეროების მიმართ. დაწესდება სავალდებულო, მაგრამ ეკონომიკურად გამართლებული მარჟა, რომლის საშუალებითაც ისეთი დარგები, როგორიც არის სოფლის მეურნეობა, გადამამუშავებელი მრეწველობა და სხვა პრიორიტეტული სფეროები საკრედიტო რესურსებს მიიღებენ შეღავათიან პირობებში.

საპროცენტო განაკვეთების ლიბერალიზაციამ ადეკვატური რეაქცია რომ გამოიწვიოს, ამაღლდება მსესხებელთა, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფო საწარმოთა ქონებრივი პასუხისმგებლობა თავიანთი სამეურნეო საქმიანობის შედეგებისათვის. 1993 წლის პირველ ნახევარში მიღებული იქნება კანონი გირავნობის შესახებ. 1993 წელს შემუშავდება ქვეყანაში სათამასუქო ბრუნვის საფუძვლები, რაც საშუალებას მისცემს ეროვნულ ბანკს გამოიყენოს ფულად-საკრედიტო პოლიტიკის ისეთი ინსტრუმენტი, როგორიც არის დისკონტის განაკვეთი.

ეროვნული ბანკის მარეგულირებელი ქმედების შედეგიანობის გაზრდისათვის 1993 წლის მეორე ნახევარში განხორციელდება აგრეთვე სხვა რესტრუქციული ღონისძიებები, კერძოდ:

—გამკაცრდება სარეზერვო მოთხოვნები კომერციული ბანკების მიმართ;

— დაწესდება საბანკო დაწესებულებათა მიერ სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებათა აუცილებელი შესყიდვის ლიმიტები;

— დაწესდება საჯარიმო სანქციები კომერციული ბანკების მიერ ბალანსების ლიკვიდურობის ნორმატივების დარღვევის შემთხვევაში;

— განისაზღვრება საბანკო დაწესებულებათა გაკოტრების კრიტერიუმები და მისი გამოცხადების წესი.

ინფლაციის ტემპის გათვალისწინებით თანდათანობით 100-დან 200 მილიონ მანეთამდე გაიზრდება კომერციული ბანკების მინიმალური საწესდებო ფონდი. ამავე დროს შერბილდება რისკ-ფაქტორის მარეგულირებელი ნორმატივები მსხვილი სახელმწიფო საწარმოებისა და კომერციული სტრუქტურებისათვის, რაც კიდევ უფრო მოქნილს გახდის საბანკო სისტემას.

1993 წლის მეორე ნახევარსა და 1994 წელს კრედიტების ნომინალური მოცულობა უნდა გაიზარდოს იმ ტემპით, რომელიც შეესაბამება ინფლაციის ზრდისა და წმინდა სავალუტო რეზერვების მატების ტემპებს, ამან უნდა უზრუნველყოს დაკრედიტების ზრდის ისეთი ტემპები, რაც საკმარისია შემოსავლების შესაძლო კლების პირობებში საწარმოთა აუცილებელი ფინანსური საშუალებებით უზრუნველყოფისათვის, ფასების ახალ სტრუქტურასთან და საბაზრო პირობებთან შეგუებისათვის.

ფულად-საკრედიტო სისტემის განვითარების ღონისძიებებს უნდა დაერთოს ფინანსური ბაზრის ინფრასტრუქტურის ფორმირების დაჩქარება და მოხდეს ამ პროცესისადმი ხელშეწყობა. საანგარიშო საშუალოვადიან პერიოდში უნდა გაფართოვდეს როგორც ეროვნული ბანკის, ისევე კომერციული ბანკების ტექნიკური ბაზა. საბანკო სისტემის აღჭურვა თანამედროვე ტექნიკით უნდა იქცეს სტრუქტურული პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტად.

(გაგრძელება მე-4 გვ.).

საქართველოს რესპუბლიკაში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების საშუალოვადიანი პროგრამა

(გაგრძელება)

2. 4. ფულადი სისტემის რეფორმა

რესპუბლიკაში ამჟამად არსებული ფულადი სისტემა ჩამოყალიბდა ყოფილი სსრ კავშირის ფარგლებში და არ პასუხობს საქართველოს რესპუბლიკის სუვერენიტეტის მოთხოვნებს. რესპუბლიკის ყოფნა სამანეთო ზონაში რუსეთს, როგორც ფულის ემიტენტს, ყოველთვის აძლევს საშუალებას უდიდესი ზეგავლენა მოახდინოს მიმოქცევაზე. მიუხედავად ამისა საქართველოში არ იყო დაგეგმილი შუალედური ფსევდო ვალუტის შემოტანა. თუ რუსეთი სწრაფ, მოულოდნელ ეკონომიკურ აქციებს არ განახორციელებს, მაგრამ, 1992 წლის დეკემბრიდან მოყოლებული რუსეთის მხრიდან ნაღდი ფულის მოუწოდებლობამ წარმოშვა შუალედური ვალუტის ქართული კუპონის შემოღების აუცილებლობა, რომელიც მიმოქცევაში იქნება მანეთის პარალელურად, საქართველოში ვალუტური რეფორმის გატარებისა და ეროვნული ვალუტის შემოღებამდე. საქართველო ეცდება სრულად მოამზადოს ნიადაგი საკუთარ ვალუტაზე გადასასვლელად გამოცხადებულ საშუალოვადიან პერიოდში. ეროვნული ვალუტის ბრუნვაში შეყვანის დროს და წესს საქართველო წინასწარ აცნობებს სამანეთო ზონის ქვეყნებს და არ შელახავს მათ ინტერესებს.

ფულადი სისტემის რეფორმა განხორციელდება შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

გატარდება ფულის რეფორმა, რომლის შედეგად მიმოქცევაში შემოვა საკუთარი ეროვნული ვალუტა და შეიცვლება არსებული ფასების მასშტაბი;

განისაზღვრება ფულის ემისიისა და რესპუბლიკის ტერიტორიაზე მისი მიმოქცევის წესები;

— პრაქტიკულად განხორციელდება რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტებით საქართველოს ეროვნული ბანკისათვის მინიჭებული უფლებები, როგორც ქვეყნის საემისიო ცენტრისა, განახორციელოს ფულის მიმოქცევის რეგულირება და განსაზღვროს ფულადი პოლიტიკა რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

ფულადი სისტემის რეფორმის ზემოაღნიშნული მიმართულებებიდან მთავარია მიმოქცევაში საკუთარი ეროვნული ვალუტის გამოშვება. მაგრამ რესპუბლიკის ფულის მიმოქცევის დღევანდელი მდგომარეობის პირობებში, რომლისთვისაც დამახასიათებელია მანეთის სრული გაუფასურება, ემისიისა და ჰიპერინფლაციის მაღალი დონე, მიმოქცევაში ეროვნული ფულის ერთეულის გამოშვება მოხდება მხოლოდ მაკროეკონომიკური და პოლიტიკური სტაბილიზაციის ღონისძიებათა გატარების საფუძველზე, ახალი ვალუტისადმი ნდობის დამკვიდრებისათვის საჭირო აუცილებელი წინაპირობების შექმნის შემდეგ. ფულადი რეფორმის განხორციელება უნაღდო ანგარიშსწორებაში საკუთარი ფულადი ერთეულის შეყვანის გზით მოითხოვს ისეთი რთული ეკონომიკური და ორგანიზაციულ-ტექნიკური პრობლემების გადაჭრას, რისთვისაც დაიწყება მზადება და შეიქმნება საჭირო ნიადაგი.

საგადასახადო ბალანსის არარსებობა საქართველოსა და რუსეთს, აგრეთვე საქართველოს და სამანეთო ზონის სხვა სახელმწიფოებს შორის არ იძლევა საშუალებას ობიექტურ საფუძველზე განისაზღვროს საქართველოს საწარმოებსა და სამანეთო ზონის ქვეყნების საწარმოებს შორის ურთიერთანგარიშსწორებისათვის საჭირო სამანეთო საგადასახადო საშუალებათა მოცულობა და დადგინდეს ეროვნული ფულადი ერთეულის რეალური კურსი მანეთის მიმართ. შექმნილ პირობებში ზუსტი საგადასახადო ბალანსის მოკლე დროში დამუშავება (ფორმირება) დაკავშირებულია დიდ სირთულეებთან, რაც ერთ-ერთი წინააღმდეგობა იქნება საკუთარი ვალუტის შემოღების გზაზე.

არ არის გადაწყვეტილი ყოფილი სსრკ-ს ოქროს მარაგის და ალმასის ფონდის, საგარეო ვალების განაწილების საკითხი, რაც მისი დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში ნაწილობრივ შეიძლება გახდეს ეროვნული ვალუტის სტაბილიზაციის საფუძველი.

უნდა შემუშავდეს საქართველოს ბანკებში არსებული ძველი პასივის (საწარმოების და ორგანიზაციების სახსრების ნარჩენი) გადაფასების წესი მანეთებიდან ეროვნულ ფულად ერთეულში.

საქართველოს საბანკო სისტემა სადღეისოდ, როგორც ეკონომიკური, ისე ტექნიკური თვალსაზრისით არ არის მზად უზრუნველყოს სამანეთო სახსრების მობილიზაცია და საქართველოს საწარმოების ოპერატიული ანგარიშსწორება არა მარტო სამანეთო ზონის ქვეყნებთან, არამედ სხვა ქვეყნებთანაც.

საკუთარი ვალუტის შემოტანის პრობლემა წინააღმდეგობრივია — დაუშვებელია როგორც მისი ნაადრევად შემოტანა, ისევე ამ ვალუტის ბრუნვაში გაშვების დაგვიანება.

საქართველოს მოკლე პერიოდში არ გააჩნია შესაბამისი პირობები, რომ შემოიღოს ისეთი საკუთარი ვალუტა, რომელიც საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციების მიერ სრულფასოვან ფულად იქნება ცნობილი. ეს წარმოშობს საქართველოსთვის სერიოზულ გართულებებს საერთაშორისო ეკონომიკურ თანამშრომლობაში, რის გამოც შეიძლება გაიყინოს სავაჭრო ეკონომიკური ურთიერთობები და უცხოური ინვესტიციების მოზიდვა საქართველოს ეკონომიკაში.

ეროვნული ფულადი ერთეულის შემოღება გამოიწვევს ძველი სამეურნეო ხელშეკრულების ხელმეორედ ხელმოწერის აუცილებლობას და საგადასახადო ვალუტის განსაზღვრას სამანეთო ზონაში სამეურნეო საქმიანობის ძველი სუბიექტთან. ეს სერიოზულად გაართულებს სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს სამანეთო ზონის ქვეყნებთან. შესაძლოა, საქართველოს საწარმოთა უმრავლესობამ დაკარგოს შესაძლებლობა შეისყიდოს საჭირო საქონელი სამანეთო ზონის ქვეყნებში მანეთის კურსის მკვეთრი ზრდის გამო ეროვნულ ფულად ერთეულთან შედარებით. ეს განპირობებულია იმით, რომ პირველ პერიოდში მანეთის კურსი უფრო უკეთ იქნება გარანტირებული შესაბამისი უზრუნველყოფით და მიმოქცევის ფართო წრით. არ არის გამორიცხული, რომ საქართველოს საწარმოებისათვის მომგებიანი აღმოჩნდეს სამანეთო ზონის ქვეყნებში საკუთარი სახსრების დაბანდება, რადგან ეს მათ საშუალებას მისცემს დამოუკიდებლად გამოიყენონ აღნიშნული სახსრები.

ასეთ პირობებში საკუთარი ფულადი ერთეულის ბრუნვაში შემოღება, გარდა მისი ემისიის დამოუკიდებლად გატარებისა, წარმოქმნის მთელ რიგ პრობლემებს, რომლებიც არსებითად გაართულებს წარმოების სტაბილიზაციის დამოუკიდებელი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელებას.

ამასთან, უკანასკნელ პერიოდში შეიმჩნევა რუსეთის მიერ სამანეთო ზონის ქვეყნების თანდათანობითი შევიწროება მათი ამ ზონიდან განდევნის მიზნით. რუსეთის მთავრობისა და ცენტრალური ბანკის მიერ 1992 წლის განმავლობაში გატარებული ღონისძიებანი და ახალი საანგარიშსწორებო პოლიტიკა გვაძლევს იმის საფუძველს, რომ რუსეთი მიმდინარე წლის განმავლობაში შექმნის საკუთარი ვალუტის შემოღების რეალურ საფუძვლებს.

იმ პირობებში, როდესაც სამანეთო ზონა ფაქტობრივად დაშლის პირას არის მისული, ფინანსური სტაბილიზაცია რუსეთსა და მთლიანად სამანეთო ზონაში პრაქტიკულად არ არის მოსალოდნელი. აქედან გამომდინარე, სანამ საქართველო სამანეთო ზონაში იმყოფება, შეუძლებელია ინფლაციის მკვეთრი შემცირებისაკენ მიმართული სტაბილიზაციის ზომების გატარება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, 1993 წელს განხორციელდება ფულადი სისტემის რეფორმის და ეროვნული ვალუტის გამოშვების ძირითადი მოსამზადებელი სამუშაოები. კერძოდ:

დაიბეჭდება და ბრუნვაში შევა ქართული კუპონები, როგორც პარალელური ვალუტის ერთეული.

დაიდება ხელშეკრულება და განხორციელდება საჭირო რაოდენობის ეროვნული ფულის ნიშნების დაბეჭდვა, მისი შემოტანა და შენახვა ეროვნული ბანკის საცავში;

— მომზადდება საქართველოს რესპუბლიკის საკანონმდებლო აქტები ფულადი რეფორმისა და რესპუბლიკის ფულადი სისტემის განმტკიცების შესახებ;

—ეკონომიკის მოდერნიზაცია განხორციელდება ეროვნული ვალუტის სავარაუდო შემოღებისა და მისი სიმყარის შენარჩუნების გათვალისწინებით;

— ეროვნული ვალუტის მიმოქცევაში შემოღება სავარაუდოდ გათვალისწინებულია 1993 წლის დასასრულს ან 1994 წლის პირველ ნახევარში. ფულადი სისტემის რეფორმა გატარდება საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის საერთო სახელმწიფო ღონისძიებების განხორციელების პარალელურად, რის შედეგადაც შეიქმნება საბაზრო ინფრასტრუქტურა და შესაბამისი ურთიერთობები, პირველ რიგში პრივატიზაციის და აგრარული სექტორის რეფორმის განხორციელების გზით. უკანასკნელი თავის მხრივ წარმოადგენს ერთ-ერთ წინაპირობას ფასიანი ქაღალდის ბაზრის შექმნისა და უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის. პრივატიზაციის პროცესი გამოყენებული იქნება ეროვნული ვალუტის განმტკიცებისათვის.

რესპუბლიკაში ფასიანი ქაღალდების ბაზრის შექმნა და განვითარება გამოყენებული იქნება ამჟამად არსებული ბირჟების საქმიანობის აქტივიზაციისა და ახალი საბირჟო სტრუქტურების შექმნის მიზნით.

მიმოქცევაში ფასიანი ქაღალდების გამოშვება, როგორც ჭარბი ფულადი სახსრების ამოღების საშუალება, აქტიურად იქნება გამოყენებული რესპუბლიკის ფულის მიმოქცევის ბალანსირებისათვის.

1993 წელს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად მიმოქცევაში გამოშვებული იქნება სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები, მისი ოდენობა განისაზღვრება მომავალი წლის ბიუჯეტის შედგენისა და დამტკიცების პროცესში. ნაღდი ფულადი ბრუნვის მოცულობის შესამცირებლად რესპუბლიკაში 1993-1994 წწ. შემოღებული იქნება უნაღდო ანგარიშსწორების პროგრესული ფორმები: საკრედიტო ბარათები, ჩეკები და სხვა.

ფულადი სისტემის რეფორმის გატარებისას გათვალისწინებული იქნება მეანაბრეების და მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ფენების ინტერესები. ფულადი სისტემის რეფორმის დამთავრების შემდეგ ეროვნული ფულის ერთეულის საემისიო ცენტრის უფლება გადაეცემა ეროვნულ ბანკს.

ეროვნული ბანკი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განსაზღვრისა და გატარების დროს უზრუნველყოფს რესპუბლიკის ფულადი სისტემის სტაბილურობას და ელასტიურობას ეროვნული ფულისა და ეკონომიკურ პროცესებს შორის მუდმივი კავშირის დამყარების, საქონლის წარმოების და მიმოქცევის, ეროვნული შემოსავლის განაწილების და გადანაწილების, მოსახლეობის ფულადი შემოსავლების ფორმირების სფეროში მომხდარ ყველა ცვლილებაზე რეაგირების გზით.

საქართველოში საკუთარი ფულადი სისტემის შემოღება არსებითად შეცვლის ეკონომიკური პროცესების მიმდინარეობის ტენდენციებს.

2. 5. საინვესტიციო პოლიტიკა

საინვესტიციო პოლიტიკა გარდაიქმნება შემდეგი ძირითადი მიმართულებებით: დეცენტრალიზაცია მის ყველა სფეროში, სახელმწიფოებრივი ინვესტიციების ხვედრითი წილის შემცირება კერძო ინვესტიციების ხვედრითი წილის გადიდების კვალობაზე, მათი განაწილების მექანიზმის თვისებრივად გადახალისება, კაპიტალურ დაბანდებათა საბაზრო წყაროების მაქსიმალურად გაფართოება.

საბაზრო ურთიერთობებზე გარდამავალ პერიოდში, მძიმე ეკონომიკური და საფინანსო კრიზისის გათვალისწინებით, სახელმწიფო ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა შეზღუდული რესურსების კონცენტრაცია უნდა მოხდეს წინასწარშერჩეული პრიორიტეტების მკაცრი დაცვის პირობებში და უნდა წარიმართოს ეკონომიკისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ობიექტების აშენებისა და რეკონსტრუქციის, აგრეთვე სტიქიურ უბედურებათა შედეგების ლიკვიდაციის, საომარი მოქმედების ზონაში და დივერსიული მოქმედების შედეგად დაზიანებული და დანგრეული მეურნეობის აღდგენისათვის.

ეკონომიკური სტაბილიზაციის გარკვეული დონის მიღწევის შემდეგ საინვესტიციო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება გახდება მეცნიერებატევადი დარგების ინვესტირება.

ცენტრალიზებულ სახელმწიფოებრივ კაპიტალურ დაბანდებათა განაწილება განხორციელდება უპირატესად პროგრამული პრინციპით პროგრამების მთავარი შემსრულებლების მეშვეობით.

საწარმოო მშენებლობა გათვალისწინებულია განხორციელდეს ძირითადად საწარმოებისა და ორგანიზაციების საკუთარი სახსრების, საკრედიტო წყაროებისა და საბაზრო საწყისებზე აქციონერული კაპიტალის მოზიდვის მეშვეობით.

საინვესტიციო პოლიტიკა იცვლება მისი ანტიინფლაციური მიმართულებით, რაც იმას ნიშნავს, რომ ინვესტიციების მიმართვა, როგორც სახელმწიფოებრივ, ისე არასახელმწიფოებრივ სექტორში მოხდეს მაშინ, როდესაც მათი ათვისება და უკუგება უზრუნველყოფილია რეალური პირობებით და მაღალი სამშენებლო მზადყოფნით.

საწარმოთა საინვესტიციო აქტიურობის გაზრდის მიზნით მათ მიერ მოგების ხარჯზე დაფინანსებული ინვესტიციები ეკონომიკის პრიორიტეტულ დარგებში ძირითადად განთავისუფლდებიან დაბეგვრისაგან, ხოლო დანარჩენ დარგებში ამ სახის ინვესტიციების დაბეგვრა მაქსიმალურად შემცირდება.

ამოქმედდება საკრედიტო შეღავათების სისტემა იმ ინვესტირებისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ უმოკლეს ვადებში სიმძლავრეთა ამოქმედებას წარმოების მაღალი ტექნიკური და ფინანსური ეფექტიანობის გზით.

იქმნება უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მასტიმულირებელი პირობები. შექმნილია საზღვარგარეთული ინვესტიციების და კრედიტების სახელმწიფო საკოორდინაციო კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს და პრაქტიკულად განახორციელოს საინვესტიციო პროგრამა, რაც თავის მხრივ პრიორიტეტული სახელმწიფო დარგობრივი პროგრამების და კერძო მეწარმეობის შემდგომი განვითარების სახელმწიფო გარანტია იქნება.

უცხოეთის ინვესტიციების და ინვესტორების უფრო ფართოდ მოზიდვის მიზნით მიღებულ კანონში საქართველოში საზღვარგარეთული ინვესტიციების შესახებ დამატებით უნდა იქნეს გათვალისწინებული შეღავათები და სათანადო გარანტიები, კერძოდ:

საქართველოს სახელმწიფოს მიერ პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში უცხოელი ინვესტორებისათვის მატერიალური კომპენსაცია ზარალის და დანაკარგებისა, მისაღები სარგოების გათვალისწინებით;

— გადასახდელი სახელმწიფო ბეგარისა და საბაჟო ტარიფების განაკვეთების შემცირება;

— შეღავათიანი გადასახადი მიწისა და ბუნებრივი რესურსების გამოყენებისათვის;

— მოგების გადასახადის განაკვეთის შემცირება;

— უცხოეთის ბანკებისათვის სახელმწიფო გარანტიების მიცემა, რომ აუნაზღაურდება საქართველოს ტერიტორიაზე დაუბრუნებელი სავალუტო კრედიტები;

— საფონდო ბირჟების ოპერაციებზე თავისუფალი დაშვება;

— ძირითადი ფონდების დაჩქარებული ამორტიზაციის ნორმების გამოყენების შესაძლებლობა.

გამარტივებულია საზღვარგარეთული ფირმების წარმომადგენლობათა და ერთობლივი საწარმოების საქართველოში აკრედიტაციისა და რეგისტრაციის პროცედურა, უცხოელ ინვესტორებს გარანტირებული აქვთ თანხების შეუფერხებელი გადარიცხვა (მოგების რეპატრიაცია) საზღვარგარეთ უცხოური ვალუტით. მათ მიერ მანეთებში მიღებული მოგება შეიძლება რეინვესტირებული იქნეს საქართველოს ტერიტორიაზე ან სხვა ქვეყნებში სამანეთო სივრცის ფარგლებში, უცხოელ ინვესტორებს შეუძლიათ საზღვარგარეთ გადარიცხონ მანეთებში მიღებული თანხა მათი უცხოურ ვალუტაზე კონვერტირების გზით,

პრიორიტეტულ დარგებსა და რეგიონებში დაბანდებულ კაპიტალს შეექმნება უაღრესად შეღავათიანი დაბეგვრის პირობები. შესაძლებელი იქნება მიწის ნაკვეთების გრძელვადიანი იჯარით აღება საინვესტიციო ობიექტების შექმნის მიზნით,

ცალკეულ შემთხვევებში უცხოური ინვესტიციებისათვის შეიქმნება ე. წ. უდაბეგვრო („ოფ-შორული") ზონები. განსაკუთრებული ხელშეწყობა ექნებათ იმ მეწარმეებს, რომლებიც კონცესიების პრინციპის საფუძველზე პრიორიტეტულ დარგებში „აიღებენ" საწარმოებს და იმ უცხოელ ინვესტორებს, რომლებიც განახორციელებენ როგორც ფინანსურ, ისე პირდაპირ (რეალურ) რეინვესტიციებს.

უცხოელ ინვესტორებს შესაძლებლობა ექნებათ საქართველოში შემოტანილ რესურსებზე ისარგებლონ დაბალი საბაჟო გადასახადებითა და ტარიფებით, ძირითადი ფონდების ამორტიზაციის დაჩქარებული ნორმებით,

კრედიტების სახით მიღებული უცხოური ინვესტიციების მხოლოდ მცირე ნაწილი იქნება გამოყენებული კვების პროდუქტების შესაძენად. უპირატესი ნაწილი გამოიყენება კვების პროდუქტების მწარმოებელი დარგებისათვის (პირველ რიგში — სოფლის მეურნეობისათვის) საჭირო რაოდენობის და ნომენკლატურის ტექნიკისა და ტექნოლოგიების შესაძენად.

მუშავდება პროგრამა, რომლის საფუძველზე უნდა განხორციელდეს ტრანსევრაზიული სატრანსპორტო მაგისტრალის მშენებლობა და განისაზღვროს ამ მიზნით უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ვარიანტები, იმის გათვალისწინებით, რომ ამ მაგისტრალის მშენებლობის დამფინანსებელ ქვეყნებს მიეცემათ მისი სარგებლობისას რეალური შეღავათები.

პერსპექტიულია ისეთი პროგრამები, როგორიც არის: კასპიის ზღვასა და შავ ზღვას შორის დამაკავშირებელი ავტომაგისტრალის მშენებლობა; ბაქოსა (აზერბაიჯანი) და ბათუმს (საქართველო) შორის ნავთობის მილსადენის მშენებლობა; შუა აზიისა და ყაზახეთის ნავთობის ექსპორტირებისათვის მილსადენის მშენებლობა ამ რეგიონსა და შავი ზღვის საქართველოს სანაპიროს შორის.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შემდგომმა განვითარებამ უნდა გაზარდოს საავტომობილო, სარკინიგზო და საჰაერო ტრანსპორტის ტრანზიტული მგზავრებისა და ტვირთების გადაზიდვების მოცულობა.

შავ ზღვაზე არსებულმა ორმა ნავსადგურმა (ბათუმი, ფოთი), მათმა რეკონსტრუქციამ და ახალი ნავსადგურების მშენებლობამ საგრძნობლად უნდა გაზარდოს საქართველოში საზღვაო ტრანსპორტით გადაზიდვის მოცულობა, სადაც საგრძნობი იქნება სატრანზიტო ტვირთების მოცულობა.

შავი ზღვის სუბტროპიკული ზონის კურორტებისა და კავკასიონის მთიანეთის უშუალო სიახლოვე საზღვაო ტურიზმისა და სამთო-სათხილამურო სპორტის შემდგომი განვითარების კარგ პერსპექტივებს სახავს, რომლის შედეგად მოხდება ტურისტული ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება, რაც თავის მხრივ უცხოური ტურიზმის სწრაფი განვითარების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა და უთუოდ წაახალისებს საზღვარგარეთული კაპიტალის მოზიდვას საქართველოში მისი ტურისტული ინდუსტრიის საერთაშორისო სტანდარტების მაღალ დონეზე წარმართვისათვის.

მომავალი საზღვარგარეთული ინვესტიციების რეჟიმის ფორმირება განხორციელდება სამამულო და საზღვარგარეთელი ინვესტორების საქმიანობის უნიფიკაციის მიმართულებით. უმნიშვნელოვანესი ამოცანაა უცხოელი ინვესტორების მოზიდვა საქართველოში მიმდინარე პრივატიზაციის პროცესში, რადგანაც ამ შემთხვევაში იქმნება შესაძლებლობა საწარმოს დონეზე რეფორმის ძირითადი ამოცანების გადაწყვეტისათვის: ეფექტიანი მესაკუთრის შექმნა, საწარმოო აპარატის მოდერნიზაცია, კავშირი მსოფლიო ბაზართან, სოციალური პრობლემების გადაწყვეტა.

ტარდება საინვესტიციო ციკლის (პროექტირება-მშენებლობა-ათვისება) განხორციელების პროცესში არსებულ ორგანიზაციულ წინააღმდეგობათა აღმოფხვრის ღონისძიებანი, რათა ინვესტიციების საბოლოო შედეგი — საექსპლუატაციოდ გამზადებული პროექტი ამოქმედდეს უმოკლეს ვადებში.

ხორციელდება დაუმთავრებელი მშენებლობის ინვენტარიზაცია, რის შედეგადაც შეწყდება უპერსპექტივო ობიექტების დაფინანსება, მოხდება მათი პრივატიზება და მიღებული სახსრების ბიუჯეტურ ასიგნებათა სახით პრიორიტეტული დარგების საინვესტიციო ობიექტების დაფინანსებისათვის გამოყენება.

შეიქმნება სპეციალური ფონდი, რომელიც იმუშავებს საქართველოს ეკონომიკაში უცხოური ინვესტიციების მოზიდვაზე. პარალელურად უნდა მოხდეს რომელიმე სპეციალიზებული სახელმწიფო ბანკის საინვესტიციო ბანკად გარდაქმნა, რომელიც გადამწყვეტ როლს შეასრულებს სახელმწიფოებრივი ინვესტიციური პოლიტიკის რეალიზაციის საქმეში.

იქმნება გლობალური (მაკროეკონომიკური) საინვესტიციო პოლიტიკის მართვის (კვლევის, ანალიზის და პროგნოზირების) ცენტრი კონკრეტული სადღეისო და სამომავლო საინვესტიციო პრობლემების დროულად და ეფექტიანად გადაწყვეტის ხელშესაწყობად.

შეიქმნება ინფორმაციის სისტემა საქართველოში ინვესტიციური პროექტების თაობაზე, რომელიც საზღვარგარეთელ ინვესტორებს მიაწოდებს ინფორმაციებს.

2. 6. საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა ლიბერალიზაცია

მთავრობის საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა მიმართული იქნება საქართველოში ღია ეკონომიკის ფორმირებისაკენ, რამაც ხელი უნდა შეუწყოს მსოფლიო ბაზარში მის შემდგომ ინტეგრაციას და მეურნეობის რადიკალურ სტრუქტურულ გარდაქმნას. საქართველო გააფართოებს კონტაქტებს საზღვარგარეთის ქვეყნებთან, კვლავაც მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებს იქონიებს ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთან, რომლებთანაც დადებული ხელშეკრულებები გაითვალისწინებენ მაქსიმალურად ლიბერალური პირობების შენარჩუნებას, რათა ამ ქვეყნების ბაზარი და სანედლეულო რესურსები ხელმისაწვდომი გახდეს როგორც ადგილობრივი, ისევე უცხოური კაპიტალისათვის.

მთავრობის სტრატეგიული მიზანია ყოველგვარი ბარიერების მოხსნა, როგორც ამას მოითხოვს „გენერალური შეთანხმება ვაჭრობასა და ტარიფებზე" და რომლის პირობებსაც საქართველოს მთავრობა აპირებს შეუერთდეს. ამ მიმართულებით გადაიდგმება ნაბიჯები ეტაპობრივად, საქართველოს საგადასახადო ბალანსის წონასწორობის მიღწევის ტაქტიკური ამოცანების შესაბამისად.

ამასთან დაკავშირებით საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა ახორციელებს ღონისძიებებს საგარეო ვაჭრობისა და სავალუტო ოპერაციების ლიბერალიზაციისათვის „საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ლიბერალიზაციის პირველი ეტაპის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის 1992 წლის 3 მარტის დადგენილება საშუალებას აძლევს საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ყველა იურიდიულ პირს საკუთრების ფორმის მიუხედავად ყოველგვარი შეზღუდვებისა და სპეციალური რეგისტრაციის გარეშე განახორციელოს საგარეო ეკონომიკური საქმიანობა, საქართველოში არსებული ექსპორტის კვოტირებისა და ლიცენზირების არსებული წესი მხოლოდ ზოგიერთი დასახელების საქონელზე ვრცელდება, ხოლო რაც შეეხება იმპორტს, მთლიანად ლიბერალიზებულია. მთავრობას გადაწყვეტილი აქვს უახლოეს პერიოდში შესაძლო მინიმუმამდე დაიყვანოს შეზღუდვები და საქონლის გატანა თავისუფალი გახადოს რაოდენობრივი რეგულირებისაგან, გარდა საერთაშორისო პრაქტიკაში არსებული ტრადიციული შეზღუდვებისა (იარაღი, ნარკოტიკული ნივთიერებანი და სხვა).

საექსპორტო ოპერაციების განხორციელებისას გამოიყენება ერთიანი დროებითი საბაჟო გადასახადი, რომელიც შეადგენს ორ პროცენტს. აღნიშნული გადასახადისაგან განთავისუფლებულია მედიკამენტები და სასურსათო პროდუქტები. ყველა სახის საექსპორტო საქონელზე დაწესებულია ასევე ერთიანი დროებითი საბაჟო გადასახადი, რომელიც შეადგენს საკონტრაქტო ღირებულების რვა პროცენტს. 1993 წლიდან აღნიშნული ერთიანი წესი შეიცვლება დიფერენცირებული ტარიფებით.

საბაჟო გადასახადის აღნიშნული სისტემა შეეხება ყველა საწარმოს, განურჩევლად მათი სამართლებრივი სტატუსისა და საკუთრების ფორმისა. შეღავათიანი საბაჟო გადასახადების შემოღების მიზანი იყო ხელსაყრელი პირობების შექმნა საქონლისა და კაპიტალის ინტენსიური შემოტანისათვის საქართველოში არა მარტო ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, არამედ სამანეთო ზონის ქვეყნებში შესაღწევად. რუსეთისა და ყოფილ საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების მიერ საბაჟო რეჟიმის გამკაცრება და ახალ ურთიერთობებზე გადასვლა უკვე მოითხოვს განსაკუთრებულ მიდგომებს, თუმცა საქართველოში ხორციელდება ღონისძიებანი საგარეო ვაჭრობაზე სახელმწიფო მონოპოლიის ლიკვიდაციისათვის, რომლის ძირითადი მიმართულებებია:

— საგარეო სავაჭრო საწარმოების დემონოპოლიზაცია და პრივატიზაცია;

— კომერციული საშუამავლო ფირმების შექმნის სტიმულირება;

— საგარეო ეკონომიკური საქმიანობის სუბიექტთა ოპერაციებისათვის და მათი შედეგებისათვის სახელმწიფო პასუხისმგებლობის მოხსნა;

— სახელმწიფო შეკვეთების განაწილება საგარეო სავაჭრო ფირმებზე აუქციონებისა და ტენდერული ვაჭრობის საფუძველზე.

საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების შემდგომი ლიბერალიზაციის მიზნით საქართველოში განხორციელდება:

— საექსპორტო საბაჟო ტარიფების თანმიმდევრული შემცირება და დიფერენცირებული საექსპორტო და საიმპორტო ტარიფების შემოღება ნაცვლად არსებული უნიფიცირებული ტარიფებისა;

— შიდა საბაზრო და მსოფლიო ფასების თანდათანობითი დაახლოების პოლიტიკა;

— ექსპორტის ხელშეწყობისა და წარმოებული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის ზრდის შესაბამისი ღონისძიებანი გასაღების ბაზრების გასაფართოებლად;

— მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ხელის შეწყობა;

— საზღვარგარეთული ინვესტიციების ფართო მოზიდვის პოლიტიკა.

აუცილებლობის შემთხვევაში განხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან იმპორტირებული საქონლის იმ მომხმარებლების პირდაპირი სუბსიდირება, რომლებსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვთ მოსახლეობის ცხოვრების დონის შენარჩუნების, სასიცოცხლო დანიშნულების წარმოებებისა და ორგანიზაციების ფუნქციონირებისათვის. საზღვარგარეთული კრედიტები განაწილდება საქართველოს იმპორტიორებს შორის შიდა ვაჭრობის საფუძველზე. იგივე მოხდება ინვესტიციური კრედიტების განაწილებისას. განაწილება, იქნება კონკურსული და საჯარო.

სუვერენული სახელმწიფოს უფლებებიდან და ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველო მიისწრაფვის მსოფლიოს ქვეყნებთან დაამყაროს უშუალო, პირდაპირი კავშირები სავალუტო-საკრედიტო ურთიერთობათა სფეროში.

მას შემდეგ, რაც ბრუნვაში შევა ეროვნული ვალუტა, იგი იქნება ერთადერთი კანონიერი საგადამხდელო საშუალება საქართველოს ტერიტორიაზე, ხოლო მისი კურსი უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში გახდება ერთ-ერთი მთავარი საშუალება საგარეო ვაჭრობისა და კაპიტალის მოძრაობის სახელმწიფო რეგულირებისას.

ახლო მომავალში შესაძლებელია საქართველოს ტერიტორიაზე შავიზღვისპირა რეგიონში თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნა ხელსაყრელი საგადასახადო პირობებითა და სხვა სახის შეღავათებით, გაუქმდება ბარიერები მეზობელ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობებში და ხელი შეეწყობა საზღვრისპირა ვაჭრობის გააქტიურებას.

აუცილებლად უნდა იქნეს გამოყენებული საქართველოს გეოპოლიტიკური მდგომარეობა, როგორც ევროპიდან აზიისკენ მიმავალ გზაზე არსებითი სატრანსპორტო კორიდორისა.

საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობათა სფეროში სტრატეგიული და მიმდინარე ინტერესების შეთანხმება განსაზღვრავს გარდამავალი პერიოდის გარდუვალობას. ამ პერიოდში საქართველოს მოუწევს თანდათანობით ინტეგრირდეს მსოფლიო ეკონომიკურ გაერთიანებაში და მოახდინოს თავისი საგარეო ეკონომიკური კავშირების ოპტიმიზაცია.

ამ ეტაპზე ყოფილი სსრკ რესპუბლიკებთან თანამშრომლობა უნდა იქცეს მნიშვნელოვან მასტაბილიზირებელ ფაქტორად, რაც გააადვილებს ღია საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლას.

საშუალოვადიან პერიოდში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა სსრ კავშირის ყოფილ რესპუბლიკებს შორის საგარეო ვაჭრობის შემდგომი მოშლის თავიდან აცილება. არსებული სავალუტო რეჟიმის განუსაზღვრელობისა და მანეთის კურსის არამდგრადობის პირობებში აღნიშნული ქვეყნები იძულებული არიან სულ უფრო მეტად მიმართონ ბარტერულ ან დაბალანსებული ორმხრივი ვაჭრობის რეჟიმს. ამგვარი პირობების შენარჩუნება გამოიწვევს ვაჭრობის მოცულობის შემდგომ შემცირებას და წარმოებაზე ამ პროცესის უარყოფითი გავლენის გაძლიერებას.

ასეთ ვითარებაში სახელმწიფოთა შორის ურთიერთხელსაყრელი სავაჭრო-ეკონომიკური პირობების შექმნის მიზნით შეიძლება საქართველო გარკვეული დროის განმავლობაში მონაწილეობდეს ისეთ საგადამხდელო კავშირში, რომელსაც ექნება დასავლეთის მხრიდან სავალუტო დახმარება.

დასმული ამოცანის გადასაწყვეტად გათვალისწინებულია დსთ-ის ქვეყნებთან სამეურნეო კავშირების სტაბილიზაციისათვის გარკვეული პირობების შექმნა ეკონომიკური კრიზისის შედეგების შერბილების მიზნით, აგრეთვე ეკონომიკურ ურთიერთობათა განვითარების ისეთი მეთოდებისა და კრიტერიუმების გამოყენება, რომლებიც პასუხობენ ბაზრის მსოფლიო სტანდარტებს.

მთავრობა განახორციელებს ურთიერთხელსაყრელ თანამშრომლობას ყოფილი სსრ კავშირის რესპუბლიკებთან საქმიანობის სხვადასხვა სფეროში, რომელიც დაემყარება ტერიტორიულ თუ პოლიტიკურ სიახლოვეს, ეკონომიკური ინტერესების ერთიანობას.

აღდგება და გაფართოვდება სავაჭრო კავშირები დსთ-ს ქვეყნებთან, რომლის განხორციელებისთვისაც შეიქმნება განსაკუთრებული შეთანხმებული საბაჟო სავიზო, საგადამხდელო, საანგარიშსწორებო პირობები, რამაც უნდა უზრუნველყოს საქონლის, კაპიტალისა და მოქალაქეთა თავისუფალი მოძრაობა.

დსთ-ს ქვეყნებთან ეკონომიკურ ურთიერთობებში თანამიმდევრულად დაინერგება საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო პრინციპები ორმხრივი სახელმწიფოთაშორისი ხელშეკრულებების საფუძველზე, რომლებიც არ გამორიცხავენ ერთმანეთისათვის უპირატესი ხელის შეწყობის რეჟიმის დამყარებას. ამასთან, არ იქნება უგულებელყოფილი კომპრომისები, ერთმანეთის რეალური შესაძლებლობების გათვალისწინება.

საქართველოს რესპუბლიკას გარდამავალ პერიოდში აუცილებლად დასჭირდება საგარეო ფინანსური და ტექნიკური დახმარების მიღება, 1993-1994 წლებში კრიტიკული იმპორტის დასაბალანსებლად საქართველოს დასჭირდება ყოველწლიურად არანაკლებ 400 მილიონი დოლარის დაფინანსება. ამასთან, ეს ოდენობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა რაოდენობის საქონელს შევისყიდით რუსეთიდან და სამანეთო ზონის სხვა ქვეყნებიდან, საიდანაც დღეისათვის შემოდის მთელი იმპორტის 75 პროცენტზე მეტი. საკუთარი ვალუტის შემოღებისა და პირდაპირი სამანეთო დაფინანსების შეზღუდვის ან მთლიანად შეწყვეტის შემთხვევაში უცხოური დახმარების ძირითადი წყარო უნდა გახდეს ოფიციალური სამთავრობო ორმხრივი და მრავალმხრივი საკრედიტო ხელშეკრულებები. ამასთან, დაიწყება სტრუქტურული რეფორმები. აუცილებელი იქნება დაფინანსების კომერციული წყაროების მოზიდვაც.

უცხოური დახმარების ეფექტიანი გამოყენების მიზნით გატარდება შემდეგი ღონისძიებანი:

— დამუშავდება პრიორიტეტული პროექტები საგარეო ფინანსური და ტექნოლოგიური დახმარების მიღებისათვის;

— განისაზღვრება დახმარების მიღების ალტერნატიული წყაროები;

— შემუშავდება საგარეო ვალის გამოყენებისა და მართვის წესები.

თავი III. სტრუქტურული ცვლილებანი

III. 1. სტრუქტურული რეფორმის ზოგადი მიმართულებანი

სტრუქტურული ცვლილებების მთავარი მიზანია არსებული ეკონომიკური კრიზისის დაძლევა, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის მაქსიმალურად დაჩქარება, ეკონომიკის რეკონსტრუქციის მართვადი ხასიათის უზრუნველყოფა.

სტრუქტურული ცვლილებები უნდა განხორციელდეს მიზანდასახულად. მისი გაგრძელება სტიქიურად, როგორც ეს დღეს ხდება, იწვევს წარმოების დაცემას, მასობრივ უმუშევრობას, დაგროვილი სამრეწველო და სამეცნიერო პოტენციალის ფლანგვასა და დაკარგვას. საჭიროა ისეთი მიზანდასახული სტრუქტურული პოლიტიკის გატარება, რომელიც ხელს არ შეუშლის საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრებას და ამავე დროს ეკონომიკის რეკონსტრუქციას მისცემს მართვად ხასიათს.

სტრუქტურული გარდაქმნა განხორციელდება ახალი საწარმოების განვითარების, მოქმედი საწარმოების პროდუქციის განახლების, მეორადი რესურსების გადამმუშავებელი წარმოების განვითარების, მისი ტექნიკურად ხელახლა აღჭურვის, პრინციპულად ახალი ტექნოლოგიების დანერგვის მიზნობრივი პროგრამების მეშვეობით.

სტრუქტურული ცვლილებების შედეგად ეკონომიკურ ბრუნვაში უნდა მოექცეს ისეთი ბუნებრივი რესურსები, რომლებიც დამახინჯებული ფასწარმოქმნის გამო აღიქმებოდა როგორც არაეფექტიანი. უნდა შეიქმნას რესპუბლიკის ახალი საექსპორტო ბაზა.

სტრუქტურული გარდაქმნის შედეგად უნდა მოხდეს სამომხმარებლო დანიშნულების საქონლის, რეკრეაციული მომსახურების პროდუქციის წარმოების მკვეთრი გაფართოება, სასოფლო-სამეურნეო წარმოების, სოფლის მეურნეობისათვის მანქანებისა და მოწყობილობების გამოშვების, კვების მრეწველობის, მეცნიერებატევადი დარგების სატრანსპორტო, საკომუნიკაციო სფეროების დაჩქარებული განვითარება.

ამასთან, აუცილებელია ზუსტად განისაზღვროს, რომელ დარგებშია შესაძლებელი წარმოების მოცულობის შემცირების თავიდან აცილება, რომელ სფეროში უნდა მოხდეს იგი განსაზღვრული ოდენობით და რომელში არის დაუშვებელი ასეთი შემცირება.

არ მოხდება წარმოების მოცულობის შემდგომი შემცირება სამომხმარებლო დარგების უდიდეს ნაწილში. ამ დარგების პირვანდელი მასშტაბის აღდგენა შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ ქვეყანაში შეიქმნება სტაბილური პოლიტიკური ვითარება, აღდგება ტრადიციული ეკონომიკური კავშირები და ოპტიმალურად იქნება გამოყენებული ჯერ კიდევ მეტნაკლებად ფუნქციონირებადი ყოფილი საბჭოთა კავშირის ეკონომიკური სივრცე. პარალელურად კი აუცილებელია დასავლეთის ქვეყნებთან მჭიდრო სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა დამყარება და დიდი რაოდენობის უცხოური კაპიტალის მოზიდვა.

სტრუქტურული გარდაქმნის პირველი ეტაპი განხორციელდება წარმოების შემცირების და საინვესტიციო რესურსების მეტად შეზღუდულ პირობებში. პროდუქციის წარმოების, წარმოების აქტიურობისა და მოსახლეობის დანაზოგების მასიურ გაუფასურებასთან დაკავშირებით დღევანდელ კრიზისულ ეტაპზე ძლიერდება დაგროვების მკვეთრი უკმარისობა. ფინანსური ბაზრის მოუმწიფებლობა, ეფექტიანი ინსტიტუციონალური ინვესტირების უქონლობა განაპირობებს კაპიტალის დაბალ მობილურობას და ხელს უშლის არსებული საინვესტიციო რესურსების ეფექტიანობის ამაღლებას.

სტრუქტურული გარდაქმნის პირველ ეტაპზე უნდა გადაწყდეს შემდეგი ძირითადი ამოცანები:

— წარმოების ხელშეწყობა მოხმარების საქონლის გამოშვების გასადიდებლად, დასაქმების მისაღები დონის შესანარჩუნებლად, სოციალური კონფლიქტების ასაცილებლად;

— ეკონომიკურად უპერსპექტივო საწარმოების რეგულირებული შეკვეცის უზრუნველყოფა გამოთავისუფლებული მუშაკების სოციალური ხელშეწყობით, იმ საწარმოების სანაცია, რომლებიც შეეგუებიან საბაზრო გარემოს;

— მოშლილი სამეურნეო კავშირების შესაძლებელი აღდგენა ან კომპენსაცია;

— ხელის შეწყობა მეწარმეობის, განსაკუთრებით მცირე და საშუალო ბიზნესისათვის, რომლებიც ქმნიან დამატებით სამუშაო ადგილებს და ზრდიან საქონლის წარმოებას და მომსახურებას, აგრეთვე დარგობრივი მონოპოლიების როლის შემცირება;

— უცხოური კრედიტების მიღებისა და ეფექტიანი გამოყენების უზრუნველყოფა, უცხოური ინვესტიციების მოზიდვისათვის სასურველი კლიმატის შექმნა, მსოფლიო და შიდა ფასების სტრუქტურების თანდათანობითი დაახლოება, საექსპორტო ტარიფების განაკვეთების ეტაპობრივი შემცირება რეგულირების მეშვეობით, სამამულო საქონლის აქტიური გატანა საგარეო ბაზარზე;

(გაგრძელება მე-5 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკაში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების საშუალოვადიანი პროგრამა

(გაგრძელება).

— ინოვაციური პოტენციალის შენარჩუნება;

— წარმოების განვითარება პერსპექტიულ დარგებში, რომლებშიც შესაძლოა გარღვევა, რაც საქართველოს ეკონომიკის კრიზისიდან გამოსვლის, სოციალურ-ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევის საფუძველს შექმნის.

ამ ამოცანების გადასაწყვეტად გამოიყენება შემდეგი ღონისძიებანი და საშუალებანი:

— კერძო ინვესტიციების ხელშეწყობა მათი შეღავათიანი დაბეგვრის მეშვეობით, აგრეთვე საბანკო-საინვესტიციო კრედიტების გაფართოებით, პირველ რიგში ინვესტიციებისა, რომლებიც შეესაბამება მიღებულ პრიორიტეტებს, სახელმწიფო გარანტიების უზრუნველყოფით;

— პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა და მათი მოზიდვის მექანიზმის ამოქმედება;

— რაციონალური საბაჟო პოლიტიკა, სავალუტო კურსი, იმპორტის სუბსიდირება, რომლებიც ხელს შეუწყობენ ეკონომიკის პროცესის გახსნის მართვადობას და სამამულო მრეწველობის ადაპტაციას მსოფლიო ბაზრის პირობებთან, რესპუბლიკის ახალი საექსპორტო ბაზის ფორმირებას;

— სახელმწიფო დროებითი ფინანსური დახმარება და სახელმწიფო საწარმოების სანაცია მაღალი მოთხოვნის მქონე პროდუქციის გამოსაშვებად;

— მსოფლიო ბაზარზე საქართველოს მეწარმეთა საქმიანობის სახელმწიფოებრივი ხელშეწყობა.

ახლანდელ ეტაპზე სტრუქტურული პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტებია:

სურსათი: ქართული სოფლის აღორძინება და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მკვეთრი გადიდება, სოფლად საბაზრო ინფრასტრუქტურის დაჩქარებული განვითარება, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაცია, სოფლის მეურნეობის პროდუქციის შენახვის, გადამუშავებისა და განაწილების სიმძლავრეების შექმნა მათი დანაკარგების შემცირების მიზნით, სასურსათო იმპორტის უფრო რაციონალური გამოყენება და მისი შემცირება.

სათბობი და ენერგეტიკა: მნიშვნელოვანი სისტემების სიცოცხლის უზრუნველყოფის ხელშეწყობა, ენერგომომარაგება, ეკონომიის გაძლიერება, ავტონომიურობის ამაღლება ადგილობრივი რესურსების მაქსიმალური ათვისებითა და გამოყენებით.

სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობა: მისი უპირატესი განვითარება ნაკარნახევია ამ პროდუქციაზე მზარდი მოთხოვნით. მცირე გლეხური და ფერმერული მეურნეობების შექმნა მკვეთრად გაზრდის გადახდისუნარიან მოთხოვნას სოფლის მეურნეობის მცირე მექანიზაციის საშუალებებზე, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარზე და სხვ. უნდა გავითვალისწინოთ საქართველოს სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალისა და უცხოური ინვესტიციების ფართოდ ჩართვა აღნიშნული პრობლემების გადაჭრაში.

კომუნიკაციები: ეს არის ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვანი ელემენტი, აუცილებელი ეფექტიანი საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისათვის. მთავარი ამოცანებია მათი მოდერნიზაცია და განვითარება უცხოური ინვესტიციების ფართოდ მოზიდვის საფუძველზე.

ამ პრიორიტეტის რეალიზაცია დაეფუძნება არა მასობრივ სახელმწიფო ინვესტიციებსა და მატერიალური რესურსების ცენტრალიზებულ განაწილებას, არამედ ეკონომიკური რეგულირების მეთოდებს, მეწარმეობითი საქმიანობის აქტივიზაციას, მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის ამაღლებას, საზღვარგარეთის კაპიტალისა და ტექნიკური გამოცდილების მოზიდვას.

მომდევნო ეტაპზე შესაძლებელია სტრუქტურული გარდაქმნა შესაბამისი ინსტიტუციური და მატერიალურ-ფინანსური წანამძღვრების შექმნის, მათ შორის ინვესტიციების საკმარისი წყაროების ფორმირებით.

ამ ფაზაზე შესაძლოა შემდეგი სტრუქტურული ძვრები:

— ეკონომიკის სოციალური ორიენტაციის შეცვლა და მისი საწარმოო აპარატის მოდერნიზაცია, რესურსდამზოგი ტექნოლოგიების გავრცელება;

— რესურსების გადატანა ეკონომიკის პირველი სექტორიდან (სოფლის მეურნეობა, მომპოვებელი მრეწველობა) მეორე სექტორში (დამამუშავებელი მრეწველობა, მშენებლობა, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა), ხოლო შემდეგ — მესამე სექტორში (უპირატესად ინტელექტუალური საქმიანობის სფერო და მომსახურების სფერო);

— საექსპორტო პოტენციალის დივერსიფიკაცია, მეცნიერებატევადი პროდუქციის ექსპორტის წინმსწრები ტემპით ზრდა, მსოფლიო ბაზარზე კონკურენტული წარმოების განვითარება;

— უახლეს მაღალეფექტიან ბიო — არამექანიკურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული დარგებისა და წარმოების წინმსწრები განვითარება;

— გარემოზე ტექნოგენური დატვირთვის შემცირება, ერთიანი ეკოლოგიურ-ეკონომიკური სისტემის ფორმირების დაჩქარება.

III. 2. დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფა

საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკისათვის ტრადიციული საგარეო ეკონომიკური სივრცის დემონტაჟი და რეფორმის შედეგად წარმოქმნილი სტრუქტურული ძვრები არსებითად შეცვლის საქართველოს ეკონომიკის დარგობრივ პროპორციებს.

1990 წელს რესპუბლიკის ეკონომიკის ზოგადი სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურებოდა: ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის 59,6 პროცენტი და ეროვნული შემოსავლის 36,7 პროცენტი მოდიოდა მრეწველობაზე, შესაბამისად 18,6 პროცენტი და 30,9 პროცენტი — სოფლის მეურნობაზე, 9,4 პროცენტი და 11,9 პროცენტი— მშენებლობაზე და 3,8 პროცენტი და 4,2 პროცენტი — ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაზე.

1992 წელს კი რესპუბლიკის ეკონომიკის სტრუქტურამ ასეთი სახე მიიღო: ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის 51,1 პროცენტი და ეროვნული შემოსავლის 32,7 პროცენტი მოდიოდა მრეწველობაზე, შესაბამისად 34,8 პროცენტი და 52, 5 პროცენტი — სოფლის მეურნეობაზე, 5,7 პროცენტი და 7,4 პროცენტი — მშენებლობაზე, 3,3 პროცენტი და 2,7 პროცენტი ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაზე.

რესპუბლიკის ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის სრულყოფის თვალსაზრისით უახლოეს პერსპექტივაში საჭიროა შემდეგი მიმართულებებით მუშაობა:

სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი

იმასთან დაკავშირებით, რომ რესპუბლიკის საერთო მოთხოვნილების ბალანსში საკუთარი სათბობის რესურსების ხვედრითი წილი ძალზე უმნიშვნელოა, ენერგიის მოხმარების ყველა სფერო ფაქტობრივად მთლიანად არის დამოკიდებული იმპორტით შემოტანილ პირველად სათბობზე. ასეთ ვითარებაში ენერგომატარებლებზე შიდა და მსოფლიო ფასების მოსალოდნელი გათანაბრების პროცესი უახლოეს მომავალში დამატებით შექმნის სერიოზულ სიძნელეებს რესპუბლიკის სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის მუშაობაში და ძალზე მძიმე ტვირთად დააწვება ეკონომიკას.

სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებად უნდა იქნეს მიღებული მისი ავტონომიურობის ამაღლება, რაც უნდა განხორციელდეს ადგილობრივი რესურსების მაქსიმალური ათვისებითა და გამოყენებით.

ქვანახშირის მრეწველობაში, რომელიც წლების განმავლობაში დოტაციურია და ამავე დროს მეტად უმნიშვნელო როლს ასრულებს ქვეყნის ენერგეტიკაში, საჭიროა განხორციელდეს წარმოების გაფართოება და მოდერნიზაცია, ნახშირის მოპოვებისა და გადამუშავების პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვა, რაც საშუალებას მოგვცემს გამოვიყენოთ საკუთარი ქვანახშირი ენერგეტიკული მიზნებით (ელექტროენერგიის საწარმოებლად) და მთლიანად დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის მოთხოვნა ნახშირზე. ნავთობის მომპოვებელ მრეწველობაში უნდა დაინერგოს ნავთობის დაძიების პროგრესული ტექნოლოგია, რაც შეიძლება განხორციელდეს უცხოეთის კაპიტალის მოზიდვით. ეს მოგვცემს საშუალებას უახლოეს პერსპექტივაში ნავთობის მოპოვება ავიყვანოთ 500-1000 ათას ტონამდე წელიწადში.

თბოელექტროენერგეტიკაში აუცილებელია არსებული სიმძლავრეების განახლება აღმოსავლეთ საქართველოში და საბაზისო სადგურის (შესაძლოა ქვანახშირის გამოყენებით) მშენებლობა დასავლეთ საქართველოში.

ჰიდროელექტროენერგეტიკას, რომლის ხვედრითი წილი ელექტროენერგეტიკაში შეადგენს დღეისათვის 50-56 პროცენტს, რესპუბლიკის ჰიდროპოტენციალის გათვალისწინებით, პერსპექტივაში შეუძლია მთლიანად დააკმაყოფილოს რესპუბლიკის მოთხოვნა. ეს მიმართულება არის ადგილობრივი (საკუთარი) ენერგორესურსების ძირითადი წყარო. სახელმწიფოს მხარდაჭერას საჭიროებს მცირე და საშუალო ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, მათ შორის ეკოლოგიის თანამედროვე მოთხოვნათა დაცვით, მარეგულირებელი ჰესების მშენებლობა, რასაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ელექტროენერგიის გამომუშავების სეზონურობის გათანაბრების თვალსაზრისით. საჭიროა უცხოეთის კაპიტალის დაინტერესება ამ დარგში. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სხვა სახეობის ადგილობრივი რესურსების გამოყენების გაფართოების შესაძლებლობას (გეოთერმული წყლები, ქარის, მზის ენერგია) და ამ მიზნით როგორც უცხოეთის ასევე ადგილობრივი, მათ შორის, კერძო კაპიტალის დაბანდებას.

ენერგეტიკული კრიზისის შემსუბუქების და ეკონომიკის სტაბილურობის უზრუნველყოფის საკმაოდ დიდი რეზერვია ენერგორესურსების რაციონალური მოხმარების, ეკონომიური ხარჯვის და დანაკარგების შემცირების ღონისძიებათა დამუშავება და დანერგვა. ამით შესაძლებელია 3 მილიონი პირობითი ტონა პირველადი სათბობისა და 1,0-1,5 მილიარდი კილოვატსაათი ელექტროენერგიის დაზოგვა წელიწადში.

ძალზე დიდია რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედი გათბობის და ცხელწყალმომარაგების ავტონომიურ და ცენტრალიზებულ სისტემებში სითბოს, როგორც თბური, ასევე ფიზიკური დანაკარგები. ამ მიზეზით პირველადი სათბობის წლიური დანაკარგები 2 მილიონ— პირობით ტონას აღემატება. მთლიანად უნდა შეიცვალოს კომუნალური მომსახურების არსებული სისტემა, მის ყველა რგოლში ავტონომიზაციის მიმართულებით და ამის საფუძველზე უნდა განხორციელდეს ამ დარგის სრული ტექნიკური განახლება.

ენერგორესურსების ეკონომიკური ხარჯვის მოსაწესრიგებლად გათვალისწინებულია ისეთი ეფექტიანი მექანიზმის დამუშავება და დანერგვა, რომელიც მომხმარებელს მისცემს სტიმულს შეამციროს წარმოებული პროდუქციის ენერგოტევადობა ენერგოდამზოგ ტექნოლოგიაზე ორიენტაციით.

ენერგორესურსების სეზონური მოხმარების გათანაბრების მიზნით ინერგება ფასწარმოქმნის დიფერენციალური სისტემა, ხოლო ფასების რეგულირების მექანიზმმა უნდა უზრუნველყოს ენერგიის გამოყენების ტოლფასობა, რაც გამორიცხავს ერთი სახის ენერგიის ხარჯვის გაზრდას სხვა მომხმარებლისათვის „არახელსაყრელი“ ენერგიის შემცირების ხარჯზე.

მრეწველობა

რესპუბლიკის მრეწველობის სტრუქტურული გარდაქმნების სტრატეგიული პოლიტიკის საბოლოო მიზანია ევროპისა და მსოფლიო ეკონომიკურ სისტემებთან ინტეგრაცია. ეს, რასაკვირველია, არ გამორიცხავს სამანეთო ზონაში არსებული ხელსაყრელი კავშირების შენარჩუნებასა და ახალი ურთიერთობების დამყარებას, რისთვისაც არსებობს ობიექტური საფუძველი როგორც ტექნოლოგიური, ასევე სანედლეულო და სარეალიზაციო ბაზრებით უზრუნველყოფის მხრივ. ამასთან ერთად, მრეწველობის განვითარების ამოსავალი წერტილი კვლავ არის ქვეყნის გეოპოლიტიკური ფაქტორის უპირატესობის შესაძლო გამოყენება, მოწინავე პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვა, იმპორტული სათბობენერგეტიკული და სანედლეულო რესურსების რაციონალური შეზღუდვა და ადგილობრივი რესურსების ოპტიმალური გამოყენება, სამეცნიერო-ტექნიკური და შრომითი პოტენციალის ეფექტიანი დასაქმება, საშინაო ბაზრის მოთხოვნის მაქსიმალურად შესაძლებელი დაკმაყოფილება.

სტრუქტურული გარდაქმნების პროცესი საჭიროებს მნიშვნელოვანი მოცულობის კაპიტალდაბანდებებს, რომელთა განხორციელება ადგილობრივი აქტივებისა და დანაზოგების მასობრივი გაუფასურების გამო საკუთარი ძალებით შეუძლებელია. ამიტომ ამ პროცესების რეგულირების აუცილებელ წინაპირობად უნდა იქნას მიჩნეული ისეთი ეკონომიკური, სამართლებრივი და პოლიტიკური გარემოს შექმნა, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს უცხოეთის კაპიტალის დაინტერესებას მონაწილეობა მიიღოს ქვეყნის მრეწველობის ძირეული გარდაქმნების პროცესებში.

გარდამავალ პერიოდში, როცა ადგილი აქვს ეკონომიკის დაქვეითების კატასტროფულ მასშტაბებს და მრეწველობის საწარმოთა მნიშვნელოვანი ნაწილი გაკოტრების რეალური საშიშროების წინაშეა, ეკონომიკაში სახელმწიფო ჩარევის ძირითადი მიზანია სტაბილიზაციის ხელშეწყობა და სამუშაო ადგილების შენარჩუნება. ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმის გათვალისწინებით, რომ ფასებისა და დანახარჯების არათანაბარი ზრდის გამო შესაძლოა ფინანსური კრახი განიცადოს ისეთმა საწარმომ, რომელმაც შეიძლება მომავალში მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს მრეწველობის სტრუქტურაში. ამ მიზნით უნდა ჩამოყალიბდეს სტრუქტურული გარდაქმნების ფონდი, რომელიც პირველ ეტაპზე ხელს შეუწყობს მუშაობის სტაბილიზაციას, ხოლო შემდგომში მრეწველობის პრიორიტეტულ მიმართულებათა უპირატეს განვითარებას.

სტრუქტურული გარდაქმნების პოლიტიკა მრეწველობის თითოეულ დარგში შემუშავდება დიფერენცირებულად ამ დარგებში არსებული მდგომარეობისა და მისი პერსპექტივის გათვალისწინებით. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული საწარმოთა ტექნიკური ბაზისა და საკადრო პოტენციალის შესაძლებლობანი აწარმოონ მაღალი ხარისხის კონკურენტუნარიანი პროდუქცია, სანედლეულო რესურსებითა და მაკომპლექტებელი ნაკეთობებით უზრუნველყოფის პერსპექტივა, გასაღების ბაზრის მოსალოდნელი კონიუნქტურა, საშინაო ბაზრის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ეკოლოგიური, სოციალური და სხვა ფაქტორები.

საქართველო მომავალშიც განავითარებს მეტალურგიული მრეწველობის საწარმოებს სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ფასების ზრდის მიუხედავად, პირველ რიგში ეს ეხება იმ საწარმოებს, რომლებიც ადგილობრივ ნედლეულზე მუშაობენ. მანგანუმისა და სპილენძის მადნების მოპოვებისა და გადამუშავების პროგრესული და, რაც მთავარია, გადამუშავების ნაკლებენერგოტევადი ტექნოლოგიების დანერგვით, ამ მადნების ბაზაზე მეორეული (მეტალური მანგანუმი, ელექტროლიტური მანგანუმის ორჟანგი, მეტალური სპილენძი, ძვირფასი ლითონები) და მესამეული (გალვანური ელემენტები, სპილენძის მავთული ელექტროტექნიკური მრეწველობისათვის) პროდუქციის წარმოების გაფართოებით ამაღლდება ადგილობრივი ნედლეულის გამოყენების ეფექტიანობა, შეიქმნება დამატებითი სამუშაო ადგილები და გაიზრდება პროდუქციის წარმოება, რომელზედაც სტაბილური მოთხოვნაა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ. თანამედროვე ენერგოდამზოგი ტექნოლოგიის რელსებზე გადავა მეტალურგიული წარმოება, რომლის პროდუქცია, გარდა ექსპორტისა, გამოიყენება როგორც სანედლეულო ბაზა მანქანათმშენებელი კომპლექსისათვის. ამასთან ერთად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მეტალურგიულ მრეწველობაში ადგილობრივი რკინის შემცველი მადნებისა და ჯართის გამოყენების კარგი პერსპექტივა.

ქიმიურ-სატყეო კომპლექსი. ქიმიური მრეწველობის მსხვილი საწარმოები, რომელთა პროდუქცია გამიზნული იყო ყოფილი სსრკ-ის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, მთლიანად არიან დამოკიდებული შემოტანილ ნედლეულზე, გამოიყენებენ ენერგოტევად ტექნოლოგიას, რის გამოც ფასების გაძვირებისა და ტრადიციული ეკონომიკური კავშირების რღვევის პირობებში განიცდიან დიდ სიძნელეებს. მიუხედავად ამისა, ამ დარგის საწარმოები მიეკუთვნებიან ისეთ კატეგორიას, რომელთა როლი ქვეყნის ეონომიკაში მომავალში უფრო გაიზრდება. აქ იწარმოება სოფლის მეურნეობისათვის მინერალური სასუქები და შხამ-ქიმიკატები, ნედლეული მსუბუქი მრეწველობისათვის, საღებავები, ცეოლიტები და სხვა. იმისათვის, რომ ამაღლდეს ქიმიური პროდუქციის კონკურენტუნარიანობა მსოფლიო ბაზარზე, საჭიროა ამ დარგის საწარმოებში მოწინავე ტექნოლოგიების დანერგვის დაჩქარება. ქიმიური კომპლექსის ცალკეული მსხვილი საწარმოები შეიძლება გადაიქცეს საბაზისო ცენტრებად, რომლის გარშემო ჩამოყალიბდება სხვადასხვა დარგის საწარმოებისაგან შემდგარი გარკვეული გარემო, რომლებიც გამოიყენებენ რა საბაზო საწარმოთა პროდუქციას, შეძლებენ გამოუშვან ფართო ასორტიმენტის ტექნიკური და სამომხმარებლო ნაწარმი. აღნიშნული ამოცანების შესრულება ამ დარგში მოითხოვს შესაბამის სტრუქტურულ ცვლილებებს, ახალი პროგრესული ენერგო და რესურსდამზოგი ტექნოლოგიების დანერგვას, ადგილობრივი სანედლეულო ბაზის ფართო გამოყენებას ქიმიურ მრეწველობაში და მის მეორეულ და მესამეულ დამუშავებას. შესაბამისი კაპიტალდაბანდებანი შეიძლება განხორციელდეს ამ საწარმოთა პროდუქციის ექსპორტის შემოსავლებიდან უცხოელი ინვესტორების მოზიდვისა და კომპლექსის საწარმოთა პრივატიზაციის დაჩქარებით.

სატყეო კომპლექსის საწარმოთა დატვირთვის დონე მნიშვნელოვნად არის შემცირებული სანედლეულო ბაზის უქონლობის გამო. ამ მიზნით დარგის სტრუქტურის სრულყოფა პერსპექტივაში მიმართული უნდა იყოს ნედლეულის გადამუშავების სიღრმის (დონის, ხარისხის) გაზრდაზე, საკონსტრუქტორო პლასტიკატების განვითარება-გამოყენებაზე, აგრეთვე მერქნის ნარჩენებისა და მეორეული რესურსების გამოყენების გაფართოებაზე.

ხე-ტყის მეურნეობისა და ხე-ტყის მრეწველობის წარმართვის პროგრესულ ფორმას წარმოადგენს კომპლექსური ხე-ტყის ჰოლდინგური ტიპის გაერთიანების შექმნა, რომელიც ასრულებს სამუშაოთა მთლიან ციკლს, დაწყებული ტყის აღდგენიდან, ტყეების, ხანძრების და ჩეხვის დაცვის, ტყის მოვლით და დამთავრებული ხე-ტყის დამუშავებით, მერქნის პირველადი დამუშავებით და მომხმარებელთან მიწოდებით.

მთლიანობაში ხე-ტყის, ხის დასამუშავებელი და ქაღალდის მრეწველობის მუშაობისა და განვითარების სტაბილიზაციის მიზნით საჭიროა აქტიური გადასვლა საერთაშორისო თანამშრომლობაზე უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად, რათა განხორციელდეს დარგში შემავალ საწარმოთა რეკონსტრუქცია და ხელახალი ტექნიკური აღჭურვა.

მანქანათმშენებლობაში მთავარ პრიორიტეტულ მიმართულებად უნდა ჩაითვალოს ისეთი დარგების განვითარება, რომლებიც ნაკლები ენერგო და მასალა-ტევადობით გამოირჩევიან, საჭიროებენ კვალიფიციურ მუშახელსა და ინტელექტუალურ შრომას, საშუალებას იძლევიან ეფექტიანად გამოვიყენოთ ქვეყნის მძლავრი სამეცნიერო და საინჟინრო-ტექნიკური პერსონალი. ეს დარგები იყენებენ საერთო, ან მონათესავე ტექნიკურ და ტექნოლოგიურ ბაზას, იძლევიან საშუალებას რესპუბლიკაში შეიკრას ფართო საწარმოო ციკლი, სამეცნიერო დამუშავებიდან სერიულ წარმოებამდე, რომლის საბოლოო პროდუქცია იქნება ფუნქციონალურად რთული და შესძლებს მომავალში ფეხი მოიკიდოს მსოფლიო ბაზარზე. ეს დარგები მომავალში მოგვცემენ საშუალებას ვაწარმოოთ ინტელექტუალური შრომის შედეგების ექსპორტი, რაც ქვეყნის ეკონომიკის გაჯანსაღების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს.

სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის უპირატესი განვითარება ნაკარნახევია ამ პროდუქციაზე მზარდი მოთხოვნით. მცირე გლეხური და ფერმერული მეურნეობების შექმნა მკვეთრად გაზრდის გადახდისუნარიან მოთხოვნას ამ დარგის ისეთ პროდუქციაზე, როგორიც არის მეურნეობის მცირე მექანიზაციის საშუალებანი, სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, სამთო მიწათმოქმედების მექანიზაციის საშუალებები, მანქანები და მექანიზაციის საშუალებები მეცხოველეობისა და მეფრინველეობისათვის. მნიშვნელოვანია აგრეთვე სახელმწიფოს ხელშეწყობით ისეთი ხელსაყრელი გარემოს შექმნა, რაც საშუალებას მისცემს სხვა დარგის საწარმოებს მოახდინონ პროფილის შეცვლა სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოშვებაზე.

ელექტროტექნიკური მრეწველობის საწარმოებში, რომელთა პროდუქციაზე მოთხოვნა მკვეთრად დაეცა არსებული ტექნიკური ბაზის უკეთ გამოყენების, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის და ნაწილობრივ სახელმწიფო მხარდაჭერის გზით უნდა მოხდეს მათი ძირითადად მოხმარების საქონლის გამოშვებაზე პროფილირება. პერსპექტიულია აგრეთვე ამ საწარმოთა ორიენტაცია მცირე და მიკრო ჰიდროენერგეტიკისათვის საჭირო ტექნიკის წარმოებაზე, რაზეც მოთხოვნა გაიზრდება როგორც რესპუბლიკაში, ასევე ზოგიერთ მეზობელ ქვეყანაში.

კვების მრეწველობის მოწყობილობების გამომშვებმა საწარმოებმა, რომელთაც მონოპოლური პოზიციები ეკავათ გარკვეული სახის პროდუქციის წარმოებაში ყოფილი სსრკ-ის მასშტაბით, ორიენტაცია უნდა აიღონ ისეთი პროდუქციის გამოშვებაზე, რომელიც გამოყენებული იქნება რესპუბლიკის კვების პროდუქტების გამომშვებ მცირე საწარმოებსა და საამქროებში დასანერგავად. ფერმერული მეურნეობის ჩამოყალიბების შედეგად გაჩნდება მოთხოვნილება მცირე და საშუალო სიმძლავრის ისეთ მანქანა-დანადგარებზე, რითაც შესაძლებელია სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის ადგილზე გადამუშავება.

საავიაციო მრეწველობა, გემთმშენებლობა და საავტომობილო მრეწველობა, რომელთაც გააჩნიათ პოტენციური უნარი აწარმოონ საექსპორტო დანიშნულების პროდუქცია, ორიენტირებული უნდა იქნენ უცხოეთის ფირმებთან ერთობლივი საწარმოების შექმნაზე, რაც მათ მისცემს საშუალებას თანდათანობით მოახდინონ დასავლეთის ტექნოლოგიაზე გადართვა და გახდნენ ჯერ სრულფასოვანი პარტნიორები და მომავალში დამოუკიდებელი სუბიექტები ამ დარგებში მსოფლიო საბაზრო ურთიერთობებისა. ამ ამოცანების სახელმწიფო მხარდაჭერასთან ერთად, აუცილებელია აღნიშნული დარგის საწარმოთა კორპორატიზაციის დაჩქარება.

მანქანათმშენებლობაში სტრუქტურული პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია ყოფილი საბჭოთა კავშირის თავდაცვის მრეწველობის საწარმოთა კონვერსია. ამ პროცესში ძირითად მიმართულებად უნდა იქნეს მიჩნეული აქ არსებული საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალის გადაყვანა სამრეწველო და სახალხო მოხმარების პროდუქციის გამოშვებაზე, მისი მაქსიმალური გამოყენება უპირატესად მრეწველობის პრიორიტეტულ მიმართულებათა განვითარების დასაჩქარებლად. ამ პრობლემების გადაწყვეტაში სახელმწიფო მხარდაჭერასთან ერთად ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული უცხოური კაპიტალის მოზიდვა, რაც დარგის სიმძლავრეების, საწარმოო-ტექნიკური ბაზისა და კვალიფიციური კადრების გათვალისწინებით კარგ პერსპექტივას ქმნის იმპორტშემცვლელი წარმოების შესაქმნელად, ქვეყნის საექსპორტო საშუალებების გასაფართოებლად. ამასთან ერთად შენარჩუნებული და განვითარებული უნდა იქნეს არსებული პოტენციალის ის ნაწილი, რომლის გამოყენება შეიძლება ქვეყნის თავდაცვის განმტკიცების საქმეში.

სახალხო მოხმარების საქონელი. უახლოეს პერსპექტივაში სამომხმარებლო საქონლის წარმოების სტრუქტურაში აუცილებელია განხორციელდეს არსებითი ცვლილებანი რესპუბლიკის მრეწველობის სამომხმარებლო ბაზრის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე ორიენტირების გზით. ეკონომიკური გარდაქმნების პირობებში მოსალოდნელია მოსახლეობის შემოსავლების მიხედვით დიფერენცირების გაძლიერება და ამ ვითარებაში მოსახლეობის უდიდეს ნაწილს მკვეთრად გაეზრდება ხარჯები სურსათსა და პირველადი აუცილებლობის არასასურსათო საქონელზე. აქედან გამომდინარე, მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული არსებული შესაძლებლობანი კვების პროდუქტების წარმოების გასაფართოებლად. არასასურსათო საქონლის, განსაკუთრებით კულტურულ-საყოფაცხოვრებო და სამეურნეო დანიშნულების საქონლის ტრადიციულ მწარმოებლებთან ერთად სამომხმარებლო ბაზრის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში უნდა ჩაერთონ რესპუბლიკის მანქანათმშენებლობის საკონვერსიო საწარმოები, არსებული სიმძლავრეების რეკონსტრუქციისა და ტექნიკური ხელახლა აღჭურვის მეშვეობით.

რესპუბლიკის მსუბუქი მრეწველობის ნედლეულით უზრუნველყოფისათვის ყურადღება უნდა მიექცეს საკუთარი სანედლეულო ბაზის გაფართოებას, განსაკუთრებით აბრეშუმის პარკის, ტყავნედლეულისა და მატყლის წარმოების გადიდებას და აგრეთვე რესპუბლიკის ქიმიური მრეწველობის საწარმოებში საფეიქრო მრეწველობისათვის საჭირო ხელოვნური ბოჭკოს წარმოების ათვისებას. ამასთან ერთად მიღწეული უნდა იქნეს ნართის, ნაქსოვი ნახევარფაბრიკატების, ტყავის ნედლეულისა და სხვა მასალების უფრო ღრმა დამუშავება, რაც გარკვეულწილად გაზრდის მზა ნაწარმის წილს პროდუქციის მთლიან მოცულობაში.

დარგში უნდა მოხდეს საწარმოთა მოძველებული საწარმოო-ტექნიკური ბაზის კარდინალური განახლება და კადრების კვალიფიკაციის მკვეთრი ამაღლება. ეს პირველ რიგში უნდა განხორციელდეს მსუბუქი მრეწველობის საწარმოების საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პირობებში განსახელმწიფოებრიობის პროცესის დაჩქარების გზით, ხელი უნდა შეეწყოს საოჯახო წარმოების, მცირე სახელმწიფო და კერძო საწარმოების ფართო ქსელის ფორმირებას, რაც საშუალებას მოგვცემს დარგის მსხვილი საწარმოებიდან გამოთავისუფლებული მუშახელი დავასაქმოთ წარმოების მობილურ სფეროში და ერთდროულად გავაუმჯობესოთ მომუშავეთა სოციალური პირობები. უნდა ვიგულისხმოთ, რომ ამჟამად არსებული მოსახლეობის შეზღუდული მოთხოვნა დარგის პროდუქციაზე ატარებს დროებით ხასიათს, რის გამოც ამ დარგში სტრუქტურული პოლიტიკის ძირითად ამოცანას დღევანდელ ეტაპზე წარმოადგენს იმ სიმძლავრეთა შენარჩუნება, რომელთა გამოყენება მომავალში შეიძლება უფრო მაღალი ეფექტურობით.

სოფლის მეურნეობა და გადამამუშავებელი მრეწველობა

რესპუბლიკაში აგრარული რეფორმის გატარების ერთ-ერთი ძირითადი წინაპირობაა სასოფლო-სამეურნეო წარმოების დარგობრივი და ტერიტორიული სტრუქტურის სრულყოფა, ამ მიმართულებით საშუალოვადიან პერიოდში წინა პლანზე უნდა იქნეს წამოწეული იმ პროდუქტების წარმოების გადიდება, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ რესპუბლიკის სასურსათო ბალანსის ფორმირებაში. კერძოდ, ახლო მომავალში სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტრუქტურის შეცვლით მარცვლეულის წარმოება მეურნეობათა ყველა კატეგორიის მიხედვით უნდა გაიზარდოს 650-750 ათას ტონამდე. მარცვლეულის ფართობების გაზრდა ძირითადად უნდა მოხდეს საკვები კულტურებით დაკავებული ფართობების შემცირების, დაბალმოსავლიანი, მეჩხერი, ამორტიზებული მრავალწლიანი ნარგავების ქვეშ გამონთავისუფლებული ფართობების ხარჯზე. სულ ამ გზით მარცვლეულის ქვეშ შესაძლებელია გამოთავისუფლდეს დაახლოებით 100-120 ათასი ჰექტარამდე ფართობი, რაც რესპუბლიკაში მიღწეული მოსავლიანობის პირობებში უზრუნველყოფს დამატებით 200-240 ათას ტონა მარცვლეულის წარმოებას.

უახლოეს წლებში უფრო მეტი ფართობი უნდა გამოიყოს კარტოფილის კულტურის ქვეშაც, რათა მისი წარმოება საშუალოდ 350-400 ათას ტონამდე გაიზარდოს.

რესპუბლიკაში შაქრისა და მცენარეული ზეთის მოხმარებაში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე მომავალში პრიორიტეტულ კულტურათა რიცხვს უნდა მიეკუთვნოს შაქრის ჭარხალი და მზესუმზირა. საჭიროა მკვეთრად გაიზარდოს ამ კულტურათა როგორც ფართობები, ასევე მოსავლიანობა, რათა მათი წარმოება რესპუბლიკაში ამაღლდეს 4-5-ჯერ და მეტად, ამ მიზნით შაქრის ჭარხალი და მზესუმზირა გაადგილებული უნდა იქნეს იმ რაიონებში, სადაც არსებობს მათი მოვლა-მოყვანის კარგი პირობები, მაგრამ უკანასკნელ წლებში არ იწარმოებოდა.

ძირითად სასურსათო კულტურებზე აქცენტის გადატანა არ ნიშნავს მეჩაიეობის, მევენახეობის, მეხილეობის, მეციტრუსეობის და სხვა იმ დარგების შემდგომი განვითარების შენელებას, რომელთათვისაც რესპუბლიკას გააჩნია უნიკალური ნიადაგურ-კლიმატური პირობები. ამ დარგების პროდუქცია მომავალშიც იქნება რესპუბლიკის სავალუტო რესურსების შექმნის და სასურსათო ფონდის შევსების მნიშვნელოვანი წყარო.

შედარებით მნიშვნელოვანი სტრუქტურული ცვლილებებია მოსალოდნელი მეცხოველეობაში. აქ მომავალში აქცენტი აღებული იქნება მსხვილფეხა რქოსანი მესაქონლეობის და მეცხოველეობის განვითარებაზე, რისთვისაც რესპუბლიკაში არსებობს შედარებით კარგი საკვები ბაზა. ასევე კარგი პერსპექტივები ისახება მეაბრეშუმეობის, მეფუტკრეობის, მეთევზეობის, მებოცვრეობის შემდგომ განვითარებაში.

რაც შეეხება მეფრინველეობის და მეღორეობის დარგებს, რომლებიც დიდი ოდენობით მოითხოვენ კომბინირებულ საკვებს — მათი წარმოების ხვედრითი წილი დამოკიდებული იქნება ამ უკანასკნელის წარმოებაზე.

კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოო პოტენციალი დღეისათვის შესაბამისობაშია სასოფლო-სამეურნეო სანედლეულო ბაზასთან და უზრუნველყოფს ნედლეულის გადამუშავებას სეზონური პიკის პერიოდების გათვალისწინებით. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ გადამამუშავებელი მრეწველობის დარგების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ფიზიკური და მორალური დონე მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებს მოთხოვნებს: ამ მხრივ არასახარბიელო მდგომარეობაა შექმნილი არა მარტო სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის პირველადი გადამუშავების საწარმოებში, არამედ ისეთ დარგებში, როგორიც არის თამბაქოს, საკონდიტრო, მაკარონის, საპნის, ზეთის და სხვა წარმოებებში. პრაქტიკულად მთლიან განახლებას მოითხოვს მინერალური წყლების, ღვინის, შამპანურის ჩამომსხმელი ხაზები. ამდენად დღეს გადამამუშავებელი მრეწველობის წინაშე მწვავედ დგას საკითხი თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე ტექნიკური აღჭურვილობის განახლების შესახებ, რაც საფინანსო სახსრების მკვეთრი შეზღუდულობის პირობებში შესაძლებელია მხოლოდ უცხოური კრედიტებით ან პროდუქციის ექსპორტის გადიდების ხარჯზე.

მოკლევადიან პერიოდში მოსალოდნელი არ არის არსებითი სტრუქტურული ცვლილებები კვებისა და გადამამუშავებელი მრეწველობის დარგებში. არაა მოსალოდნელი რამდენადაც ადგილობრივი სანედლეულო ბაზა პრაქტიკულად უცვლელია. ამასთან, მოსალოდნელია შემოტანილ ნედლეულზე მომუშავე დარგების პროდუქციის მკვეთრი შემცირება, განსაკუთრებით საკონდიტრო, ჩაის პროდუქციის, მარგარინის და სხვა. საყურადღებოა რომ 1993 წელს საკონდიტრო პროდუქციის გამოშვება 1990 წელთან შედარებით შემცირდა 15-ჯერ და მეტად. ასეთივე მდგომარეობაა სხვა ზემოთ ჩამოთვლილ პროდუქციაზე.

რესპუბლიკის კვების მრეწველობის წინაშე კვლავაც მწვავედ დგას ტარამასალებით მომარაგების და ხარისხის გაუმჯობესების პრობლემა, რაც მეღვინეობაში მაგალითად, მაღალი ხარისხის ღვინომასალის პირობებში შესაბამისი ტექნოლოგიური ხაზების უქონლობასთან ერთად, ხელს უშლის კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოებას.

სასურსათო კომპლექსის ნაწილობრივად ცხოველუნარიანობის ასამაღლებლად და გამოყოფილი უცხოური კრედიტების ეფექტურად გამოყენების მიზნით უნდა მოხდეს კრედიტების გამოყენების სტრუქტურის შეცვლა ტექნიკა-ტექნოლოგიების, სამრეწველო გადამუშავებისათვის რესურსების შემოტანის გადიდების გზით.

კომუნიკაციები

ეკონომიკის სტრატეგიულ პრობლემათა შორის წინა პლანზე იწევს მაღალეფექტიანი სამეურნეო სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც სხვა დარგებთან ერთად უნდა დაუფუძნოს ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის და ინფორმატიკის განვითარებას.

ეს, ერთის მხრივ, ხელს შეუწყობს, როგორც მგზავრთა გადაყვანას და ტვირთბრუნვას, ასევე ინფორმაციის გადაცემას, რის გარეშე შეუძლებელია რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული დისპროპორციის გაწონასწორება და, მეორე მხრივ, რესპუბლიკის ჩართვას მსოფლიო სამეურნეო ურთიერთობაში.

კომუნიკაციების სისტემებისა და საინფორმაციო ინფრასტრუქტურების კომპლექსური რეკონსტრუქცია უნდა გახდეს სახელმწიფო სტრუქტურული პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება.

ახლო მომავალში უნდა განხორციელდეს ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ერთის მხრივ კომუნიკაციების სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, მეორე მხრივ კი კერძო კომუნიკაციების სისტემების შექმნას.

იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს რესპუბლიკას უკავია მეტად ხელსაყრელი სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა, რომელიც დღეისათვის უმნიშვნელოდაა გამოყენებული, აუცილებელია კომუნიკაციების სისტემაში გადაწყდეს სტრუქტურული პოლიტიკის შემდეგი ამოცანები:

— ძირითადი სატრანსპორტო კვანძების განვითარება, რაც უზრუნველყოფს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო ვაჭრობაში ეროვნული ეკონომიკური ინტერესების დაცვას;

— საქონელგამტარებელი კომუნიკაციების შიდა სისტემებში (რკინიგზისა და ავტომაგისტრალების) ვიწრო ადგილების აღმოფხვრა და რეკონსტრუქციების განხორციელება;

— ცალკეულ უბნებზე და რკინიგზის სადგურებში დამატებითი სატრანზიტო ტვირთნაკადების გატარების არსებული დისპროპორციის ლიკვიდაცია;

— არსებული ავტომაგისტრალის რეკონსტრუქცია ტრასის მთელ სიგრძეზე მისი მოძრაობის ოთხზოლიან გზად გადასაქცევად;

— ავტომაგისტრალის ნორმალური ფუნქციონირებისათვის საგზაო ინფრასტრუქტურის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს საგზაო მოძრაობის მონაწილეების საყოფაცხოვრებო და სატრანსპორტო ერთეულებისა და მაგისტრალის ტექნიკურ მომსახურებას;

— ჩქაროსნული საავტომობილო მაგისტრალის მშენებლობა, რაც ხელს შეუწყობს რესპუბლიკის გზების განვითარებას და საკუთარი ტვირთბრუნვის გაზრდას. ეს კი თავისთავად უზრუნველყოფს 120-150 მილიონი ტონა ტვირთის გადატანას წელიწადში და 30-35 ათასი ერთეული მსუბუქი ავტომანქანისა და ავტობუსის მოძრაობას დღეღამეში;

— განხორციელდება შემოსავლელი გზების მშენებლობა დიდ ქალაქებში.

პერსპექტივაში სარკინიგზო გზები დარჩება ქვეყნის ფარგლებში ტვირთის მიწოდების ძირითად საშუალებად. საბაზრო ურთიერთობების ჩამოყალიბებისა და ეკონომიკის სტაბილიზაციის პერიოდში დაიხვეწება არსებული სარკინიგზო ტრანსპორტის მართვის სისტემა, რომელიც გამორიცხავს პარალელიზმს გადაზიდვის რეგულირებაში და სარკინიგზო გზების საშუალებების ორგანიზაციაში.

ფასების ლიბერალიზაციის პირობებში ფინანსური მდგომარეობის ნორმალიზაციისათვის გათვალისწინებულ უნდა იქნეს ტარიფების რეგულირება სარკინიგზო ტრანსპორტის მომსახურებაზე, დარგში დანახარჯების ზრდისა და მისი რენტაბელობის ნორმალური დონის უზრუნველყოფის აუცილებლობის გათვალისწინებით.

ავტომაგისტრალების განვითარებასთან ერთად აუცილებელია შესაბამისი ღონისძიებანი განხორციელდეს სარკინიგზო მეურნეობაში.

— ცალკეულ გადასარბენებზე სარკინიგზო განშტოებების მშენებლობა-რეკონსტრუქცია, სალიანდაგო მეურნეობებში საწარმოო კვანძების მშენებლობა, ელექტროწევის სადგურების რეკონსტრუქცია, კავშირგაბმულობის და სიგნალიზაციის სისტემების მოდერნიზაცია, საკონტეინერო-სატვირთო მოედნების მოწყობა, ორლიანდაგიანი რკინიგზის შექმნა.

საქართველოს რესპუბლიკაში საპორტო მეურნეობის რეკონსტრუქცია განიხილება როგორც ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანა ახალი ჩქაროსნული საავტომობილო მაგისტრალის და რეკონსტრუირებული სარკინიგზო მაგისტრალის ნორმალური ფუნქციონირებისათვის. საერთაშორისო ტვირთების გადაზიდვის მიზნით, აუცილებელია რესპუბლიკაში არსებული ნავსადგურების გაფართოება-რეკონსტრუქციის ფართო მასშტაბების სამუშაოების განხორციელება და ახალი ნავსადგურების მშენებლობა.

ზემოაღნიშნულ პრიორიტეტულ მიმართულებათა განხორციელება რესპუბლიკის მაგისტრალური ტრანსპორტის ძირითად დარგებში შესაძლებელს გახდის საქართველო გადაიქცეს დამაკავშირებელ სატრანსპორტო ხიდად დასავლეთის და აღმოსავლეთის ქვეყნებს შორის, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სახელმწიფოს სავალუტო შემოსავლების გაზრდას.

უახლოეს დროში გათვალისწინებულია სამოქალაქო ავიაციის, საზღვაო და საავტომობილო ტრანსპორტის საწარმოებისა და გაერთიანებების ფართომასშტაბიანი აქციონირება, მათი ცალკეული ობიექტების ეტაპობრივი პრივატიზება. ამასთან, ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გასატარებლად და კომუნიკაციის განვითარებისათვის პირობების შესაქმნელად განხორციელებულია საწარმოების სტრუქტურული ერთეულების გამოყოფა მსხვილი გაერთიანებების ობიექტების შემადგენლობიდან, რომლებიც მონოპოლურ ან დომინირებულ მდგომარეობაში იმყოფებიან.

(გაგრძელება 8-ე გვ.).

საქართველოს რესპუბლიკაში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების საშუალოვადიანი პროგრამა

(გაგრძელება)

განხორციელდება ღონისძიებანი კავშირგაბმულობის ინფრასტრუქტურისა და ინფორმატიკის განვითარების უზრუნველსაყოფად. მეურნეობისა და მოსახლეობის მინიმალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად კავშირგაბმულობასა და ინფორმაციულ მომსახურებაში, საერთაშორისო საინფორმაციო ქსელში შესვლის მიზნით და განვითარებული საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებთან ურთიერთობის დასამყარებლად გათვალისწინებულია მიწისზედა სატელიტური სადგურის აშენება და მცირე სატელიტური ტერმინალების ქსელის მოწყობა.

აღნიშნული ღონისძიებების რეალიზაცია დაკავშირებულია მნიშვნელოვან კაპიტალურ დანახარჯებთან და მოითხოვს ამ დარგებში ფინანსური მდგომარეობის სტაბილიზაციის დაჩქარებას. არსებობს ორი ყველაზე რეალური გზა — სახელმწიფო რეგულირებისაგან მომსახურებაზე ტარიფების ეტაპობრივი გამოთავისუფლება და საზღვარგარეთის კრედიტებისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა.

III. 8. რეგიონული პოლიტიკა

საქართველოს რესპუბლიკას უაღრესად მრავალფეროვანი და რთული შიგარეგიონული თავისებურებანი, ტერიტორიების მიხედვით მკვეთრად განსხვავებული ბუნებრივ-კლიმატური, რესურსული, ეკონომიკური, სოციალური და ეთნიკური პირობები გააჩნია, ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეკონომიკის რეგულირების ტერიტორიულ ასპექტებს, რეგიონული სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებას და განხორციელებას რაიონების, ქალაქების, ავტონომიური რესპუბლიკების თავისებურებების, მათი რესურსების, ინტერესებისა და კონკრეტული ამოცანების გათვალისწინებით.

ქვეყნის ტერიტორიულ ნაწილებში — ადმინისტრაციულ ავტონომიურ ერთეულებში, რაიონებსა და ქალაქებში, როგორც სახელმწიფოსა და ეკონომიკის პირველად რგოლებში, სამეურნეო ცხოვრება ნაკლებად ინტენსიურია, ადგილობრივი ეკონომიკური სტიმულები და ინტერესები ძალზე შესუსტებულია. ვერ ხერხდება ცენტრალური ხელისუფლების რეფორმისტული პოლიტიკის სივრცობრივ-ტერიტორიულ დონემდე დაყვანა. გადაუჭრელი ლოკალური ეკონომიკური და სოციალური პრობლემების სიმრავლე ადგილებზე, ტერიტორიული მიდგომის უქონლობა არის ლოკალური დაძაბულობის ერთ-ერთი მიზეზი.

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და სახელმწიფოს რეგიონული პოლიტიკის ძირითადი მიზანი საშუალოვადიან პერიოდში არის ქვეყნის ტერიტორიული ნაწილების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარება და გამოთანაბრება ეკონომიკური და საფინანსო-საკრედიტო მექანიზმების გამოყენებით, ადგილობრივი ბუნებრივი, საწარმოო და შრომითი პოტენციალის, მოსახლეობის სამეურნეო ტრადიციების სრული და გონივრული გამოყენების საფუძველზე, აგრეთვე ხელისუფლების მხრივ თავისუფალი მეწარმეობის, მცირე ტერიტორიული ბიზნესის წახალისების, მიგრაციული ნაკადების რეგულირების, დიფერენცირებული საკრედიტო და საგადასახადო სისტემების ამოქმედების გზით.

რეგიონული განვითარების ამოცანების გადაჭრის მიზნით შემუშავდება ლოკალური და ფართო მასშტაბიანი რეგიონული პროგრამები და პროექტები, როგორიც არის:
— რეგიონების ეკონომიკური განვითარების დაჩქარების პროგრამა საბაზრო მეურნეობის პირობებში;
— ბუნებრივი რესურსების გამოყენება და გარემოს დაცვა რეგიონებში;
— სახელმწიფო ქონების პრივატიზაცია რეგიონების მიხედვით;
— აგრარული რეფორმა რეგიონებში;
— კერძო მეწარმეობისა და მცირე ბიზნესის განვითარება რეგიონებში;
— რეგიონების მეურნეობის სპეციალიზაცია;
— ინვესტიციები რეგიონებში და ადგილობრივი საფინანსო რესურსები;
— სუსტად განვითარებულ რეგიონებში (განსაკუთრებით მთიან რეგიონებში) მოსახლეობის სამუშაო ადგილებით უზრუნველყოფა და სოციალური დაცვა;
— საფინანსო-საკრედიტო სისტემის განვითარება რეგიონებში (ადგილობრივი საბიუჯეტო საგადასახადო სისტემის სრულყოფა, საბანკო სფეროს განვითარება) და სხვა.

რეგიონული პროგრამების რეალიზაციისათვის ხელისშეწყობის მიზნით განხორციელდება პროტექციონისტული და დიფერენცირებული მიდგომები დაბალი საპრივატიზაციო ფასების დაწესების, შეღავათიანი კრედიტებისა და გადასახადების შემოღების ზოგიერთი სახის საქონელზე (პური, საწვავი, შხამქიმიკატები და სხვა), აგრეთვე საზოგადოებრივ ტრანსპორტზე რეგულირებადი ფასების დაწესების, დოტაციებისა და სუბვენციების მიცემის სახით, რაც დამატებითი საკრედიტო და საფინანსო რესურსების გამოყოფასთან იქნება დაკავშირებული.

განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურების შეცვლის მიზნით ინვესტიციური პროცესების სტიმულირებას, სახელმწიფო და საბაჟო გადასახადების შეღავათების დაწესებას სუსტადგანვითარებულ, მაღალმთიან და დაშორებულ რეგიონებში, უცხოური კაპიტალის მოზიდვისა და ეკონომიკური აქტივობის ზრდის შედეგად მეურნეობის განვითარებას მიეცემა ისეთი მიმართულება, რაც ადგილობრივი რესურსებისა და სამეურნეო ტრადიციების ეფექტიან გამოყენებაზე იქნება დამყარებული.

საქართველოს მრავალ რეგიონში შეიქმნება რეკრეაციული რესურსების ათვისებისა და გამოყენების, ტურიზმისა და საკურორტო მეურნეობის ფართო განვითარების პირობები.

საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არის ხელსაყრელი პირობები საზღვაო, სამთო, საზაფხულო, საზამთრო, საცხენოსნო, სამთო-სამონადირეო ტურიზმის განვითარებისათვის, მაგრამ ტურისტული და საკურორტო მეურნეობა საქართველოში სხვა რეკრეაციული რესურსებით მდიდარ ქვეყნებთან შედარებით ამჟამად ძალიან სუსტად არის წარმოდგენილი, რადგან უაღრესად დაბალია მისი მატერიალურ-ტექნიკური, ორგანიზაციული და სერვისის დონე. ამიტომ ამ დარგის თანამედროვე ინდუსტრიად, დამატებითი სამუშაო ადგილებისა და სავალუტო შემოსავლების წყაროდ გადაქცევისათვის აუცილებელია მისი ფართო განვითარება და მსოფლიო სტანდარტების დონეზე აყვანა, რისთვისაც თავის მხრივ, საჭიროა აქტიური საინვესტიციო პოლიტიკის გატარება, უცხოური კაპიტალის მოზიდვა და გამოყენება ცალკეული რეგიონების მიხედვით რეკრეაციულ-ტურისტული პროგრამების შედგენა-რეალიზაციისათვის.

სახელმწიფოს რეგიონული განვითარების ერთ-ერთი მიმართულება იქნება სტიქიური უბედურებების, ლოკალური კონფლიქტების მიზეზით იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის დაბრუნება თავის მკვიდრ საცხოვრებელ ადგილებში, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში მისი ნაწილის განსახლება სხვა რეგიონებში.

ასევე მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდება რეგიონებში დემოგრაფიული და შიგამიგრაციული პროცესების რეგულირებისა და ხელშეწყობისათვის რეგიონების სამეურნეო საქმიანობისა და მისი მოსახლეობის სოციალურ-ეროვნული თავისებურებების შესაბამისად, რეგიონული განვითარების ერთ-ერთი აქტიური მიმართულებაა ეკოლოგიური პრობლემების ლოკალური გადაჭრა ტერიტორიების, ადმინისტრაციული რეგიონების მიხედვით. ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება და დაცვა საქართველოს პირობებში ყველაზე სწრაფ ეფექტს გვაძლევს რეგიონულ დონეზე მათი გადაწყვეტის საფუძველზე. მიწების ეროზიისა და მათი დაცვის ფორმები, სხვადასხვა გეოლოგიური და სატრანსპორტო პირობების მქონე ერთნაირი წიაღისეული საბადოების ექსპლუატაცია, ტყეების განსხვავებული დანიშნულება და ტიპები, წყლის რესურსების სახეები, მათი გამოყენების პრიორიტეტული მიმართულებები და ა. შ. საქართველოს სხვადასხვა რეგიონში უაღრესად თავისებურია და ყოველთვის დიფერენცირებულ, ლოკალურ გადაწყვეტას მოითხოვს. ამიტომ მთავრობას გათვალისწინებული აქვს ეკოლოგიური ამოცანების გადაჭრის, ბუნებრივი რესურსების, მათ შორის რეკრეაციული რესურსების რაციონალური გამოყენების ძირითად მიმართულებად აქციოს ტერიტორიული, რეგიონული ასპექტები, შექმნას ამისათვის შესაბამისი ორგანიზაციული სტრუქტურები და ფინანსური მექანიზმი.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას განზრახული აქვს აქტიური და დიფერენცირებული საფინანსო-ეკონომიკური რეგიონული პოლიტიკის განხორციელება, რეგიონული მმართველობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის დემოკრატიული სტრუქტურების შექმნა, ეკონომიკური რეფორმების გატარება და თავისუფალი მეწარმეობის განვითარება შიგა — რესპუბლიკურ რეგიონებში უზრუნველყოს მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციების საფუძველზე. ამ მიზნით რეგიონების თავისებურებების შესაბამისად, მათი შესაძლებლობების, რესურსებისა და კონკრეტული ამოცანების სისტემატური ანალიზის მეშვეობით ყოველ ეტაპზე წინასწარ განისაზღვრება ქვეყნის ტერიტორიული ერთეულების ინტერესები და განვითარების პრიორიტეტები უახლოეს და ხანგრძლივ პერსპექტივაში.

თითოეული რეგიონის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებანი და პარამეტრები, მათი იერარქიული კავშირები და კოორდინაციის ფორმები შესაბამისობაში იქნება მოყვანილი საერთო სახელმწიფოებრივ განვითარებასთან.

აღნიშნული რეგიონული მიზნების რეალიზაციისათვის ხელისუფლება მოახდენს შიგარესპუბლიკური რეგიონული განვითარების პრობლემების კვლევა-ძიების აქტივიზაციას, განახორციელებს შესაბამის სამეცნიერო-კვლევით, პროგნოზულ და საპროექტო სამუშაოებს ეროვნული და საზღვარგარეთელი სპეციალისტების მონაწილეობით.

თავი IV. სისტემური ცვლილებები

4. 1. სახელმწიფო საწარმოთა რეფორმა

სახელმწიფო საწარმოთა რეფორმამ უნდა უზრუნველყოს შერეული ეკონომიკური სისტემის ეფექტიანი მექანიზმის დამკვიდრება. ეს მექანიზმი გულისხმობს სახელმწიფო საწარმოების არსებობას, როგორც წმინდა, ისე შერეული ფორმით, სადაც შენარჩუნებული იქნება სახელმწიფოს მიერ აქციების საკონტროლო პაკეტის ფლობა.

არ დაიშვება სახელმწიფო მართვის ორგანოების მიერ სახელმწიფო საწარმოების პირდაპირი ადმინისტრირების მეთოდების გამოყენება. ამ საწარმოთა ფუნქციონირების შეფასებისათვის მთავარი კრიტერიუმი იქნება, თუ რამდენად აკმაყოფილებენ ისინი ცალკეული სახეობის პროდუქციის წარმოებით და სათანადო შემოსავლების მიღებით ქვეყნის ინტერესებს.

სახელმწიფო სექტორის რეგულირება უნდა განხორციელდეს უპირატესად ეკონომიკური ღონისძიებების საშუალებით. ეკონომიკურ ღონისძიებებს შორის უნდა გამოიყოს: ეკონომიკაზე პირდაპირი ზემოქმედება (როგორიც არის მიზნობრივი დაფინანსება და სახელმწიფო შესყიდვებისა და დაკვეთების სისტემა) და ირიბი რეგულირება (რომელიც ხორციელდება საგადასახადო, საფინანსო-საკრედიტო, საამორტიზაციო და სატარიფო პოლიტიკის საშუალებით). როგორც პირდაპირი ისე ირიბი ჩარევისას იგულისხმება აგრეთვე სახელმწიფოს მიერ იმ პრიორიტეტების მხარდაჭერა, რომლებიც უზრუნველყოფენ სტრუქტურულ გარდაქმნებს, ეკონომიკის სტაბილურობასა და ხანგრძლივ ეკონომიკურ ზრდას. სახელმწიფო რეგულირების სწორედ ასეთი ღონისძიებები უნდა დაედოს საფუძვლად სახელმწიფო სექტორის რეფორმას.

სახელმწიფო საწარმოთა რეკონსტრუქციის, მათი მეტ-ნაკლებად სიცოცხლისუნარიანი ნაწილის მხარდაჭერის პოლიტიკა მოიცავს შემდეგ ღონისძიებებს:
— ეკონომიკურად უპერსპექტივო წარმოებების (განსაკუთრებით მორალურად მოძველებული და ეკოლოგიურად საშიში საწარმოების) რეგულირებად შეზღუდვას. ასეთი მკაცრი პოლიტიკის შედეგად საწარმოთა იმუნური ძალები უნდა წარიმართოს არა იმდენად სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის მიღწევისათვის, რამდენადაც პროდუქციის ხარისხის ამაღლების, წარმოების ხარჯების შემცირების და ეფექტიანი მარკეტინგის განსახორციელებლად შინაგანი რეზერვების გამოყენებისათვის.
— სიცოცხლისუნარიანი საწარმოების საბაზრო პროცესებში ეტაპობრივი ჩართვის უზრუნველყოფას, რეკონსტრუქციისა და ტექნიკური გადაიარაღების პერიოდში დროებითი მხარდაჭერის პოლიტიკის გატარების გზით, როგორც შიგა ისე უცხოეთის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების გაფართოებას;
— წარმოების ტექნიკური დონისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლების უზრუნველმყოფი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების ფინანსირებას;
— სამრეწველო პროდუქციის ექსპორტის ხელშეწყობას.

სახელმწიფო საწარმოების რეფორმა მჭიდროდ იქნება დაკავშირებული სახელმწიფო ქონების პრივატიზების პროცესთან. პრივატიზების ფორმები, შინაარსი და განხორციელების ტემპები დაედება საფუძვლად სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის ძირითადი მიმართულებების დადგენას.

პრივატიზების პროცესში განისაზღვრება საწარმოთა ის წრე, რომლებიც დაექვემდებარებიან სახელმწიფო საწარმოთა რეფორმას. აღნიშნული საწარმოები დაიყოფიან ცალკეულ ჯგუფებად და მათ მიმართ გატარდება შესაბამისი მიდგომები. მოხდება უპერსპექტივო საწარმოთა ლიკვიდაცია, საწარმოთა ერთი ნაწილის მიმართ გატარდება სანაციური პოლიტიკა და სხვა.

სახელმწიფო საწარმოთა რეფორმის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება იქნება საკანონმდებლო და ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელება რათა სახელმწიფო საწარმოები, როგორც დამოუკიდებელი მეურნე სუბიექტები მოექცნენ კონკურენტულ გარემოში.

მოწესრიგდება კანონმდებლობა, რომელიც არეგულირებს სამეურნეო ურთიერთობებს, უპირველეს ყოვლისა, საკუთრებით ურთიერთობებს, საკონტრაქტო სამართალს და სხვა. განმტკიცდება სასამართლო სისტემა და სამართალდამცველი ორგანოები, რაც საშუალებას იძლევა უფრო სრულად ამოქმედდეს კანონმდებლობა მეწარმეობის შესახებ, გაკოტრებისა და ანტიმონოპოლიური რეგულირების შესახებ საკანონმდებლო აქტების მოთხოვნების პრაქტიკული რეალიზაციისათვის.

დროებითი დებულება სახელმწიფო საწარმოს შესახებ სათანადო დაზუსტების და დახვეწის შემდეგ მიიღებს უფრო სწორ სახეს, რომელშიც დაკონკრეტდება სახელმწიფო საკუთრების ფლობის, განკარგვის და გამოყენების ნორმები, რის საფუძველზეც გაიმიჯნება სახელმწიფო ქონებისა და სახელმწიფო საწარმოს მართვის ფუნქციები.

შეიქმნება სახელმწიფო ქონების ფლობის ინსტიტუტები (სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით), რომლებიც სახელმწიფოს წინაშე პასუხისმგებელი იქნებიან მათთვის გადაცემული ქონების ღირებულების შენარჩუნებასა და ზრდაზე.

სახელმწიფო საწარმოები იფუნქციონირებენ ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების იგივე რეჟიმში, როგორც საკუთრებით სხვა ფორმის საწარმოები, რაც მიიღწევა სახელმწიფო საწარმოებისათვის სახელმწიფო პრეფერენციების მკვეთრი შეზღუდვის და მათი ერთგვაროვან კონკურენტულ გარემოში მოქცევის გზით.

რეალურად ამოქმედდება კანონი „გაკოტრების შესახებ“.

გატარდება მკაცრი ღონისძიებანი შიდა კონკურენციის გაძლიერებისათვის, რათა წამგებიანმა სახელმწიფო საწარმოებმა იგრძნონ ლიკვიდაციის საფრთხე და გარდაქმნან თავიანთი საქმიანობა. მთავრობა მიიღებს ზომებს, რათა მოხდეს წამგებიანი საწარმოების რეკონსტრუქცია ან გაიოლდეს მათი ლიკვიდაციის პროცესი. ბანკებმა უნდა აითვისონ სალიკვიდაციო პროცედურის ჩატარების მეთოდიკა გაკოტრებული საწარმოების მიმართ.

სახელმწიფო საწარმოთა მართვის ორგანოების სტრუქტურების ფორმირებისას გამოყენებული იქნება დიფერენცირებული მიდგომა სხვადასხვა ტიპის საწარმოების თავისებურებათა გათვალისწინებით.

საწარმოები, რომლებიც ქმნიან საზოგადოებრივ დოვლათს და რომელთა საქმიანობა არ არის ორიენტირებული მხოლოდ კომერციულ მისწრაფებებზე, დაექვემდებარებიან უშუალოდ სახელმწიფო მმართველობას.

სხვა დანარჩენი სახელმწიფო საწარმოები, რომლებიც ორიენტირებული არიან მოგებაზე, დაექვემდებარებიან კორპორატიზაციას. ასეთ საწარმოთა უპირატესად ეკონომიკური მეთოდებით (როგორც პირდაპირი, ისე ირიბი) რეგულირების უზრუნველყოფის მიზნით მოხდება მათი აქციონირება, აუცილებელ შემთხვევაში, საწესდებო კაპიტალში სახელმწიფოს წილის შენარჩუნებით. მათ მიეცემათ უფლება დამოუკიდებლად განსაზღვრონ თავიანთი სამეურნეო საქმიანობის ძირითადი მიმართულებანი თავისუფალ საბაზრო ფასებში განსაზღვრული საკონკურსო წესით მიღებული სახელმწიფო დაკვეთების, პარტნიორებთან დადებული პირდაპირი სამეურნეო ხელშეკრულებების, ბაზრის მოთხოვნებისა და თავიანთი შესაძლებლობების გათვალისწინებით. ასეთი საწარმოებისათვის დაწესდება ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შემდეგ დარჩენილი მოგებიდან სახელმწიფოს ან მის მიერ უფლებამოსილი ორგანოების მიერ დადგენილი ნორმატივებით განსაზღვრული ნაწილის ამოღება სახელმწიფოს, როგორც მესაკუთრის სასარგებლოდ ან ამ სახსრების გამოყენება სახელმწიფოს ინტერესების შესაბამისად. ასევე რეგულირებას დაექვემდებარება პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) თვითღირებულებაში გათვალისწინებული შრომის ანაზღაურების სახსრები. სხვა დანარჩენ შემთხვევაში მათ მიეცემათ სრული ეკონომიკური თავისუფლება და ექნებათ უფლება, რომ მათ განკარგულებაში დარჩენილი სახსრები, რომლებიც შრომით კოლექტივებს ეკუთვნით საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად, მესაკუთრესთან ან მესაკუთრის მიერ უფლებამოსილ ორგანოებთან შეთანხმებით გამოიყენონ წარმოების გაფართოების მიზნით.

მოხდება საწარმოს მუშაკთა კუთვნილი სახსრების წარმოების გაფართოებისათვის და პირველ რიგში საბრუნავი საშუალებების შევსებისათვის გამოყენების სტიმულირება, რაც დადებითად იმოქმედებს ერთის მხრივ ინვესტიციური პროცესების ეფექტიანობის ზრდაზე, ხოლო მეორეს მხრივ საფინანსო ბაზრის გაჯანსაღებაზე.

სახელმწიფო საწარმოების მართვისათვის შეიქმნება დირექტორთა საბჭო და აღმასრულებელი დირექციები, რომელთა ფორმირებას მოახდენს სახელმწიფო ქონების მფლობელის ფუნქციის განმახორციელებელი, საკონტრაქტო სისტემის საფუძველზე.

გაუქმდება სამეურნეო ხელმძღვანელობის დარგობრივი პრინციპი. დაშვებული იქნება მხოლოდ საწარმოთა ფუნქციონალური დაკავშირება საკონსულტაციო ორგანოებთან ან სამეურნეო კავშირების (გაერთიანებების) ფორმირება ანტიმონოპოლიური ინტერესების დაცვით. სახელმწიფო საწარმოს ექნება უფლება დამოუკიდებლად განსაზღვროს მართვის შიგასაწარმოო სტრუქტურა. საწარმოს ხელმძღვანელის დანიშვნა მესაკუთრის პრეროგატივა იქნება. იგი სახელმწიფოს წინაშე ანგარიშვალდებული იქნება მხოლოდ იმ ძირითადი პოზიციების მიხედვით, რომლითაც განისაზღვრება სახელმწიფო ქონების ღირებულების შენარჩუნება და მისი ზრდა, სახელმწიფო დაკვეთის შესრულება, მოგების განაწილება და სხვა.

4.2. პრივატიზაცია და კერძო სექტორის განვითარება

ეკონომიკაზე ადმინისტრაციული კონტროლის შემცირების პირობებში საჭიროა განხორციელდეს რადიკალური ცვლილებები საკუთრებით ურთიერთობებში. ამ მიმართულებით დაუყოვნებლივ გადაწყვეტას მოითხოვს შემდეგი საკითხები:
— მცირე პრივატიზაციის დაჩქარებული ჩატარება, რაც გამოიხატება ვაჭრობის, მომსახურების სფეროს, წვრილი საწარმოების აუქციონის ან კონკურსის წესით გაყიდვაში;
— აუქციონებზე ან ტენდერების მოწყობის გზით დაუმთავრებელი ვადაგასული მშენებლობების ნაწილის დაუყოვნებლივ გაყიდვა;
— მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარება მსხვილი საწარმოების პრივატიზაციისათვის მათი სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნის გზით. წელსვე უნდა დაიწყოს რიგი მსხვილი საწარმოების სააქციო საზოგადოებებად გარდაქმნა (კორპორატიზაცია), მათი აქციების გაყიდვით როგორც საპრივატიზაციო საწარმოების მუშაკებისათვის, ისე აუქციონზე მათი გაყიდვით.

ყოველივე ეს შექმნის საკუთრებითი ურთიერთობების შეცვლის ბაზას, რომელიც უნდა დაჩქარდეს 1993 წელს. პროგნოზული მონაცემებით შესაძლებელია დაახლოებით 15-20 პროცენტი საშუალო და მსხვილი საწარმოების პრივატიზაციის განხორციელება მოკლევადიან პერიოდში, რაც შეეხება ვაჭრობისა და მომსახურების სფეროს საწარმოებს, ამ პერიოდში მათი მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა იქნეს პრივატიზებული.

ერთობლივი საინვესტიციო საქმიანობა შესაძლებელია განხორციელდეს პრივატიზაციის ჩატარების პროცესში, შეიქმნება სახელმწიფოთაშორისი სააქციო საზოგადოებები, ჰოლდინგები. დამუშავდება მსხვილ საწარმოთა პრივატიზაციის კონკრეტული პროექტები უცხოური ინვესტორების მონაწილეობით. პირველ რიგში უნდა ვიზრუნოთ იმ ობიექტების პრივატიზაციაზე უცხოელი ინვესტორების მონაწილეობით, რომლებიც მოითხოვენ ტექნოლოგიური ცვლილებების გატარებას და რომელთა პროდუქცია გახდება კონკურენტუნარიანი მსოფლიო ბაზარზე.

1993 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყება მასობრივი პრივატიზაციის პროცესი. იგი დაფუძნებული იქნება შემდეგ ძირითად პრინციპებზე:

მოსახლეობას დაურიგდება საპრივატიზაციო ბარათები (ვაუჩერები); საწარმოს მუშაკებს უფასოდ მიეცემათ სახელმწიფო ქონების განსაზღვრული წილი, აგრეთვე დაუწესდებათ შეღავათები სახელმწიფო ქონების შეძენისას;
— მკვეთრად შემცირდება შეზღუდვები ცალკეული საწარმოებისა და დარგების პრივატიზაციის პროცესში;
— შეიქმნება ხელსაყრელი პირობები უცხოური ინვესტორების მონაწილეობისათვის პრივატიზაციის პროცესში;
— განისაზღვრება როგორც სასოფლო-სამეურნეო, ისე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პრივატიზაციის წესი.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტიმულირებისა და სოფლის მეურნეობაში პრივატიზაციის პროცესის გაღრმავების მიზნით მოხდება კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა აბსოლუტური უმეტესობის ლიკვიდაცია, ხოლო დანარჩენი ნაწილის რეორგანიზაცია განხორციელდება ახალ სამეურნეო საფუძველზე.

ამჟამად დამუშავებულია სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის განხორციელებისათვის საჭირო ძირითადი სამართლებრივ-ნორმატიული აქტები. შექმნილია პრივატიზაციის ჩატარებისათვის აუცილებელი ინსტიტუციონალური სისტემა. მთავრობის მიერ დამტკიცებულია სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის პროგრამა. იგი მოიცავს პრივატიზაციის განხორციელების პირველ ეტაპს.

პირველ ეტაპზე პრივატიზაციას სავალდებულო წესით დაექვემდებარება ის საწარმოები, რომლებიც ყველაზე მეტ ზეგავლენას მოახდენენ ეკონომიკის საბაზრო სტრუქტურების ჩამოყალიბებასა და ფუნქციონირებაზე; აგრეთვე ის საწარმოები, რომელთა არაეფექტიანი მოქმედება ხელს უშლის ეკონომიკის გამოყვანას კრიზისიდან და ბაზრის ჩამოყალიბებას.

პროგრამის თანახმად პრივატიზაციის ჩატარებისას საპრივატიზაციო საწარმოს ყველა მუშაკს უსასყიდლოდ ერთდროულად გადაეცემა საწესდებო კაპიტალის 20 პროცენტამდე ოდენობის სახელობითი პრივილეგირებული აქციები და 10 პროცენტამდე ჩვეულებრივი აქციები 20 პროცენტის ფასდაკლებით და ორი წლის განვადებით. საწარმოს მუშაკთათვის შეღავათები გათვალისწინებულია აგრეთვე კონკურსით და აუქციონზე ამ საწარმოთა გაყიდვის შემთხვევაშიც.

მოსახლეობის სოციალური ინტერესების დაცვის მიზნით საქართველოს ყველა მოქალაქეს საშუალება ექნება უსასყიდლოდ მიიღოს სახელმწიფო ქონების წილი, რისთვისაც შემოღებული იქნება საპრივატიზებო ბარათები.

1993 წელს საკონკურსო წესით და აუქციონზე გასაყიდად გამოტანილი იქნება ასეულობით ობიექტი, გამოცხადდება კონკურსის პირობები მცირე ჰესების პრივატიზაციის შესახებ. მოხდება დაუმთავრებელი მშენებლობის ობიექტების გაყიდვა. დაიწყება მსხვილ საწარმოთა კორპორატიზაცია.

უცხოელ ექსპერტთა დახმარებით შედგება მსხვილი საწარმოების პრივატიზაციის პროექტები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ საქართველოს ეკონომიკის გაჯანსაღებაზე. ამგვარი პროექტების კვალიფიციური დამუშავება მოგვცემს უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საშუალებას, წარმოების ეფექტურობის ამაღლების და კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების პირობებს.

ყოფილი საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალებისა და თავდაცვითი მრეწველობის ქონება და საწარმოები, რომელიც გადმოეცა ჩვენს რესპუბლიკას და, რომელსაც საქართველოს შეიარაღებული ძალები და თავდაცვითი მრეწველობა არ საჭიროებს, კონვერსიის მიზნით დაექვემდებარება პრივატიზაციას.

პრივატიზების პროცესში შემნახველ ბანკში გამოყენებული იქნება სახელმწიფო ანაბრების მიზნობრივი ინდექსირების თანხები, რომელთა აკუმულირების მიზნით იქმნება საინვესტიციო ფონდები და სხვა საფინანსო-საშუამავლო ორგანიზაციები.

კერძო სექტორის განვითარებაში პრივატიზების პროცესის პარალელურად შეიქმნება კერძო ინვესტორების ხელშემწყობი პირობები, რაც უზრუნველყოფილი იქნება შეღავათიანი საგადასახადო და საკრედიტო პოლიტიკით. მცირე ბიზნესის განვითარების მიზნით შეიქმნება სპეციალური ხელშემწყობი სახელმწიფო ფონდი, რომელიც საფინანსო მხარდაჭერასთან ერთად ფართოდ გამოიყენებს ლიზინგის სისტემას.

რეფორმის განხორციელება შექმნის საკუთრებითი ურთიერთობების შეცვლის ბაზას და დააჩქარებს კერძო სექტორის განვითარებას.

განსაკუთრებული ხელშეწყობის პოლიტიკა იქნება გატარებული მცირე ბიზნესის განვითარებისათვის.

მცირე ბიზნესს ექნება სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა. ახალი აღნიშნული საწარმოების მშენებლობისათვის შესაძლებელი იქნება საკონკურსო საფუძველზე გამოიყოს (ან გაიყიდოს) მიწის ნაკვეთები, დაკონსერვებული და დაუმთავრებელი საწარმოო ობიექტები და სათავსები, აგრეთვე გაკოტრებული საწარმოების გამოუყენებელი მოწყობილობა, ძირითადი ფონდები და საბრუნავი საშუალებანი.

მიღებული იქნება რესპუბლიკის მეწარმეობის მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც გაითვალისწინებს:
— სამეწარმეო საქმიანობის მარეგულირებელი საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზის განვითარებას და დახვეწას;
— მეწარმეთა კადრების მომზადებას;
— სამეწარმეო საქმიანობის დაფინანსების, დაკრედიტებისა და დაზღვევის სისტემის ფორმირებას;
— მცირე და საშუალო ბიზნესის მოთხოვნილებებზე ორიენტირებულ საწარმოო საშუალებათა ბაზრის განვითარებას;
— ეკონომიკის კერძო სექტორის სახელმწიფოს მხრიდან ინვესტირების მასტიმულირებელი მექანიზმების შემუშავებას;
— კერძო მეწარმეობის განვითარების სახელმწიფო პროგრამის განხორციელებისათვის დარგობრივი და რეგიონალური პრიორიტეტების სისტემის განსაზღვრას.

ამგვარი პროგრამის პირველ ნაბიჯებს უნდა წარმოადგენდეს მკაფიო სამართლებრივი გარანტიები თავისუფალი მეწარმეობისათვის (გარანტიები ნაციონალიზაციისაგან, დისკრიმინაციისაგან). ამ მიზნისათვის მიიღება სამართლებრივი აქტების მთელი სისტემა, რომლებიც უზრუნველყოფენ კერძო მეწარმეობის განვითარებას.

მცირე ბიზნესის მოთხოვნილებების გათვალისწინებით აუცილებელია სამეწარმეო საქმიანობის დაფინანსების, დაკრედიტებისა და დაზღვევის განვითარებული სისტემის ჩამოყალიბება, არასახელმწიფო სექტორის საფინანსო-საკრედიტო სისტემის საქმიანობის გაფართოებისათვის ხელშეწყობა, საჰოლდინგო და საინვესტიციო კომპანიების შექმნა, რაც საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პირობებში საშუალებას იძლევა ეფექტურად განხორციელდეს ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნა.

გათვალისწინებულია სასაქონლო და ფინანსური ლიზინგის მექანიზმების მოქმედების სფეროს გაფართოება, სალიზინგო ფირმების და კომპანიების ქსელის შექმნა; საინფორმაციო, მარკეტინგული, კონსაუტინგის, სააუდიტო, სარეკლამო სპეციალიზირებული ფირმების მეშვეობით ეკონომიკურ-მმართველობითი მომსახურების სისტემის განვითარება.

4.3. აგრარული რეფორმა

საქართველოში მიმდინარე აგრარული რეფორმა მიზნად ისახავს აგრარული სექტორის ძირეულ გარდაქმნას მიწასა და წარმოების სხვა საშუალებებზე კერძო საკუთრების დამკვიდრების, მეწარმეობის გაშლისა და აგრარულ სფეროში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის საფუძველზე.

აგრარული რეფორმის ძირითადი მიმართულებებია: მიწის რეფორმა, ინსტიტუციონალური ცვლილებები სოფლის მეურნეობაში კერძო სექტორის განვითარების საფუძველზე, აგროსამრეწველო კომპლექსის სამრეწველო და მომსახურე დარგებში დემონოპოლიზაცია და პრივატიზება; საბაზრო ინფრასტრუქტურის შექმნა აგროსამრეწველო კომპლექსში; სოფლად სოციალური რეფორმა.

აგრარული რეფორმა, რომელიც არაერთჯერადი აქტია, ეტაპობრივად განხორციელდება რამდენიმე წლის განმავლობაში. ამჟამად საქართველოში ხორციელდება აგრარული რეფორმის პირველი ეტაპი, რომლის ფარგლებში დასრულდება მიწების პრივატიზება; მოხდება კოლმეურნეობათა და სახელმწიფო მეურნეობათა რეორგანიზაცია, შეიქმნება გლეხური (ფერმერული) მეურნეობები, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები, სააქციო საზოგადოებები და სხვა ორგანიზაციული ფორმების საწარმოები. გადამუშავების, ვაჭრობის, აგროსერვისის სფეროებში და აგრობიზნესის სხვა სექტორებში ჩამოყალიბდება საბაზრო სტრუქტურები.

აგრარული რეფორმის მეორე ეტაპზე გათვალისწინებულია გადაიჭრას შემდეგი ამოცანები:
— აგროსამრეწველო კომპლექსის დარგობრივი და ტერიტორიული სტრუქტურების ძირეული გარდაქმნა მაღალი სასაქონლო დონის მიღწევის მიზნით; მარცვლეული წარმოებისა და მეცხოველეობის განვითარების სტიმულირება მიზნობრივი პროგრამების საფუძველზე; მთიანი რეგიონების უპირატესი განვითარების უზრუნველყოფა;

კოლმეურნეობების, სახელმწიფო მეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რეორგანიზაციის დასრულება, მეურნეობრიობის ფორმების შეცვლა, მათ ბაზაზე გლეხური მეურნეობების, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა და სხვა კერძო საწარმოების, სააქციო საზოგადოებების, საწარმოო და სერვისის კოოპერატივების შექმნა;
— კერძო და კოოპერატიულ საწარმოთა სისტემის ფორმირება, რომელიც უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მომარაგებას წარმოების საშუალებებით, მათ მომსახურებას, მათი პროდუქციის გადამუშავებასა და რეალიზაციას;
— მოსახლეობის უზრუნველყოფა მიწის ნაკვეთებით კერძო საკარმიდამო მეურნეობის, მებაღეობა-მებოსტნეობისა და ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის.

აგრარული რეფორმის საკვანძო ელემენტია მიწის რეფორმა, რომლის მთავარი ამოცანებია:
— საადგილმამულო ურთიერთობათა რეგულირების სამართლებრივი და ორგანიზაციული ეკონომიკური მექანიზმის შექმნა;
— მიწათსარგებლობის ახალი სტრუქტურების ფორმირება კერძო საკუთრების საფუძველზე;
— რეგულირებადი მიწის ბაზრის, მიწის იჯარისა და იპოთეკური კრედიტის განვითარების წინაპირობების მომზადება.

მიწის რეფორმის ძირითად ამოცანათა რეალიზაცია, საადგილმამულო ურთიერთობათა გარდაქმნა-განვითარება შემდეგი მიმართულებებით:
— მიწის გამოყოფა გლეხურ-ფერმერული, საკარმიდამო მეურნეობებისათვის და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის;
— მიწის გამოყოფა მებაღეობა-მებოსტნეობისა და ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის;
— მიწის ნაკვეთების მიმაგრება სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის.

ამრიგად, მიწის გადანაწილების შედეგად კერძო, კოოპერატიული და სახელმწიფო საკუთრების საფუძველზე შეიქმნება პირობები მსხვილი, საშუალო და წვრილი მიწათსარგებლობის ოპტიმალური შეფარდებისათვის.

აგრარული რეფორმა ითვალისწინებს სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზებას მიწაზე სრული საკუთრების საფუძველზე, მისი ყიდვა-გაყიდვის, გაჩუქების, მემკვიდრეობით გადაცემის ან იჯარის უფლებით. ამასთან იჯარის გამცემად შეიძლება მოგვევლინოს სახელმწიფო ან სხვა მესაკუთრე, ხოლო მოიჯარეებად — ყველა კატეგორიის სასოფლო-სამეურნეო საქონელმწარმოებელი.

საადგილმამულო ურთიერთობათა რეგულირების სამართლებრივი და ეკონომიკური მექანიზმის ჩამოყალიბება გულისხმობს შემდეგ ღონისძიებათა განხორციელებას:
— მიწის რეფორმის შესახებ კანონისა და მიწის კოდექსის მიღებას;
— მიწაზე გადასახადის შემოღებას;
— მიწის ყიდვა-გაყიდვაზე შეზღუდვების მოხსნას;
— რეგულირებადი მიწის ბაზრის ფორმირებისათვის მზადებას, მიწის ნაკვეთების ობიექტური ეკონომიკური შეფასების სისტემის, ნორმატიული (საბაზრო) ფასის განსაზღვრის გათვალისწინებით;
— ბანკების სისტემის შექმნას, იპოთეკური კრედიტის შემოღებას;
— მიწის ნაკვეთების გაყიდვაზე გადასახადების კანონის მომზადებას;
— სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწით სარგებლობისას საკომპენსაციო გადასახადების სისტემის დამუშავებასა და გამოყენებას;
— მიწების კადასტრისა და მონიტორინგის დამუშავებას და შემოღებას, მიწათსარგებლობის სტრუქტურაში ცვლილებათა გამოსავლენად;
— ეკოლოგიური დარღვევებისათვის ეკონომიკური სანქციებისა და მიწის ნაყოფიერების გაუმჯობესებისათვის წახალისების მექანიზმის შემოღებას;
— მიწის დაცვის სახელმწიფო პროგრამების განხორციელებას.

გათვალისწინებულია მიწის ნორმატიული ფასი განისაზღვროს სახელმწიფო მიწების კონკრეტული ნაკვეთებისათვის საკუთრებაში მისი გაყიდვის დროს. მიწის ნაკვეთების იჯარით გადაცემის საგანაკვეთო ღირებულება განისაზღვრება ხელშეკრულების საფუძველზე, მიწის ნაკვეთების იჯარის სფეროში მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობის გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში ფულადი განაკვეთის სიდიდეზე გავლენას ახდენს მიწის ნაყოფიერება. მასზე არსებული შენობა-ნაგებობანი, საიჯარო გადასახადების ვადები, მისი ხანგრძლივობა და სხვა. მიწის გაყიდვაზე გადასახადი დამოკიდებულია მიწის ნაყოფიერებაზე, შემოსავლიანობაზე, მიწით სარგებლობის ხანგრძლივობაზე.

აგრარული რეფორმის სამართლებრივი რეგულირება ითვალისწინებს კანონპროექტების მომზადებას სოფლის მეურნეობაში გლეხური (საკომლო), ფერმერული, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული მეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციული ფორმების შესახებ, საკანონმდებლო აქტების მიღებას, რომლებიც არეგულირებენ მიწის ნაკვეთების ყიდვა-გაყიდვას, იჯარას, გირაოს.

სოფლად გლეხური მეურნეობები ძირითადად შეიქმნება კოლმეურნეობებისა და სახელმწიფო მეურნეობების რეორგანიზაციის საფუძველზე. სახელმწიფო დახმარებას გაუწევს გლეხურ (ფერმერულ) მეურნეობებს, უპირატესად მთის ზონაში მათ კოოპერატივებსა და ასოციაციებს საგადასახადო შეღავათებით, პირდაპირი სუბსიდიებით, შეღავათიანი კრედიტებითა და სახელმწიფოებრივი პროტექციონიზმის სხვა ღონისძიებებით.

კოლმეურნეობებისა და სახელმწიფო მეურნეობების რეფორმების მთავარი მიმართულება ითვალისწინებს მათ გადაცემას შრომითი კოლექტივების, ცალკეული მუშაკების საკუთრებაში, კოლმეურნეობებისა და სახელმწიფო მეურნეობების კომერციალიზაციასა და სრულ დამოუკიდებლობას.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა მუშაკები იღებენ გადაწყვეტილებას თავიანთი საწარმოო ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმებზე, ღია ან დახურული ტიპის სააქციო საზოგადოებებად ან საწარმოო კოოპერატივებად გარდაქმნაზე. კოლმეურნეობები და სახელმწიფო მეურნეობები შესაძლებელია მთლიანად დაიყოს ინდივიდუალურ და კერძო წვრილ საწარმოებად, რომლებიც შემდეგ ნებაყოფლობის საფუძველზე გაერთიანდებიან ასოციაციებად ან მომსახურების კოოპერატივებად.

სასოფლო-სამეურნეო მწარმოებლები, პირველ რიგში, ფერმერები და პირადი საკარმიდამო მეურნეობების მფლობელები შეიძლება გაერთიანდნენ თავისი პროდუქციის გამსაღებელ, აგრეთვე მომარაგების, სერვისის, დაკრედიტებისა და ურთიერთდაზღვევის კოოპერატივებად, რომელთა წევრები შეინარჩუნებენ იურიდიულ დამო-

(დასასრული მე-7 გვ.).

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკაში მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისა და სისტემური ცვლილებების საშუალოვადიანი პროგრამა

(დასასრული).

უკიდებლობას. დამუშავდება ნორმატიული აქტები იმ მეურნეობების ქონების პრივატიზაციის წესის შესახებ, რომელთაც ფაქტიურად აღარ რჩებათ საზოგადოებრივი მიწები, ან რჩებათ ძალზე მცირე მოცულობით, აგრეთვე ნორმატიული აქტები ფერმებისა და სხვა საზოგადოებრივი შენობა-ნაგებობების, პირუტყვის, ტექნიკის, მრავალწლიანი ნარგავებისა და ნათესების შეფასებისა და გასხვისების წესის თაობაზე.

ახალ აგრარულ სტრუქტურაში განსაკუთრებული როლი ეკუთვნის მოქალაქეთა პირად საკარმიდამო მეურნეობებს, რაც საშუალებას იძლევა შედარებით სწრაფად და დამატებითი დანახარჯების გარეშე გაიზარდოს პროდუქტების მიწოდება ბაზარზე. პირადი საკარმიდამო მეურნეობებისათვის მოხსნილია პრაქტიკულად ყველა არაეკონომიკური შეზღუდვები, ნებადართულია მიწაზე კერძო საკუთრება.

მთავრობა ხელს შეუწყობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ნედლეულისა და სურსათის ბაზრის ფორმირებას, მოთხოვნისა და მიწოდების თავისუფალი ურთიერთმოქმედების საფუძველზე ბაზრის სახელმწიფოებრივი რეგულირების პირობებში. განხორციელდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციის უპირატესად საბაზრო სისტემაზე გადასვლა, როდესაც სახელმწიფო თავისუფლდება სასურსათო ფონდის ცენტრალიზებულად ფორმირების ფუნქციისაგან, დამამზადებელი ფუნქციები გადავა კომერციულ საბაზრო სტრუქტურებზე, მოიხსნება სავალდებულო მიწოდებანი.

აგრარული რეფორმის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი გახდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით უზრუნველყოფა. ამ მიზნით მუშავდება სპეციალური სახელმწიფო პროგრამა სოფლის მეურნეობის მცირე მექანიზაციის საშუალებებით, სპეციალიზებული მანქანებით, ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვის შესახებ, ასევე ლიკვიდირებული და რეორგანიზებული მეურნეობების სამანქანო-სატრაქტორო პარკის ბაზაზე საკარმიდამო, გლეხური (ფერმერული) მეურნეობების, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა და სააქციო საზოგადოებების აგროსერვისული მომსახურების ფართო ქსელის შესაქმნელად.

4.4. ანტიმონოპოლიური რეგულირება და კონკურენტული გარემოს შექმნა

საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრების მიზნით საქართველოს მთავრობა განახორციელებს თანმიმდევრულ ანტიმონოპოლიურ პოლიტიკას და ყოველმხრივ შეუწყობს ხელს ქვეყნის ეკონომიკაში კონკურენტული გარემოს შექმნასა და განვითარებას.

საქართველოს ეკონომიკის კონკრეტული მდგომარეობიდან გამომდინარე დემონოპოლიზაციის პოლიტიკის აქტიური განხორციელება იმითაც არის ობიექტურად აუცილებელი, რომ ის საშუალებას მოგვცემს განვახორციელოთ მართვის უაღრესად ცენტრალიზებული სისტემის რაციონალიზაცია მართვის შუალედური რგოლების გაუქმების გზით. მართვის შუალედური რგოლები ხშირად გვევლინებიან მეურნეობის ძირეულ რგოლებში წამოწყებული საქმიანი ინიციატივის განვითარებისა და დამკვიდრების საქმეში ადმინისტრაციულ-ბიუროკრატიული ბარიერის როლში. აღსანიშნავია ისიც, რომ მაშინ, როდესაც სამინისტროებისა და სხვადასხვა სახის სამთავრობო უწყებების რიცხვი უაღრესად დიდია, ქვეყანაში არსებობს ხელოვნურად შექმნილი სახელმწიფო კონცერნების, ასოციაციების და გაერთიანებების მთელი წყება, რომლებიც თავიანთი პარამეტრებით და მათში დამკვიდრებული მართვის მეთოდებით პრაქტიკულად არაფრით არ განსხვავდებიან ჩვეულებრივი დარგობრივი სამინისტროებისაგან. ასეთი სახელმწიფო მონოპოლიების აბსოლუტური უმრავლესობა შექმნილია ხელოვნურად, მათში შემავალი საწარმოებისა და სხვა სტრუქტურული ერთეულების სურვილის გაუთვალისწინებლად. პრაქტიკულად შეუძლებელია აღნიშნულ სახელმწიფო კონცერნებში, ასოციაციებსა და გაერთიანებებში სახელმწიფო ქონების განკარგვის პროცესებზე ეფექტური კონტროლის განხორციელება და მით უმეტეს მისი ეფექტური მართვა. აქედან გამომდინარე, საქართველოში სამეურნეო საქმიანობის დემონოპოლიზაციის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იმშიც მდგომარეობს, რომ მომზადდეს ხელსაყრელი სასტარტო პირობები ფართომასშტაბიანი პრივატიზაციის დაწყებისათვის.

ამჟამად მთავრობა ატარებს ღონისძიებებს სახელმწიფო დარგობრივი ორგანოების, ფინანსური დაწესებულებების, სამეურნეო გაერთიანებებისა და წარმოებაზე კარტელური წარმონაქმნების მონოპოლიური გავლენის შეზღუდვის მიზნით.

იზღუდება სახელმწიფო შეკვეთის სისტემის ბაზარზე კონტროლის სფერო, წარმოებს მისი გარდაქმნა დაინტერესების და კონკურენციის პრინციპზე, ხდება საკრედიტო ბრუნვის დემონოპოლიზაცია, უქმდება ვაჭრობის და მომარაგების გამანაწილებელი ორგანოები.

იწყება ეკონომიკის დემონოპოლიზაციის სახელმწიფო პროგრამის განხორციელება, რაც უზრუნველყოფს მონოპოლიებზე კონტროლს, კონკურენციის დონის ამაღლებას, მართვის ორგანიზაციულ-სამეურნეო ფორმების გარდაქმნას, მეურნეობრიობის ახალი სუბიექტების სტიმულირებას.

მონოპოლისტზე უშუალო გავლენა ხორციელდება:

— იმ მონოპოლიური ტიპის სტრუქტურის (კონცერნი, ასოციაცია და ა. შ.) დაწვრილერთეულებით, რომლებიც ხასიათდებიან დაქვემდებარებული საწარმოებისა და სხვა სამეურნეო სუბიექტების მართვის პირდაპირი ცენტრალიზაციით;

— ამა თუ იმ სტრუქტურის მიერ საკუთარი მონოპოლიური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაზე ქმედითუნარიანი კონტროლის და ოპერატიული რეაგირების სისტემის შექმნით;

— ისეთი საგადასახადო წესის შემოღებით, რომელიც ფასების მონოპოლიურ ზრდას გახდის წამგებიანს.

კონკურენციის განვითარების უზრუნველყოფა ხდება:

— ახალი სამეურნეო სუბიექტების შექმნის გზით, სახელმწიფო სტრუქტურების კომერციალიზაციით წარმოების, განაწილებისა და მიმოქცევის სფეროში;

— ახლად შექმნილი საწარმოებისათვის, განსაკუთრებით მცირე საწარმოებისათვის, ხელშემწყობი ეკონომიკური პირობების დამყარებით;

— იმ საწარმოებისათვის, რომლებიც თავიანთი საქმიანობით ასუსტებენ ამა თუ იმ კონკრეტული ორგანიზაციის მონოპოლიურ მდგომარეობას, დამატებითი პრივილეგიების მინიჭებით;

— არარენტაბელური საწარმოების ლიკვიდაციისადმი დიფერენცირებული მიდგომით, მათი შერჩევითი სანაციით ახალი მონოპოლისტების წარმოქმნის დაუშვებლობის მიზნით.

უახლოეს თვეებში საქართველოს მთავრობა შეადგენს იმ საწარმოთა სახელმწიფო რეესტრს, რომლებსაც სასაქონლო ბაზარზე უკავიათ მონოპოლიური მდგომარეობა.

სახელმწიფო რეესტრის ფორმირების წესის შესაბამისად დაიწყება მისი შედგენის სამუშაოები ძირითადი სასაქონლო ჯგუფების მიხედვით: სახალხო მოხმარების საქონელი, სავაჭრო მომსახურებანი, საწარმოო ტექნიკური დანიშნულების პროდუქცია.

მთავრობა არა უგვიანეს 1993 წლის პირველ ნახევარში დაამტკიცებს დემონოპოლიზაციის დარგობრივ და რეგიონალურ პროგრამებს და შეუდგება მათი პრაქტიკული რეალიზაციის ორგანიზაციას.

მთავრობა პარალელურად შეიმუშავებს და წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად: კანონს სასაქონლო ბირჟების და საბირჟო ვაჭრობის რეგულირების შესახებ და კანონს მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ, აგრეთვე აღნიშნული კანონის ბაზაზე ჩამოაყალიბებს და ოპერატიულად განახორციელებს ღონისძიებათა მთელ სისტემას, რომელიც მიმართული იქნება არაკეთილსინდისიერი კონკურენციის აღმოსაფხვრელად.

გაკოტრების შესახებ კანონის დახვეწის მიზნით მთავრობა მოამზადებს და წარუდგენს პარლამენტს დასამტკიცებლად სათანადო წინადადებებს. მკვეთრად შემცირდება სახელმწიფოს მიერ ფინანსური მხარდაჭერა არაკონკურენტუნარიანი საწარმოების მიმართ.

4.5. საფინანსო ბაზრის განვითარება

საქართველოში ჯერ კიდევ პრაქტიკულად განუვითარებელია საფინანსო ბაზარი. ამიტომ მთავრობის ერთ-ერთი უპირველესი საზრუნავი უახლოეს პერიოდში არის ძალისხმევის გააქტიურება საფინანსო ბაზრის ფორმირებისათვის, მისი ფუნქციონირებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნისა და განვითარებისათვის, საკადრო, მატერიალური და მეთოდური პრობლემების გადაწყვეტისათვის. აღნიშნული საკითხების მოგვარება ხელს შეუწყობს კაპიტალის ნაკლებობით გამოწვეული სირთულეების დაძლევას, შინაგანი მწირი რესურსების მობილიზაციას და გადანაწილების მოქნილი მექანიზმის ჩამოყალიბებას.

ხელისუფლება შექმნის ხელსაყრელ პირობებს საფინანსო ბაზრის შესატყვისი არსებული ინსტიტუტების რეორგანიზაციისათვის და ახალი ინსტიტუტების ინტენსიური განვითარებისათვის. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა საკანონმდებლო ბაზის სწრაფად შექმნას.

საფინანსო ბაზრის ინტენსიური განვითარებისათვის მიღებული იქნება სათანადო საკანონმდებლო აქტები. მკაფიო საკანონმდებლო რეგლამენტირება უზრუნველყოფს ფასიანი ქაღალდების ემისიისა და მიმოქცევის პროცესში უკვე აღმოცენებული გადახრების დაძლევას.

საფონდო ბაზრის შექმნასა და სრულყოფას საფუძვლად დაედება შემდეგი პრინციპები:

— საფონდო ბაზრის ძირითადი ინსტიტუტების — საინვესტიციო ფონდების, კომპანიების, საფონდო ბირჟების, საბროკერო და სადილერო კანტორების და სხვ. შექმნა;

— ამ ინსტიტუტების მიერ კაპიტალის კონცენტრაცია;

— საფონდო ბაზრის სამეცნიერო-მეთოდური საფუძვლების დამუშავება რესპუბლიკის სპეციფიკის გათვალისწინებით და საერთაშორისო გამოცდილებაზე დაყრდნობით;

— საერთაშორისო გამოცდილების გამოყენება საბირჟო და არასაბირჟო ბაზრის ტექნოლოგიის ფორმირებისას;

— საერთაშორისო სტანდარტების დაცვა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საქართველოს საფონდო სისტემის მსოფლიო სისტემასთან შეპირაპირება.

ფასიანი ქაღალდების ინსტრუმენტებში მნიშვნელოვან ადგილს დაიკავებს სახელმწიფო სავალო ვალდებულებანი და საპრივატიზაციო ბარათები. მათ პირველად განთავსებაში და მეორად ბრუნვაში აქტიურად იქნება გამოყენებული კერძო და შერეულ საკუთრებაზე დამყარებული (მათ შორის უცხოური კაპიტალის მონაწილეობით) საინვესტიციო ინსტიტუტები.

საქართველოში სავალუტო ბაზრის ფორმირებას ექნება მთელი რიგი თავისებურებანი იმის გათვალისწინებით, რომ დროებითი ძირითადი საგადამხდელო საშუალება არის ყოფილი საბჭოთა კავშირის მანეთი (პრაქტიკულად უკვე რუსეთის მანეთი).

ხელისუფლება ყოველმხრივ შეუწყობს ხელს სავალუტო ბაზრის ინფრასტრუქტურის განვითარებას. უკვე იქმნება სავალუტო ბირჟა. შემუშავდება და მიღებული იქნება შესაბამისი საკანონმდებლო აქტები. გაფართოვდება იმ ბანკების წრე, რომლებსაც აქვთ უფლება აწარმოონ სავალუტო ოპერაციები. განვითარდება კერძო გაცვლითი კანტორების ქსელი.

საფინანსო ბაზრის განვითარებას მოცემულ ეტაპზე შედარებით მეტი შესაძლებლობები აქვს საბანკო სფეროში, მისი ტრანსფორმაციისათვის გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები, მაგრამ ბევრი პრობლემა კვლავ გადაუწყვეტელია.

გათვალისწინებულია მსოფლიო ბანკის რეკომენდაციების შესაბამისად ორიარუსიანი საბანკო სისტემის რეალურად ფორმირება, სახელმწიფო-კომერციული ბანკების აქციონირების დაჩქარება, საპროცენტო პოლიტიკის არსებითი კორექტირება. საპროცენტო განაკვეთის დონის ფორმირება მაქსიმალურად ლიბერალიზებული იქნება. ამავე დროს გათვალისწინებული იქნება სათანადო ღონისძიებათა გატარება, რათა ამგვარმა ლიბერალიზაციამ მკვეთრად არ გაამწვაოს სიტუაცია წარმოების სფეროში.

შეიქმნება პირობები, რომლებიც ხელს შეუწყობენ კონცენტრაციის პროცესს კომერციული ბანკების სექტორში. გაფართოვდება ბანკთაშორისი ოპერაციები. ხელშეწყობა ექნება სხვა ტიპის საფინანსო შუამავლების, კერძოდ ურთიერთდაკრედიტების ასოციაციების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, კერძო საპენსიო ფონდების და სხვათა შექმნას და განვითარებას.

გატარდება ღონისძიებანი საშუალოდ გრძელვადიანი ინვესტიციების განხორციელების სტიმულირებისათვის, განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ იქნება მეწარმეობისათვის საკრედიტო მხარდაჭერის და კრედიტების დაზღვევის სისტემის შექმნისა და განვითარების საკითხი. გათვალისწინებული იქნება ბანკების და სხვა საკრედიტო ინსტიტუტების აქტიური მონაწილეობა პრივატიზაციის პროცესში.

საკრედიტო ბაზრის დეცენტრალიზაციის და საქმიანობის ლიბერალიზაციის ღონისძიებებთან ერთად მიღებული იქნება ზომები ზედამხედველობისა და კონტროლის გაძლიერებისათვის.

თავი V. სოციალური პოლიტიკა

5.1. მოსახლეობის შემოსავლების რეგულირება

შემოსავლების ფორმირების საკითხებში სახელმწიფო პოლიტიკას საფუძვლად დაედება მათი არაინფლაციური ზრდის აუცილებლობა.

სახელმწიფო უზრუნველყოფს მოსახლეობის სოციალური დაცვის მინიმალური გარანტიების შექმნას მინიმალური ხელფასის დაწესების მეშვეობით. მინიმალური ხელფასის განსაზღვრას თავდაპირველად საფუძვლად დაედება სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფის მინიმუმის მაჩვენებელი, რომელიც როგორც წესი, მოიცავს მხოლოდ აუცილებელ ხარჯებს, როგორიცაა: დანახარჯები კვების პროდუქტებზე, ტრანსპორტზე, კომუნალურ მომსახურებაზე, სანიტარიულ-ჰიგიენური საქონლისა და მედიკამენტების შეძენაზე, დანახარჯების ამ ნაწილის ცალკე გამოყოფა ამ ეტაპზე გამართლებულია იმდენად, რამდენადაც ამჟამად არსებული ეკონომიკური სიტუაცია არ იძლევა მინიმალურ სამომხმარებლო ბიუჯეტზე (საცხოვრებელი მინიმუმი), როგორც შრომის ანაზღაურების სისტემის საფუძველზე ორიენტირების საშუალებას.

გათვალისწინებულია პენსიის მინიმალური ოდენობის განსაზღვრა მინიმალური ხელფასის დონეზე. გაიცემა დანამატები პენსიონერებისათვის მათ კმაყოფაზე მყოფ პირთათვის, იმ ოდენობით, რომ შემოსავალმა ოჯახის თითოეულ წევრზე მიაღწიოს მინიმალური ხელფასის (პენსიის) დონეს.

მთავრობას არასწორად მიაჩნია ინდექსაციის დაკანონება, ვინაიდან მან შეიძლება გამოიწვიოს ინფლაციური პროცესების შემდგომი გაძლიერება. ამასთან, შექმნილ სიტუაციაში, საკუთარი ეროვნული ვალუტის შემოღებამდე დადგინდება დროებითი ინდექსაციის კვარტალური ან ნახევარწლიური პერიოდულობა. სრული ინდექსაცია გავრცელდება მხოლოდ საზოგადოების ყველაზე ნაკლებად დაცულ ფენებზე და ჯგუფებზე.

ინდექსირებული შემოსავლების თანხა შეადგენს საქონლისა და მომსახურების ფასების ზრდის არა უმეტეს 60 პროცენტს.

ეკონომიკური სტაბილიზაციის შესაბამისად, როდესაც შესაძლებელი იქნება მინიმალური ხელფასისა და სხვა სოციალური გასაცემლების დაკავშირება მინიმალურ სამომხმარებლო ბიუჯეტთან, აუცილებელია მინიმალური ხელფასისა და შრომის ანაზღაურების დონეების „გაყინვა“, რათა მან ზეგავლენა არ მოახდინოს ინფლაციის გაძლიერებაზე.

მინიმალური ხელფასის ოდენობა პერიოდულად გადაისინჯება ინფლაციის ტემპის გათვალისწინებით.

მოსახლეობის ნაკლებადუზრუნველყოფილი ნაწილისათვის გათვალისწინებულია კომპენსაციის მექანიზმის გამოყენება.

პირველი მოთხოვნილების საქონელზე ფასების ერთდროული, მკვეთრი მომატების შემთხვევაში დაწესდება წინმსწრები კომპენსაციები. ბიუჯეტური ორგანიზაციებისათვის საკომპენსაციო თანხები გამოიყოფა სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ხოლო სამეურნეოანგარიშიანი ორგანიზაცია-დაწესებულებები ამ თანხებს გამოყოფენ საკუთარი სახსრებიდან. განსაკუთრებულ შემთხვევებში ამ ორგანიზაციებს სახელმწიფო გამოუყოფს უპროცენტო სესხებს. კომპენსაციების დაწესებისას განხორციელდება დიფერენცირებული მიდგომა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის მიმართ.

ფულადი და საკრედიტო პოლიტიკის შესუსტების პირობებში მოხდება სამეურნეოანგარიშიან სექტორში შრომის ანაზღაურების რეგულირება საგადასახადო მექანიზმის მეშვეობით. ამასთან ერთად მთავრობა ითვალისწინებს მოქმედი მექანიზმის მოდერნიზებას, რაც გამოიხატება დაუბეგრავი ნორმირებული სიდიდის დადგენაში.

ხელფასის დონის განსაზღვრა და მისი დიფერენცირება განხორციელდება შრომის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების შესაბამისად. დაქირავებულ მუშაკთა და სამუშაოს მიმცემთა ურთიერთობა განისაზღვრება მათ შორის დადებულ სატარიფო შეთანხმებათა საფუძველზე.

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლისა და შემდგომში მისი ფუნქციონირების პირობებში, განხორციელდება არსებული მიზნობრივი დახმარებების გაზრდა და გაფართოება. შემოღებულ იქნება დახმარებათა ახალი სახეების შეტანა შემოსავლების პოლიტიკაში.

გაცემული სუბსიდიები განაწილებული იქნება შეძლებისდაგვარად ზუსტად, შემოსავლის დონეთა გათვალისწინებით, უმეტეს შემთხვევაში ნაღდი ფულის გაცემის ფორმით, რათა მოხდეს ფასების მატების კომპენსაცია იმ მოქალაქეთათვის, რომლებიც ღებულობენ სოციალურ დახმარებას (პენსიები და ოჯახური დახმარებები).

ნავარაუდევია ისეთი ოჯახური დახმარებების სისტემის შემოღება, რომელიც მიმართული იქნება დაბალი შემოსავლების მქონე მოსახლეობის ჯგუფების დასაცავად. ეს სისტემა ისე უნდა იყოს აგებული, რომ გამოირიცხოს ორმაგი კომპენსაციის შესაძლებლობა. 1993 წლიდან ბავშვებისათვის მიზნობრივი დახმარების ოდენობა დაუკავშირდება ჯერ სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფის მინიმუმს, შემდგომში საცხოვრებელ მინიმუმს.

განზრახულია სოციალურ პროგრამათა დაფინანსების სისტემის დეცენტრალიზაცია. ამ პროგრამათა დიდი ნაწილის განხორციელება არასახელმწიფო საფინანსო სტრუქტურების, აგრეთვე მუნიციპალური ორგანოების მეშვეობით.

უზრუნველყოფილი იქნება სახელმწიფო მხარდაჭერა კერძო სადაზღვევო კომპანიებისა და ფონდების ფორმირებაში.

ამჟამად შემუშავებულია სახელმწიფო სოციალური დაზღვევის თვისობრივად ახალი კონცეფცია და კანონი, რომელიც რადიკალურად ცვლის ამ სახსრების ხარჯვის მიმართულებებს, დანიშნულებას და მიზნებს.

პენსიებისა და დახმარებათა მოცულობა აგრეგირდება მოსახლეობის შემოსავლებთან და სადაზღვევო სტაჟთან, აგრეთვე გათვალისწინებული იქნება რეგიონალური სპეციფიკა.

სახელმწიფო სოციალური სადაზღვევო სისტემა ხელს შეუწყობს კოლექტიური და კერძო სოციალური სადაზღვევო სისტემების ჩამოყალიბებას ორგანიზაციული, საინფორმაციო, საკანონმდებლო და ეკონომიკური მეთოდებით.

მომავალში ინდივიდუალური სავალდებულო სოციალური დაზღვევის ტარიფის ხვედრითი წონა საერთო ტარიფში გაიზრდება. ამ სისტემამ უნდა უზრუნველყოს სადაზღვევო სახსრების თვითზრდა.

დამზღვევი სახსრები მისი თვითზრდის გათვალისწინებით დამზღვევის საკუთრება იქნება და სოციალური დაზღვევის სხვა ფორმების (კოლექტიური, კერძო) ჩამოყალიბების შემთხვევაში შეიძლება მიმართოს საკუთარი სურვილის შესაბამისად.

არსებული საპენსიო უზრუნველყოფა პენსიის დანიშვნის ნაწილში ეყრდნობა ყოფილი სსრ კავშირის საპენსიო უზრუნველყოფის კანონს, ხოლო პენსიის ზრდა ფაქტობრივად ფასების ლიბერალიზაციის შედეგად პენსიონერის ხარჯების ზრდის კომპენსაციას წარმოადგენს. კომპენსაციის მოცულობა განისაზღვრება მინიმალური სასურსათო კალათის ან სასიცოცხლო მინიმუმის ოდენობით, მაგრამ თვითონ ამ უკანასკნელის განსაზღვრის მეთოდიკა სერიოზულ სრულყოფას საჭიროებს. მოსახლეობის საპენსიო უზრუნველყოფის დონის შეფასება სამომხმარებლო კალათასთან მიმართებაში შორეული პერსპექტივაა. ეს გადმონაშთი უნდა აღმოფხვრას ახალმა საპენსიო კანონმა. აგრეთვე, უნდა შეიზღუდოს მომუშავე პენსიონერთა საპენსიო უზრუნველყოფის მოქმედი სისტემა, როგორც ერთის მხრივ სახსრების მფლანგველური და, მეორეს მხრივ, — დასაქმებულობის ანტისტიმული.

ამჟამად სოციალური პენსიები (იმ ადამიანთა საპენსიო უზრუნველყოფა, რომლებმაც საპენსიო ასაკს მიაღწიეს, მაგრამ არ გააჩნიათ შრომის სტაჟი, ან გააჩნიათ არასაკმარისი ოდენობით) გაიცემა სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახსრებიდან, რაც ეწინააღმდეგება დაზღვევის პრინციპს. 1993 წლიდან ეს ხარჯები გაიწევა საბიუჯეტო სისტემიდან.

მთავრობაში იხილება საკითხი საპენსიო ასაკის ხუთი წლით გადიდების შესახებ (მამაკაცებისათვის 65 წელი, ქალებისათვის 60 წელი). საკითხის დადებითად გადაწყვეტა საშუალებას იძლევა უმტკივნეულოდ განხორციელდეს საპენსიო რეფორმა. ამ პერიოდში დაიზოგოს სახსრები, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მიზნობრივად, გარკვეულწილად შემცირდება სოციალური დაზღვევის ტარიფი. ეს უკანასკნელი ხელს შეუწყობს გადასახადების ლიბერალიზაციას.

საპენსიო დაზღვევა რესპუბლიკაში სამი ფორმით განხორციელდება: სავალდებულო სახელმწიფო, ნებაყოფლობითი კოლექტიური და კერძო. ბოლო ორი ფორმის შემოღებასა და დამკვიდრებაში სახელმწიფო სადაზღვევო სტრუქტურამ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს.

მთავრობას განზრახული აქვს შეიმუშაოს პენსიების ცალკეული სახეების (ინვალიდობის, სოციალური და სხვა) დიფერენციაციის მექანიზმი.

საპენსიო რეფორმის პირველი ეტაპი განხორციელდება 1993-1994 წლებში, ხოლო მეორე ეტაპზე (1994-1995 წწ.) შეიძლება განხორციელდეს სახელმწიფო, კოლექტიური და კერძო სოციალურ სადაზღვევო ფონდებს შორის ბიუჯეტების გაცვლა.

ჯანმრთელობის დაცვის ახალი სისტემის ძირითადი ამოსავალი პრინციპებია:

— სამედიცინო დაწესებულებათა შეუზღუდავი გადასვლა, განურჩევლად მათი უწყებრივი დაქვემდებარებისა და საკუთრების ფორმისა, ფასიან მომსახურებაზე სავალდებულო სახელმწიფო სტანდარტებისა და შესაბამისი ტარიფების გათვალისწინებით;

— მოქალაქეთა მიერ სამედიცინო დაწესებულებებისა და მკურნალი ექიმის არჩევის თავისუფლება;

— საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი სახელმწიფოებრივი რეგულირების უზრუნველყოფა;

— სახელმწიფოს ეკონომიკური დაინტერესება მომავალი თაობის ჯანმრთელობის დონის ამაღლებაში;

— სახელმწიფოს ეკონომიკური პასუხისმგებლობა მოსახლეობის სოციალურად ნაკლებად დაცული ნაწილის ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და განმტკიცებაში;

— ეკონომიკის ყველა რგოლის ეკონომიკური დაინტერესება საკუთარ მუშაკთა ჯანმრთელობის დაცვასა და განმტკიცებაში;

— ეკონომიკის ყველა რგოლის ეკონომიკური პასუხისმგებლობა მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზარალისათვის;

— მოქალაქეთა ეკონომიკური დაინტერესება საკუთარი და გარშემომყოფთა ჯანმრთელობის დაცვასა და განმტკიცებაში.

ჯანმრთელობის დაცვის ახალ მოდელზე გადასვლა უზრუნველყოფს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების საქმეში დამატებითი სახსრების მოზიდვას, ამასთან გარკვეულწილად გამოანთავისუფლებს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრების ნაწილს და უზრუნველყოფს მოსახლეობის სოციალურად ნაკლებად უზრუნველყოფილი ნაწილის მაქსიმალურ დაცვას. მხედველობაში მისაღებია ისიც, რომ სამედიცინო დაწესებულებათა თავისუფალი კონკურენცია მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სამედიცინო მომსახურების ხარისხის ამაღლებას.

ჯანდაცვის ახალი სისტემის ფორმირების მიზნით საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი შეიმუშავებს და განახორციელებს სამართლებრივ, ორგანიზაციულ და პრაქტიკულ ღონისძიებათა მთელ წყებას. კერძოდ, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი:

— წარუდგენს საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად კანონს სამედიცინო დაზღვევის შესახებ;

— ჩამოაყალიბებს ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო ფონდს;

— მოახდენს საქართველოში არსებული ყველა სამედიცინო დაწესებულების აკრედიტაციას და ლიცენზირებას;

— ხელს შეუწყობს ჯანმრთელობის დაცვის კოლექტიური ფონდის და სახელმწიფო სავალდებულო სადაზღვევო კომპანიის ჩამოყალიბებას;

— მოახდენს სამედიცინო დაწესებულებათა შერჩევით პრივატიზებას;

— მოახდენს სავალდებულო სახელმწიფო სამედიცინო სტანდარტებისა და ტარიფების დინამიური გადასინჯვის ორგანიზებას.

5.2. დასაქმების პოლიტიკა

პრივატიზაციის პროცესის გაღრმავებისა და სტრუქტურული მოდერნიზაციის კვალობაზე მოსალოდნელია დასაქმების პრობლემების მკვეთრი გამწვავება, უმუშევართა რიცხოვნობის სწრაფი ზრდა, გამოთავისუფლებულ მუშაკთა და სამუშაოს პირველად მაძიებელთა პროფესიული მომზადების შეუსაბამობა არსებულ ვაკანსიებთან, ახლადშექმნილ სამუშაო ადგილებთან და სხვა.

ეს მოითხოვს რესპუბლიკაში არსებული დასაქმების სახელმწიფო სამსახურის შემდგომ სრულყოფას და დასაქმების პოლიტიკის აქტიური ფუნქციის რეალურად ამოქმედებას. უმუშევრობის დახმარება ისე იქნება ორგანიზებული, რომ უზრუნველყოს ნაყოფიერი მუშაობის აუცილებელი სტიმული. ასეთი დახმარების უფრო ზუსტი მიზნობრივი გამოყენება საშუალებას მოგვცემს დავაფინანსოთ აქტიური პოლიტიკა, შრომის ბაზარზე უმუშევართა გადამზადების პროგრამების, მეწარმეობის სტიმულირების პროექტების, შრომატევადი საზოგადოებრივი საქმიანობის პროექტების ჩათვლით. აქედან გამომდინარე, ამ მიმართულების მიზანია უმუშევართა სწრაფი გადამზადება და მათი დაბრუნება ეფექტურ შრომით საქმიანობაში.

1991 წლის 1 სექტემბრიდან რესპუბლიკაში სამოქმედოდ შემოღებულია კანონი „დასაქმების შესახებ“. კანონი ითვალისწინებს დასაქმების ერთიანი სახელმწიფო სამსახურის შექმნას, რომელიც აერთიანებს დასაქმების სახელმწიფო ფონდს, შრომის სახელმწიფო ბირჟას, უმუშევართა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების სისტემას და სხვ. დღეისათვის შექმნილია და ფუნქციონირებს დასაქმების ფონდი და შრომის სახელმწიფო ბირჟა, მასში შემავალი 11 რეგიონალური ბირჟით. შრომის ბირჟის საქმიანობა ამჟამად შემოიფარგლება უმუშევრობის აღრიცხვით, მათთვის შემწეობის გაცემით და იმ პროფესიის მიხედვით არსებულ ვაკანსიებზე მათი დასაქმებით, რაც ამჟამად გააჩნიათ.

დასაქმების სახელმწიფო სამსახურის მუშაობა წარმართული იქნება შემდეგი ამოცანების გადასაწყვეტად:

— უმუშევართა დროული მომზადება და გადამზადება იმ პროფესიების მიხედვით, რომლებზეც რეალური მოთხოვნილება არსებობს;

— ახალი სამუშაო ადგილების შექმნა ცალკეული რეგიონის უმუშევართა კონტინგენტის პროფესიულ-კვალიფიციური შედგენილობისა და ადგილობრივი სანედლეულო და სხვა რესურსების გათვალისწინებით;

— ადგილობრივი მმართველობის ორგანოებთან ერთად ანაზღაურებადი საზოგადოებრივი სამუშაოების ორგანიზაციის გააქტიურება;

— „დასაქმების შესახებ“ კანონის სრულყოფა პირველ ყოვლისა იმ მიმართულებით, რომ გაფართოვდეს უმუშევრის სტატუსი, რაც საშუალებას მოგვცემს შემწეობა მივცეთ დაუსაქმებელი მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელსაც დღეს უმუშევრის სტატუსი არ ენიჭება და სოციალურად სრულიად დაუცველია.

შრომის ბაზრის ფუნქციონირების სრულყოფისათვის საქართველოს მთავრობა მიიღებს შემდეგ ზომებს:

— უმუშევართა გადამზადების რეგიონალური საბაზრო ცენტრების შექმნა იმ ქალაქებსა და რაიონებში, სადაც არის რეგიონალური შრომის ბირჟები, რაც საშუალებას მოგვცემს ოპერატიულად გადავწყვიტოთ უმუშევართა გადამზადების საკითხები;

— პროფესიების, სპეციალობების და ა. შ. ერთიანი ნაციონალური კლასიფიკატორის შექმნა;

შრომის ბირჟისა და დასაქმების ფონდის მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვა;

— დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნა უპირველესად მომსახურების სფეროში (კომუნალურ, საყოფაცხოვრებო, სატრანსპორტო მომსახურებაში და ა. შ.) მათ შორის მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენებისათვის შრომის შეღავათიანი პირობებით, აგრეთვე უმუშევართა მიზიდვა საზოგადოებრივად ანაზღაურებად სამუშაოებზე და სხვ.;

— უმუშევართა პროფორიენტაციის ცენტრების შექმნა და მათი სათანადო აღჭურვა;

— დასაქმების პროგრამების დამუშავება და რეალიზაცია;

— სამართლებრივი და ეკონომიკური ინფრასტრუქტურის განვითარება სტაბილური და მასშტაბური დასაქმებისათვის;

— დასაქმების სამსახურის კომპიუტერიზაცია უმუშევართა რეგისტრაციის და დახმარების გასაცემად, რომელიც უფრო ეფექტურს გახდის დასაქმების სამსახურის საქმიანობას ყველა ჩამოთვლილი მიმართულებით და შესაძლებელი იქნება ინფორმაციის დროულად და სრულად მიღება. ეს თავის მხრივ საშუალებას მოგვცემს გონივრად განაწილდეს სამთავრობო რესურსები და წინასწარ დაიგეგმოს სამუშაო სხვადასხვა რეგიონში პირობების შეცვლის გათვალისწინებით.

5.3. მიგრაციის რეგულირება და იძულებით გადაადგილებულ პირთა სოციალური დაცვა

მიგრაციული პოლიტიკის გატარებისას მთავრობა იხელმძღვანელებს მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის IOM აღიარებული პრინციპებით, რომლის წევრიც უახლოეს მომავალში გახდება საქართველო.

მიმდინარე პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროცესების ანალიზი ცხადყოფს, რომ მიგრაციული პროცესების შემდგომი გააქტიურება დღის წესრიგში აყენებს მათი მართვისა თუ რეგულირების საქმეში ახალი ფორმების ძიებას და საერთაშორისო ნორმების გათვალისწინებით გარანტირებული მექანიზმის შემუშავებას იმ ძირითადი პრინციპით, რომ დაცული იყოს მიგრანტი მოქალაქის უფლებები და ინტერესები, როგორც საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

რესპუბლიკაში გამოიკვეთა გარე მიგრაციების ინტენსიობის ზრდის ტენდენცია. ბოლო ორი წლის მანძილზე გარე რესპუბლიკათშორისი მიგრაციის უარყოფითი სალდო გაორმაგდა 15 ათასიდან 30 ათას კაცამდე.

მიგრაციული პროცესები შესამჩნევად გააქტიურდა საქართველოს რესპუბლიკის შიდა რეგიონებშიც, რაც ერთის მხრივ, გამოწვეული იყო ბოლო წლებში მომხდარი სტიქიური უბედურებებისა და, მეორეს მხრივ, მიმდინარე ეთნოკონფლიქტების შედეგად.

აღნიშნულ ღონისძიებათა დაფინანსება მზარდი ინფლაციისა და მატერიალურ-ტექნიკური დეფიციტის პირობებში საჭირო სახსრების მოცულობების საკმაოდ ჩქარი ტემპით გადიდებას იწვევს და რესპუბლიკის მთავრობა იძულებული ხდება დროის მცირე მონაკვეთში იზრუნოს მათი დაფინანსების ახალი წყაროების გამონახვისათვის.

მიგრანტთა და ლტოლვილთა სოციალური დაცვის მექანიზმის უფრო სრულყოფილად ამუშავების მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია რესპუბლიკის მთავრობასთან მიგრაციის სამსახურის ჩამოყალიბება, რომელიც წარმართავს ამ საკითხებში სახელმწიფო პოლიტიკას. პარალელურად უნდა შეიქმნას ფონდის (შესაძლოა ბანკის) სახით ძლიერი საფინანსო სისტემა, რომელსაც ექნება თავისი რეგიონალური განყოფილებები და რომელიც თავის სახსრებს წარმართავს მიზნობრივად მიგრანტთა და ლტოლვილთა სოციალური დაცვის ღონისძიებათა განსახორციელებლად შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებებით:

— საქართველოს მოქალაქეთა თანაბარი უფლებების დაცვა როგორც რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთაც;

— მიგრაციული პროცესების მართვა-რეგულირება;

— გარე და შიდა მიგრაციულ პროცესებში მონაწილე მოსახლეობის დატოვებულ სახლებსა და სხვა ქონებაზე კომპენსაციების გაცემა;

— მიგრანტების სოციალურ-ეკონომიკური ადაპტაციისა და ინტეგრაციის ხელშეწყობა, მათი მიღებისა და გადაადგილებისათვის კანონიერი პირობების შექმნა;

— შეღავათიანი კრედიტების, ფინანსურ და მატერიალურ დახმარებათა გაცემა;

— საგანგებო სიტუაციებში გადასახლებულთა თუ იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და შრომითი მოწყობის ორგანიზაცია;

— საზოგადოებრივი და კერძო საქველმოქმედო თანხების მიზნობრივი წარმართვის ორგანიზაცია;

— მიგრანტთა და ლტოლვილთა დახმარების პროგრამების შემუშავება, მათ განსახორციელებლად საჭირო სარეზერვო ფონდების შექმნა;

— თანამშრომლობა მსოფლიო თანამეგობრობასთან.

5.4. დემოგრაფიული პოლიტიკა

ბოლო პერიოდში უაღრესად გაუარესდა დემოგრაფიული ვითარება, რაც გამოიხატა ბუნებრივი მატების შემცირებაში მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურის დეფორმაციასა და დემოგრაფიული დაბერების პროცესის გააქტიურებაში.

ქვეყნის გრძელვადიანი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ინტერესები მოითხოვს მოსახლეობის კვლავწარმოებისათვის ნორმალური პირობების შექმნას. პოლიტიკა მოსახლეობის მატების მიმართულებით შეიძლება კონკრეტულად ჩამოყალიბდეს მხოლოდ ოპტიმალობის მკვეთრი რეგიონული კრიტერიუმების არსებობისას.

— მთავარი აქცენტი უნდა გაკეთდეს ჯანმრთელი შთამომავლობის, აქტიური ცხოვრების ხანგრძლივობის, ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და მოსახლეობის განვითარების სხვა მახასიათებლების მიმართულებით;

— აუცილებელია სოციალურ-დემოგრაფიული პოლიტიკის რესურსებით უზრუნველყოფის მექანიზმი, მასში სიმძიმის ცენტრის ადგილობრივი დაფინანსების წყაროებზე გადატანით;

— მოსახლეობის დეპოპულაციის რეგიონებში მიზანშეწონილია გააქტიურდეს დახმარების რეგიონული ეკონომიკური ღონისძიებები (კრედიტები, დახმარებები, შეღავათები, ნატურალური დახმარება), რათა შენარჩუნებულ იქნას მეორე და მესამე დაბადება, განსაკუთრებით სოფლად არამრავალბავშვიან რეგიონებში, რადგან ბავშვის დაბადების გადადება სხვადასხვა მიზეზებით აძლიერებს ფეხმძიმობის შეწყვეტას ახალგაზრდა ქალებში.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში სოციალურ-დემოგრაფიული პოლიტიკის პრიორიტეტულ ამოცანათა შორის მთავრობა აყენებს ბავშვიანი ოჯახების ეკონომიკური დამოუკიდებლობის განმტკიცების ამოცანას. ეს ამოცანა უზრუნველყოფილი იქნება არა იმდენად დახმარებისა და კომპენსაციების გაცემით, რამდენადაც სხვადასხვა სახის მოტივაციური მექანიზმების შექმნით, შრომითი შემოსავლების ზრდაში დაინტერესების მიზნით. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მრავალშვილიან და არასრულ ოჯახებს სამეწარმეო საქმიანობისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნის მიზნით, აგრეთვე შეღავათების შემოღებას ქალთა მეწარმეობისათვის, განსაკუთრებით სოფლად.

— სიკვდილიანობის შემცირების პოლიტიკა და ჯანმრთელობის განმტკიცება მოსახლეობისათვის უწინარესად მიმართული უნდა იყოს ბავშვთა და დედათა სიკვდილიანობის პროფილაქტიკისადმი, შრომისუნარიან მამაკაცთა სიკვდილიანობის შესამცირებლად, ქალაქად და სოფლად სამედიცინო მომსახურების დონეების გასათანაბრებლად;

— აქტიური სოციალური პოლიტიკის განხორციელებისას მთავრობა საშუალოვადიანი პროგრამის ჩარჩოებში გაითვალისწინებს ამ სფეროს სოციალური მგრძნობელობის მაღალ დონეს, ამიტომ რეფორმათა პროცესში დაცული იქნება თანდათანობითობისა და შეთანხმებულობის პრინციპები. სახელმწიფოს არა აქვს მიზნად თავს დაატეხოს მოსახლეობას მომსახურებათა ნაწილობრივი ფასიანობის მეთოდები საბიუჯეტო ან სხვა შესაძლებლობების გამოყენებით, ის მოსახლეობისათვის ადრე მიცემულ ვალდებულებათა რეალიზაციის გარანტიას იძლევა.

უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვანი ხასიათის ცვლილებები განიცადა მოსახლეობის საცხოვრებელი ბინებით უზრუნველყოფის არსებულმა სისტემამ. ბინათმშენებლობის საკითხების მართვა თანდათანობით გადადის კერძო სექტორის კომპეტენციაში და, ეს ტენდენცია ისე ვითარდება, რომ სულ მალე სახელმწიფოს როლი ამ სფეროში უმნიშვნელო გახდება.

ბინების შესასყიდი ფასების ზრდის გამო მოსახლეობის ნაკლებად უზრუნველყოფილ ნაწილს არა აქვს მისი შესყიდვის შესაძლებლობა. მთავრობამ 1992 წელს უკვე გაიღო მშენებარე კოოპერატიული ბინების დამთავრებისათვის საჭირო თანხები იმ ოდენობით, რაც აუცილებელი გახდა ფასების რადიკალური ზრდის პირობებში წარმოქმნილ ფასთა სხვაობის დასაფარავად. თუ გავითვალისწინებთ, რომ ბინათმშენებლობის ფართომასშტაბიანი პროგრამის რეალიზაცია უახლოეს ორ-სამ წელიწადში სავარაუდო არ არის, უფრო მიზანშეწონილი ჩანს 1993 წლიდან უფლება მიეცეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს თავიანთი საკუთარი პროგრამებით უზრუნველყონ მოსახლეობის ნაკლებშემოსავლიანი ფენები ბინებით.

სარედაქციო ფოსტიდან

რატომ არ სრულდება დაპირება?

ძვირფასო რედაქციავ!

თქვენი გაზეთის ფურცლებზე 1992 წლის ბოლოს ხშირად აქვეყნებდით თხოვნას, რომ გამოგვეწერა „საქართველოს რესპუბლიკა". თან მისი რეგულარულად მიღების იმედს იძლეოდით. მაგრამ დაპირება დაპირებად დარჩა... იანვარში თქვენი გაზეთის ათი, ხოლო თებერვალში — ორი ნომერი მივიღე.

რატომ არ სრულდება დაპირება?

ბორის შუმლაძე,
ზესტაფონის რაიონი, სოფელი რეკვა.

ქალაქი ნაგავში იხრჩობა...

შიში გვიპყრობს იმის გამო, რომ ჩვენი სანაქებო დედაქალაქი — თბილისი საშიში ინფექციის კერად არ გადაიქცეს.

გაზაფხული დადგა. თანდათან დათბება და მიწის სურნელის ნაცვლად ცაში დაბინძურებულ ადგილებში დაბუდებული ბაცილები რომ აიჭრება, ეპიდემიის აფეთქების საშიშროება რეალურ ფაქტად იქცევა. ჩვენ კი ვერც კი ვგრძნობთ დიდი უბედურების მოახლოებას და ვდუმვართ.

სანამ გვიან არ არის, ყველამ ერთად ხელი უნდა გამოვიღოთ და ვილონოთ რაიმე გარემოს დაბინძურებისაგან გადასარჩენად. საჭიროა ქალაქის ყველა კუთხე-კუნჭულში მოხდეს ხალხის მობილიზება, მის ცენტრსა და მასივებში ყველამ თავისი სახლის შემოგარენი დაასუფთაოს. ასევე უნდა მოიქცნენ დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეებიც.

ახლა მაწანწალა ძაღლებს აღარ იკითხავთ! ქალაქში ისე მომრავლდნენ, მათი შიშით ხალხს ქალაქში თავისუფლად ვერ გაუვლია. ძაღლისაგან ადამიანების დაკბენის შემთხვევებიც იყო. მათ თარეშს ბოლო უნდა მოეღოს, რათა თავიდან ავიცილოთ ცოფით დაავადების საშიშროება.

ქალაქის ანტისანიტარიაში დიდი „წვლილი" მიუძღვით კოოპერატიულ მაღაზიებს, სტიქიურ ბაზრობებს, რომელთა მიმდებარე ტერიტორიაზე ხშირად აუარებელი ნაგავი ყრია.

დიღმის მასივის სანაპირო კი ნაგვის საყრელად გადაქცეულა. იქვე ქირურგიის ინსტიტუტი მდებარეობს. ამას წინათ ინსტიტუტის შენობას ხანძარი რომ გაუჩნდა, დამწვარი ნაგავი აქ დაყარეს და დღემდე მისი გატანა არავის უფიქრია. ახლა სანაპიროზე ისეთი სიბინძურეა, ალბათ, ადრე თუ გვიან, არნახული ინფექცია იფეთქებს, რომელიც მთელ დიღომს მოწამლავს.

ქალაქის სისუფთავისთვის უპირველესად თვითონ ხალხმა უნდა იზრუნოს, თორემ მარტო მეეზოვეები რას გახდებიან.

ნათელა ბარამიძე, მაკა ჩაბუკიანი და სხვები (სულ 20 კაცი),
თბილისის დიღმის მასივის მე-4 კვარტალის მე-18 კორპუსის მცხოვრებნი.

დედის ალალი გულით

საქველმოქმედო საზოგადოება „დაჭრილ მეომართა დახმარების დედათა სოხუმის დროებითი კომიტეტი" თითქმის ნახევარი წელიწადია ეწევა საქველმოქმედო საქმიანობას.

ჩვენი მთავარი მიზანია, — ამბობს კომიტეტის დამაარსებელი და თავმჯდომარე, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის დოცენტი, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი ნუცა არდაშელია, — ყურადღება არ მოვაკლოთ დაჭრილ მეომრებს, რომ ღიმილის ბიჭები საკუთარ ბედთან მარტონი არ დარჩნენ. კომიტეტი დღემდე მოემსახურა ორი ათასამდე დაჭრილს. ომის პირველ თვეებში საავადმყოფოებში მძიმე ვითარება იყო. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებდით ამ ვითარების განსამუხტავად.

ეს ჩვენი საქართველოა!

პატარა კიზიყელი.
სიმონ კილაძის ფოტო (ფოტოსააგენტო „დრო").

მკვლელობა წისქვილკომბინატში

რვა მარტს, დაახლოებით დღის 3 საათზე დროებით უმუშევარმა ვასილ დალიბანდიანმა გადაჭრილი სანადირო თოფით სიცოცხლეს გამოასალმა ბორჯომის წისქვილკომბინატის ტექნოლოგი.

9 მარტს ბორჯომის ადმინისტრაციული სახლის წინ გაიმართა მიტინგი, რომლის მოწყობის ინიციატორებიც წისქვილკომბინატის თანამშრომლები იყვნენ. მიტინგის მონაწილეებმა კატეგორიულად მოითხოვეს მკვლელის დაუყოვნებლივ დაკავება და ბორჯომის პოლიციის უფროსის სამუშაოდან განთავისუფლება. წინააღმდეგ შემთხვევაში წისქვილკომბინატის მუშები გაფიცვით იმუქრებიან.

„წითელი ჯვრის" მასშტაბში

როგორც ცნობილია, ახლახან თბილისში გაიხსნა „წითელი ჯვრის" საერთაშორისო ორგანიზაციის საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობა, რომლის ხელმძღვანელად დაინიშნა იტალიის მოქალაქე ლეოპოლდ პრინჩიპე. იგი ამ დღეებში ქუთაისს ეწვია. სტუმარს თან ახლდა საქართველოს „წითელი ჯვრის" საზოგადოების პრეზიდენტი ნოდარ ცქიტიშვილი. დელეგაცია მიიღო ქალაქ ქუთაისის მერმა თეიმურაზ შაშიაშვილმა.

შეხვედრაზე ითქვა, რომ სულ მალე ქალაქის სასწრაფო დახმარების საავადმყოფოს ბაზაზე გაიხსნება „წითელი ჯვრის" კლინიკა, რომელიც მოემსახურება მარტოხელებსა და ინვალიდებს, მოსახლეობის სოციალურად ნაკლებად დაცულ ნაწილისათვის; ასევე წითელი ჯვრის ეგიდით, გათვალისწინებულია 150-ადგილიანი უფასო კვების სასადილოს გახსნა.

იმავე დღეს გაიმართა საქართველოს „წითელი ჯვრის" საზოგადოების იმერეთის რეგიონული განყოფილების ხელმძღვანელთა შეკრება, რომელზეც ფაქტობრივად დაფუძნდა „წითელი ჯვრის" საზოგადოების ქუთაისის რეგიონული ორგანიზაცია. ამ ორგანიზაციის თავმჯდომარეა რამაზ ყანჩაველი.

დავით წერეთელი.

სვირელებს ნერგები უხმებათ

ზესტაფონის რაიონის სოფელ სვირის სანერგე მეურნეობაში (დირექტორი იუზა გაბეხაძე) ძირითადად ვაზისა და ხეხილის ნერგები გამოჰყავთ.

შარშან მეურნეობაში 500 ათასი ცალი ვაზი დაამყნეს, საიდანაც მიღებული 150 ათასი ძირი პირველი ხარისხის ნერგი მთლიანად რეალიზებულია. წელს კი უკვე მიღებულია 120 ათასი პირველი ხარისხის ნერგი.

გარდა ვაზის ნერგისა, მეურნეობაში, გამოჰყავთ ბლის, ატმის და მსხლის ნამყენი.

მაგრამ ახლომახლო რაიონებში საზოგადოებრივი მეურნეობების მოშლამ საზრუნავი გაუჩინა სანერგის მესვეურთ. ვაზის და ხეხილის ნერგი ერთიანად არავის მიაქვს, ცალობით კი რამდენს გაასაღებენ და ათასობით საუკეთესო ნერგი გაუხმათ.

მეურნეობაში უამრავი ნერგია. შევიძინოთ, დავრგოთ, გავახაროთ.

ჰენრი შარიქაძე.

გაიმართება პრემიერა

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ეროვნულ აკადემიურ თეატრში გაიმართება პრემიერა. ქართველ მაყურებელთა სამსჯავროზე დასს გამოაქვს ბალეტი „კოლუმბიდან — ბროდვეიმდე", რომელიც დადგეს გიორგი ალექსიძემ და გურამ მელივამ. სპექტაკლი, რომელიც წარმოსახავს კოლუმბის ცხოვრების ყველაზე ღირსშესანიშნავ ფურცლებს, ეძღვნება ამერიკის აღმოჩენის 500 წლისთავს. იგი დიდი წარმატებით აჩვენეს მუსიკისა და ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალზე „ინდოეთის ძველი და ახალი გზები", შარშან ზაფხულში ესპანეთსა და იტალიაში. ეს არის ცნობილი იტალიელი კომპოზიტორის ფრანკო მანინოს ნაწარმოების პირველი სცენური ხორცშესხმა.

სტუ — დაუმარცხებლად

ვერის პარკში მდებარე მიხეილ კაკელიძის სახელობის დარბაზში გრძელდება კალათბურთელ ქალთა ეროვნული ჩემპიონატის მორიგი ტური.

კვლავ დაუმარცხებლად ასპარეზობს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდი, რომელმაც უკანასკნელი შეხვედრა ანგარიშით 61:34 მოუგო „ტანდემს".

ლიდერი 2 ქულით უსწრებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს, სატურნირო ცხრილში მესამე ადგილზეა ქუთაისის „მეობა".

იქვე 15 მარტიდან პირველ ფინალურ ტურში ჩაებმებიან ვაჟთა ეროვნული ჩემპიონატის მედლებისათვის მებრძოლი კოლექტივები.

საუკეთესო ექვსეულის გადამწყვეტ პაექრობას ასეთი მაჩვენებლებით იწყებს: „ვითა" — 19 გამარჯვება, „მერანი" — 18, „დინამო" — 16, „მართვე" — 12, „შევარდენი" — 11 და „აზოტი" — 10.

2 საგზურისათვის

საქართველოს შაშში ქალთა ჩემპიონატის ფინიშამდე 2 ტურით ადრე მაქსიმალური შედეგით— 9-დან 9 მოგება — დაწინაურდა მადონა შალამბერიძე. მეორე ადგილზე მყოფმა ლია ყაზარაშვილმა ერთადერთი პარტია წააგო. 1-2 ადგილების მფლობელნი იასპარეზებენ ევროპის ჩემპიონატში.

კასპაროვი უგებს კარპოვს

ესპანეთის ქალაქ ლინარესში დასასრულს მიუახლოვდა ტრადიციული სუპერტურნირი ჭადრაკში.

მეათე ტურის ცენტრალურ პარტიაში შავებით მოთამაშე გარი კასპაროვმა 27-ე სვლაზე სძლია ანატოლი კარპოვს და 7,5 ქულით ერთპიროვნული ლიდერი გახდა. იგი 1 ქულით უსწრებს კარპოვს და ანანდს (ინდოეთი).

რუსეთი. მეორე ეროვნული ჩემპიონატის პირველ ტურში სოჭის „ჟემჩუჟინამ" ფრედ — 1:1 ითამაშა კამიშინის „ტექსტილშჩიკთან". სოჭელთაგან გოლი გოჩა გოგრიჭიანმა გაიტანა. ქვეყნის ჩემპიონმა — მოსკოვის „სპარტაკმა" მარცხი იწვნია როსტოვში „როსტსელმაშთან" — 0:2.

ჰოლანდია. ჰოლანდიის 1992 წლის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელებულია „აიაქსისა" და ეროვნული ნაკრების ფორვარდი დენის ბერხკამპი (ზედიზედ მეორედ). უმაღლესი ლიგის ყველა მოთამაშის გამოკითხვით მეორე ადგილზეა მისი თანაკლუბელი ვიმ იონკი, ხოლო მესამეზე — „ეინდჰოვენის" ბრაზილიელი ბომბარდირი რომარიო.

საქართველოს თავდაცვის ფონდისა და საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის ერთობლივი ფოტოკონკურსის ჩატარების შესახებ

საქართველოს თავდაცვის ფონდი და საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია აცხადებენ ფოტოკონკურსს

I ვარიანტი

ფოტოკონკურსის მიზანია საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლის ამსახველი დოკუმენტური ფოტომასალების შეკრება, რის საფუძველზეც მოეწყობა ფოტოგამოფენა, ხოლო შემდეგ მისი ფოტოკრებულად გამოცემა.

ფოტომასალები უნდა იქნეს წარმოდგენილი სერიალების და ასევე უნიკალური ცალკეული კადრების სახით. ზომით არანაკლებ 24×30 სმ.

ფოტოკონკურსში შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ, როგორც პროფესიონალ ფოტოჟურნალისტებს, ასევე ფოტომოყვარულებს.

მასალები წარმოდგენილი უნდა იქნეს საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციაში (კავშირში) მისამართზე: ქ. თბილისი, ერეკლეს მოედანი № 3, ტელეფონი: 93-46-99, 1993 წლის 10 აპრილამდე.

ჟიურის მიერ შერჩეული ფოტომასალები პრემირებული იქნება ფულადი პრემიებით:

ორი I პრემია, თითოეული — 30.000 მანეთი,
სამი II პრემია, თითოეული — 20.000 მანეთი,
სამი III პრემია, თითოეული — 10.000 მანეთი.

საქართველოს თავდაცვის ფონდი; საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაცია.

გაზეთ „განათლების" მკითხველთა საყურადღებოდ!

მათ, ვისაც სურს მხარი დაუჭიროს და დაეხმაროს რესპუბლიკაში ერთადერთ პედაგოგიურ, უძველეს გაზეთ „განათლებას", ვაცნობებთ, რომ გაიხსნა ანგარიში „ინდუსტრია" სათაო ბანკში. № 600609565. მფო 521921.

გაზეთ „განათლების" რედაქცია.

ფირმა „ლეჩხუმი" გთავაზობთ

თუ გსურთ თვიური შემოსავალი 100.000 მანეთი გქონდეთ, შეიძინეთ ფირმა „ლეჩხუმის" დანადგარი თურქული ქაბაბისა და მწვადის დასამზადებლად.

ჩვენ შემდგომ საგარანტიო მომსახურებასაც გთავაზობთ.
ტელ.: 39-02-96.

პოლიციის სადაგი დღეები

—თეატრშიც წავალთ, პარკშიც გავისეირნებთ —ამბობს პოლიციის შეფი

მცხეთის რაიონის პოლიციის განყოფილებაში დილით ადრე მივედი. პოლიციის უფროსი, წარსულში ჩვენი ცნობილი ტანმოვარჯიშე, პოლკოვნიკი ნოდარ მაქალათია და მისი მოადგილე, ახალგაზრდა კაცი, პოდპოლკოვნიკი ალექსანდრე ბუკია ადგილზე დამხვდნენ. ეგ იყო ოღონდ, მოთენთილი და დაღლილები ჩანდნენ.

უკვე შემდეგ, საუბარში გაირკვა, რომ თეთრად გაეთენებინათ. მთელი ღამე მძიმე და სახიფათო ოპერაციას ხელმძღვანელობდნენ. გათენებისას მოხერხდა დამნაშავეთა დაკავება. ამოღებულია 500 კილოგრამი სპილენძი და ბევრი ისეთი რამ, რომელზეც ჯერჯერობით საუბრისაგან, სჯობს, თავი შევიკავოთ.

— **ბატონო ნოდარ, რა მდგომარეობაა საქართველოს ძველ სატახტო ქალაქში?**

— მისი ისტორიის მანძილზე, ალბათ, ერთ-ერთი მძიმე... ჩვენ, რა თქმა უნდა, ოდნავ შვებასაც ვერ ვგრძნობთ იმისგან, რომ ბოლო სამი წლის მანძილზე რაიონში დანაშაულის ზრდის ტენდენცია ჩამორჩება საშუალო რესპუბლიკურს, და რომ დანაშაულებათა გახსნის პროცენტი ასევე რესპუბლიკურზე მაღალია.

ყოველგვარი შედარება, გინდაც სტატისტიკური, როგორც იტყვიან, მოიკოჭლებს. რეალურია ის, რაც ჩვენს სინამდვილეში ხდება. ხდება კი ის, რომ დამნაშავე ელემენტები ჯერ ისევ ყილყილაობენ: თუ ვინმე პოლიციის თვალთახედვიდან გასხლტომას ლამობს, ფარული ეკონომიკის „შემოქმედი" ხალხია. სამწუხაროდ, არც პატიოსან ბიზნესმენებს, საბაზრო ეკონომიკის მშენებლებს სურთ ჩვენში საქმე აკეთონ — ავტომატიანების შიში აქვთ. ამიტომ მათთან რაიმე მოსალოდნელი კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად სულაც ტოვებენ აქაურობას და რუსეთში ან შუა აზიაში მიდიან. იქ აბანდებენ კაპიტალს. ასე ჩანაგდება ეკონომიკა, ხალხი, ქვეყანა.

— **გამოსავალი?**

— გამოსავალი ისევ ჩვენშია: პროფესიონალიზმი, თითოეული პოლიციელის პირადი პასუხისმგებლობისა და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცება, მაღალკვალიფიციური კადრების მომზადება და რა თქმა უნდა, მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე, პოლიციის შეიარაღებაზეც უნდა ვიზრუნოთ. ახლა, ამ საერთო გაჭირვების ჟამს ასეთ ფუფუნებაზე საუბარი უხერხულიც კია, მაგრამ მჯერა, მალე დადგება დრო, როცა ჩვენს პოლიციას მისი საკუთარი შეიარაღებაც ექნება, მატერიალური უზრუნველყოფაც, სოციალური დაცვაც.

— **მცხეთა — რაიონული ცენტრი, ქალაქი — მუზეუმი, სააგარაკო ქალაქი, დაბოლოს, ქალაქი, რომელიც საქართველოს აღმოსავლეთ-დასავლეთ-ჩრდილოეთის გზაგასაყარზე მდებარეობს...**

— ყველაფერი ეს, თქმა არ უნდა, მუშაობაში დამატებით სიძნელეებს გვიქმნის. დავიწყოთ იმით, რომ მთელი რაიონი სააგარაკო სახლებითაა მოფენილი. ზაფხულ-შემოდგომის სეზონზე ადგილობრივ მოსახლეობას — 65 ათას კაცს 25 ათასი მოაგარაკე ემატება. შემდეგ, თუმცა ბოლო წლებში ერთგვარად შემცირდა, მაგრამ მაინც, მეტადრე ზაფხულში, ექსკურსანტი მოსწავლე-ახალგაზრდობის ინტენსიური მოძრაობაა ეკლესია-მონასტრების, მატერიალური კულტურის ძეგლების მოსახილველად. აქაც სიფხიზლე და გაზრდილი ყურადღებიანობა გვმართებს. დაუმატეთ ამას ათობით დაუპატიჟებელი სტუმარი, „გასტროლიორი", რომლებიც ხან სად გამოჩნდებიან და ხან სად. ყველაფერი ეს და კიდევ სხვა ბევრი რამ თითოეული ჩვენთაგანისგან მუდმივ მზადყოფნას, შემართებას მოითხოვს.

— **და ყველაფერ ამას თქვენი ძალებით სწვდებით?**

— წუწუნი პოლიციელის თვისება არ არის, მაგრამ ორიოდე სიტყვა ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა ვთქვა. რა თქმა უნდა, 7 პოლიციელით — ასეთია ჩვენი განყოფილების სისხლის სამართლის სამძებრო საშტატო რაოდენობა — ამ ამოცანებს ვერ გადავჭრი, ისევე როგორც ვერც უბნის ინსპექტორების სამოქმედო ზონებში იქნება სანიმუშო წესრიგი, სანამ 3-4 სოფელს ერთი ინსპექტორი ეყოლება. ვფიქრობთ, ეს სტრუქტურები უნდა გადაისინჯოს, ისე, რა თქმა უნდა, ჩვენს საქმიანობას საკუთარ ძალებზე დაყრდნობით წარვმართავთ. ამ დღეებში რაიონის საკრებულოს გამგეობაში გაიმართა თათბირი, რომელიც სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობას, მისი ბრძოლისუნარიანობის განმტკიცების საკითხებს მიეძღვნა. ჩვენ ჩვენი მოსაზრებები წარვადგინეთ რაიონში დანაშაულის აღკვეთის, მართლწესრიგის დამკვიდრებისათვის.

აქვე ვიტყვი, რომ სრულ ნდობასა და მხარდაჭერას ვგრძნობთ როგორც ადგილობრივი მმართველობის, ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროსაგან, რომელმაც ფართო უფლებებით აღგვჭურვა, წვრილმანი მეურვეობისგან გაგვათავისუფლა.

ეს საშუალებას გვაძლევს მთელი ჩვენი საქმიანობა იქით წარვმართოთ, რომ ადამიანებს ცხოვრების და შრომის ნორმალური პირობები ჰქონდეთ, თავისუფლად იარონ ქალაქში, ისეირნონ სკვერებსა და ბაღებში, წავიდნენ თეატრში ისე, რომ ბინის გაქურდვის შიში არ აწუხებდეთ...

საუბარს უძღვებოდა
გურამ ვაშაკიძე.

„ჰარიმანებო,"

წინ!

არა, მათ ნამდვილად არ აქვთ კონცესიონერობის პრეტენზია. მაგრამ ჭიათურაში მაინც „ჰარიმანებს" უწოდებენ. პირველად სამნი იყვნენ: გიორგი ლეჟავა, ბადრი ცერცვაძე და ზურაბ ჭანკვეტაძე. ერთად იფიქრეს, ჩანაფიქრი საქმედ აქციეს, მცირე საწარმო „მაწისი" შექმნეს, ირგვლივ კუნთმაგარი ვაჟკაცები, საქმის ნამდვილი ენთუზიასტები შემოიკრიბეს და საქმეც დაიძრა. ახლა ისინი ასზე მეტნი არიან.

წინაპართა ნაკვალევზე, სწორედ იქ, სადაც მძლავრ ტექნიკას „ხელი არ მიუწვდება", წერაქვებითა და ნიჩბებით, ხელის ურიკებით აღჭურვილნი, მამა-პაპური მეთოდებით, ეძიებენ მადანს. იმ მადანს, ამერიკელ კონცესიონერ ჰარიმანის დროიდან დღემდე უმიზნოდ რომ მიმოფანტულა მაღაროთა მიუვალ ხევებში. მოპოვებულ მადანს თვით ახარისხებენ, ამდიდრებენ კიდეც და სამთამადნო კომბინატს აწვდიან.

„მაწისელი" კოოპერატორები კმაყოფილნი არიან, ანაზღაურებაც სოლიდური აქვთ, მათი საქმიანობის წყალობით კი ქვეყნისა და ერის სამსახურში დგება ასობით ტონა მანგანუმის პეროქსიდული მადანი.

სულ წინ გევლოთ, ჭიათურელო „ჰარიმანებო!".

„ჭიათურმანგანუმში" ეძიებენ...

საბადოს განვითარების ძირითად მიმართულებად აქ დასახეს მანგანუმის ნედლეულის ბაზაზე ძვირადღირებული პროდუქციის დამზადება, პეროქსიდული კონცენტრატების ახალი ტექნოლოგიური მეთოდებით დამუშავება, რაც შექმნის იმის გარანტიას, რომ პირველ ეტაპზე მიიღონ კალიუმის პერმანგანატი, მეორე ეტაპზე — მანგანუმის რთული ქიმიური შენაერთები, რაც დიდ ეკონომიკურ ეფექტს მოუტანს წარმოებას.

სამეცნიერო-ტექნიკურ ცენტრ „მანგანუმში" კი შეიმუშავეს პროექტი, რის მიხედვითაც ერთდროულად აწარმოებენ მანგანუმის მადნისა და კვარცის სილების სასარგებლო წიაღისეულად მოპოვებას, რაც პრაქტიკაში პირველად დაინერგება პერევისის მაღაროთსამმართველოში, ნაფარცხების უბანში. აქ მანგანუმის მადნის სიმძლავრეა 2,2 მეტრი, წლიური წარმადობა 50 ათასი ტონა, კვარცის სილისა — 21 მეტრი, წლიური წარმადობა — 150 ათასი ტონა. მარტო ამ გზით მიიღება 2956 ათასი ტონა კვარცის სილა და ამოღებული იქნება 35 ათასი ტონა მანგანუმის მადანი, საიდანაც ნახევარი პეროქსიდული იქნება, ხოლო როცა ნედლეული მეტალურგიულ კონცენტრატად გამდიდრდება, მანგანუმის მადნის და კვარცის სილების დამუშავებით, 9,5 მილიარდ ათას მანეთ მოგებას მიიღებენ.

მძიმე? — იაფი კიდეც...

პეროქსიდული მადნის ცალკე სელექციურად ამოღების და გამდიდრების, მანგანუმის მადნისა და კვარცის სილის დამუშავების მეოხებით კი მიაღწევენ 11 726 ათასი მანეთის მოგებას.

ეკონომიკურად მძლავრი მანგანუმის საწარმო მაღაროელთა ცხოვრების მაღალი დონის საწინდარი გახდება. მანამდე კი...

„დრონი მეფობენ"

სწორედ რომ, „დრონი მეფობენ", თორემ ადამიანი უწინ შავ ქვას მხოლოდ საშინელი წყევლა-კრულვის სიმბოლოდ თუ გამოიყენებდა. მის შემდეგ, როგორც იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა, ანკარა ყვირილა გაშავდა, მის ხეობაში წარმოშობილი პატარა სოფელი ჭიათურა კი მშრომელი ადამიანის კურთხეულმა მარჯვენამ მძლავრ სამრეწველო ქალაქად აქცია.

საუკუნეზე მეტი ხნის წინათ, მანგანუმის მოპოვების დაწყებისთანავე, მრეწველობის ამ დარგში ნამდვილი აჟიოტაჟი შეიქმნა. მადა აღეძრათ საქმოსნებს. ყველა ცდილობდა ხელი მოეთბო ამ სიმდიდრით და თაფლის ქონებისა და ბაღდადიდან ფუტკრის სტუმრობისა არ იყოს, ჭიათურისაკენ დაიძრნენ უცხოელი კონცესიონერები. ძარცვის ამ „ნამდვილმა ოსტატებმა" დასანგრევი იოლად დაანგრიეს, წასაღები ხვავრიელად წაიღეს და გადაიკარგნენ. მალე მათ ნაკვალევს საბჭოთა რუსეთიც დაადგა და კვლავ უხვად „მიჰქროდა" შავი ოქრო ცხენებითა და ხარებით, ვაგონებითა და გემებით.. ზღვითა თუ ხმელეთით. დიახ, განუკითხავად გაჰქონდათ ეროვნული სიმდიდრე საქართველოდან, თავიანთ სასარგებლოდ იყენებდნენ, ჰარბს კი მთა-გორებად ასაწყობებდნენ სადღაც, ჩვენგან შორს, — ცხრა მთასა და ცხრა ზღვას იქით...

წლები წლებს მიჰყვა, განუკითხაობამ ძარცვა-მტაცებლობამ და ამჟამინდელმა რუსულმა ბლოკადამ ქართული მანგანუმის მრეწველობა ეკონომიკურ კრიზისსა და ძლიერ მარწუხებში მოაქცია.

სად ეძებონ გამოსავალი?

სოზარ კუპატაძე.

მამაკაცთა საყურადღებოდ!

ოჯახური უსიამოვნება, დეპრესია, სასოწარკვეთილება ხშირად მოსდევს სქესობრივ მოშლილობას.

თუ გსურთ დაიბრუნოთ საკუთარი ძალებისადმი რწმენა, კვლავ იყოთ ჯანმრთელი, მხნე და შრომისუნარიანი, დაუყოვნებლივ მოგვმართეთ. ჩვენთან დანერგილი ლაბორატორიული გამოკვლევები და მკურნალობის კომპლექსურობა საშუალებას იძლევა ეფექტურად ვუმკურნალოთ პროსტატიტს, იმპოტენციას (მამაკაცის სქესობრივი უძლურება), პაციენტის ასაკისა და გამომწვევი მიზეზების მიუხედავად. მკურნალობა ანონიმურია.

ჩვენი მისამართია: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი (ყოფილი პავლოვის ქუჩა), ჩიხი № 8, 1 სართული (მეტრო „დელისთან", ყოფილი მე-18 პოლიკლინიკა). ტელ.: 39-25-82.

მიღება: სამუშაო დღეებში — 16.30-დან 18 საათამდე. შაბათ-კვირას — 10-დან 12 საათამდე.

მრავალდარგოვანი ფირმა „კონტაქტი"-ს სამედიცინო კაბინეტი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო და იურისტთა კავშირი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საქართველოს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის ყოფილი პირველი მოადგილე, სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე

თამაზ გრიგოლის ძე შავგულიძე

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

სამეცნიერო-საწარმოო გაერთიანება „საქნაპირდაცვის" თანამშრომლები გულისტკივილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

დემნა აპოლონის ძე გვასალია

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სხვა გაზეთებიდან

განდევნილი წერს ბრძანებულებებს და ნიშნავს მინისტრებს

ანუ ამბავი იმისა, თუ რა შავი დღე დააყარა „კომსომოლსკაია პრავდის" კორესპონდენტს ზვიად გამსახურდიას ცოლმა მანანამ

საქართველოს განდევნილ პრეზიდენტთან შეხვედრა, პირდაპირ გეტყვით, იოლი არ არის. როცა ერთი წლის წინათ ვცადე ეს, პარტიის რესპუბლიკური კომიტეტის ყოფილი სასტუმროს დაცვამ განაცხადა: არავითარი ზვიადი აქ არ არის და ახლოს არასოდეს არ ყოფილაო. და თუმცა, ვიცოდი, რომ ავტომატებიანი წვეროსნები მატყუებდნენ, ძალით შესვლა რატომღაც აღარ მომინდა. აი ახლა კი, როცა შევიპირე ჩეჩნეთის პრეზიდენტის ჯ. დუდაევის მხარდაჭერა და შევიარაღდი პრესის მინისტრის მ. უდუგოვის შესაბამისი ბარათით, ძალიან არ გამჭირვებია ამ კორდონის გავლა. ჰოლში ერთი საათის ლოდინის შემდეგ, როგორც საიდუმლოდ მითხრა სასტუმროს ერთ-ერთმა მუშაკმა ქალმა, პრეზიდენტი და მისი ცოლი სტუმრად ბრძანდებოდნენ, მხოლოდ დილისათვის დაბრუნდნენ და ჯერ კიდევ ისვენებენ. ბოლოს და ბოლოს მიმიწვიეს აპარტამენტებში. ბატონი ზვიადი „კომსომოლსკაია პრავდაზე" განაწყენებული სიტყვებით შემხვდა. თქვენ, თავის დროზე მლანძღავდითო, და, ჩეჩნეთის ხელმძღვანელობის შუამდგომლობა რომ არა, არ დაგელაპარაკებოდითო.

აი უკვე მეორე წელია, რაც პრეზიდენტი განდევნილია და მისი მეუღლე, ორივე ვაჟიშვილი, ცოლისდა, პირადი დაცვა არიან პირები, რომლებსაც გარკვეული საცხოვრებელი ადგილი არა აქვთ. მათ გროზნოში თავაზიანად შესთავაზა თავშესაფარი ჯოხარ დუდაევმა და თავდაპირველად გამოქცეულები აქ სრულ პანსიონზე ცხოვრობდნენ. შემდეგ, ადგილობრივი მზარეულების მომზადებული სადილი მობეზრდათ, თუ კიდევ რაღაც მიზეზები იყო, სტუმრებმა (ქალებმა, რა თქმა უნდა) სადილების თვითონ მომზადება დაიწყეს. სახლიდან, რომელსაც ხალხში უბრალოდ „კოტეჯს" უწოდებენ, მისი ბინადრები იშვიათად გამოდიან. ზოგჯერ გამოდიან მათს განკარგულებაში არსებული „ვოლგით". ბავშვები სკოლაში არ დადიან, ისინი, როგორც უფროსმა ვაჟმა თქვა, დამოუკიდებლად მეცადინეობენ. ზვიად გამსახურდია სულ მუშაობს. ასრულებს, მისი თქმით, პრეზიდენტის უშუალო მოვალეობებს: წერს ბრძანებულებებს, დაწვრილებით აანალიზებს საქართველოდან მიღებულ ინფორმაციას. მასაც მოუხდა გასვლა. გასაგებია, არა ბაზარში, არამედ ფინეთსა და შვედეთში.

გროზნოში იგი და მისი ოჯახი ცუდად არ ცხოვრობენ, თქვა გამსახურდიამ. მათზე ზრუნავენ ახლანდელი საქართველოს ხელმძღვანელობისაგან პროვოკაციების შიშიც არა აქვთ. სამხედრო ნაწილის განლაგებაში არსებული კოტეჯი კარგად არის დაცული. აი, მხოლოდ სამშობლოს სევდა უღრღნის გულს. დარწმუნებულია, რომ მალე ჩავა საქართველოში, და არა უბრალოდ, როგორც რესპუბლიკის მოქალაქე, არამედ თავის უწინდელ პრეზიდენტის სავარძელში. სხვათა შორის, სიტყვა „უწინდელი" სიცხადისათვის დავამატე. ბატონი ზვიადი, ისევე როგორც კოტეჯის დანარჩენი მაცხოვრებლები, ამ სიტყვას არ ეგუებიან. რესპუბლიკაში ხელისუფლების კრიზისს დღითი დღე ართულებს ომი აფხაზეთში. და, როგორც განდევნილ პრეზიდენტს მიაჩნია, ეს დაეხმარება მის თანამოქალაქეებს გაიგონ, „ვინ რა არის". ისინი ყველანი, როგორც ერთი, დადგებიან „თავიანთი კანონიერი რჩეულის მხარეზე". ჯერჯერობით კი იგი გულხელდაკრეფილი არ ზის და ემზადება დასაბრუნებლად. და მაშინ ცუდი დღე დაადგებათ მის მოწინააღმდეგეებს. ისინი ყველაფრისათვის აგებენ პასუხს. მან თვალით მანიშნა პატარა მაგიდაზე, სადაც იდო ახლანდელი რეჟიმის პოლიტიკურ პატიმართა საკმაოდ ვრცელი სია. აქ კი თავი ვერ შევიკავე, რომ არ დამესვა კითხვა, რაც რამდენიმე უსიამოვნო საათად დამიჯდა.

— ბატონო ზვიად, — ვკითხე მე, — გროზნოში გავიგონე, რომ თქვენ კოტეჯში ცხოვრების საფასურს იხდით იჯარის სახით. თანაც თბილისიდან გამოტანილი ფულით. თუ ეს ასე არ არის, მაშინ, მაპატიეთ, რა სახსრებით ახერხებთ ამას ახლანდელი სიძვირის პირობებში?

ამაზე განდევნილმა პრეზიდენტმა მიპასუხა, შემოთავაზებული თავშესაფარი ჩეჩნეთის რესპუბლიკის ჟესტია და არავითარ საფასურზე ლაპარაკი არ ყოფილაო. რაც შეეხება ფულს, რომელიც ვითომდა თბილისიდან წამოვიღე, ეს წმინდა წყლის სიცრუე და ჩემი მტრების პროვოკაციააო.

ჩემმა დიქტოფონმა ყველაფერი სწორედ ასე ჩაიწერა. მაგრამ ამ მასალაში არ არის ზ. გამსახურდიას პირდაპირ ნალაპარაკები. იგი არც მაგნიტოფონის ფირზეა. ის-ის იყო, ჰოლში ჩავედი, ერთ-ერთ ოთახში მიმიწვია განდევნილი პრეზიდენტის ცოლმა. და მაშინვე სეტყვასავით მომაყარა „კომპლიმენტები", რომელთაგან ყველაზე რბილი იყო „არამზადა". სულ მთლად გაოგნებულმა, ვცადე გამომერკვია, რა ხდებოდა. თურმე პრეზიდენტისათვის მიმიყენებია „შეურაცხყოფა," წარუშლელი წყენა ჩემი „შეკითხვით. თანაც კიდევ მინდოდა შემეღწია მათს საცხოვრებელ ოთახებში, (მართლაც, დავინტერესდი, შეიძლება თუ არა ენახო, როგორ მოეწყვნენ-მეთქი აქ). მან თავაზიანი უარი მითხრა და, დაულაგებელიაო, მოიმიზეზა. შემდეგ, კრინტიც არ დამაძვრევინა, ისე წამართვა პრეზიდენტის მეუღლემ მცველის დახმარებით დიქტოფონის კასეტა და უბრძანა, თვალი არ მოაშოროთ ჩემს საგანგებო განკარგულებამდეო. ჩაჯდა ავტომობილში და გაემგზავრა ჩეჩნეთის პრესის მინისტრთან უდუგოვთან. აღარ ვიცი, რაზე ილაპარაკეს იქ. მაგრამ, თუ იმით ვიმსჯელებთ, როგორ შემხვდა მერე მ. უდუგოვი, იმასაც კარგა მაგრად მოხვედრია. საათნახევარში დაბრუნებულმა მანანამ ჩემგან მოითხოვა წერილობითი ბოდიში თავისი ქმრის სახელზე.

— მზად ვარ — თუნდაც სამ ეგზემპლარად. მაგრამ ჯერ ამიხსენით, რა აწყენინე ბატონ ზვიადს. უმჯობესი იქნებოდა, თვითონ ეთქვა ჩემთვის ეს — სხვა ვერაფერი ვუთხარი საპასუხოდ. სხვათა შორის, ზ. გამსახურდიას სრულიად არ გამოუვლენია თავისი უკმაყოფილება საუბრისას არც ერთი შეკითხვის გამო, გულითადად გამომემშვიდობა.

— სანამ ხელს არ მოაწერთ, რომ ბოდიშს იხდით ესოდენ არაკორექტული კითხვისათვის, აქედან ვერ გახვალთ. ღმერთს მადლობა შესწირეთ, რომ გროზნოში იმყოფებით. თბილისში მეცოდინებოდა, როგორ დამესაჯეთ, სანიმუშოდ.

მთელმა ამ სპექტაკლმა თავი მომაბეზრა და მე დავწერე: „თუ რაღაცით გაწყენინეთ თქვენ, ბატონო განდევნილო პრეზიდენტო, ანდა შეურაცხყოფა მოგაყენეთ, ინტერვიუს დროს, გთხოვთ მაპატიოთ".

ამან იმოქმედა — საათ-ნახევარში თავისუფალი ვიყავი. კასეტაც დამიბრუნეს — წაშლილი ჩანაწერით. მართლაც, რომ, როგორც მითანაგრძნო სასტუმროს მუშაკმა: „რა არ ხდება ხოლმე ჩვენს მუშაობაში".

ა. ევტუშენკო.
გროზნო.

მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.

მისამართი, 380096, თბილისი, ვ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26; წერილების რედაქცია 99-78-24.

ავტორებს ვთხოვთ, მანქანაზე ნაბეჭდ 7 გვერდზე მეტი მოცულობის წერილებს ნუ შემოგვთავაზებენ.

გაზეთის ეგზემპლარებში პოლიგრაფიული წუნის შემჩნევისას მიმართეთ გამომცემლობა „სამშობლოს" საგაზეთო კორპუსს, თბილისი, ხოშტარიას 29.
ტელეფონი — 34-78-40.

გაზეთი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0488.

SAKARTVELOS RESPUBLIKA
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА

1

ინდექსი 66434